კომპრომისები გადაიდო A2

დაუმთავრებელი რევოლუციის შუქ-ჩრდილები A8

გულახდილად B6

www.24hours.ge

# 24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი შაბათი, 2 ოქტომბერი, 2004 წელი. №234 (783) ფასი 50 თეთრი

## ეკონომიკა

### 2005 წლის ბიუჯეტი 2,106 მლრდ ლარის ხარჯებს დააფინანსებს



პრემიერი ზურაბ ჟვანია ამბობს, რომ ბიუჯეტის პარამეტრების "ნახტომისებური ზრდა" ამჯერად ორი მიზეზით არ მოხდა - პირველ რიგში, 2004 წელს ასეთი "ნახტომი" უკვე განხორციელდა, მეორეც - ხელისუფლება აღარ აპირებს პროკურატურის და სხვა მაკონტროლებლების აქტიურობის წყალობით შეავსოს ბიუჯეტი.

A4

## უცხოეთი

### ბევრის აზრით, ფრე დაფიქსირდა



კერის მსჯელობა ზოგადი ფრაზებით შემოიფარგლებოდა და კონკრეტული პრობლემების გადაჭრის კონკრეტულ გეგმას არ შეიცავდა. ბუში კი უფრო პირდაპირი და კონკრეტული იყო.

A5

## საზოგადოება

### მეტრეველი გადადგა



დასრულდა უნივერსიტეტის ისტორიაში ყველაზე ხანგრძლივი რექტორობის - როინ მეტრეველის რექტორობის 13-წლიანი ეპოპეა.

A6

## სამართალი

### თბილისში მანიაკის არსებობას შსს კატეგორიულად უარყოფს

A7

## ამინდი

| | 2/10 | 3/10 |
|---|---|---|
| თბილისი | 25 | 19 |
| ქუთაისი | 24 | 19 |
| ბათუმი | 21 | 17 |
| სოხუმი | 22 | 17 |
| ფოთი | 22 | 18 |
| თელავი | 23 | 18 |
| ზუგდიდი | 23 | 18 |
| გორი | 22 | 16 |
| ახმეტა | 23 | 19 |
| ჭიათურა | 22 | 18 |
| გაგრა | 21 | 17 |
| სამტრედია | 23 | 19 |

### უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 1.8200 |
| ევრო | 2.2570 |
| გირვანქა სტერლ. | 3.2875 |
| რუბლი | 0.0623 |

# პარლამენტმა ქვეყანას ახალი სახელმწიფო გერბი "აჩუქა"



ნოდარ გრიგალაშვილმა პარლამენტს გერბის საბოლოო ვარიანტი წარუდგინა და ხაზი გაუსვა, რომ მას იწონებს პრეზიდენტი.

ლევან ხერხეულიძის ფოტო

*გუშინ პარლამენტმა, 130 ხმით 3-ის წინააღმდეგ, საქართველოს ახალი სახელმწიფო გერბი დაამტკიცა. ამით წერტილი დაესვა სახელმწიფო ატრიბუტიკის გარშემო გაჩაღებულ მწვავე დებატებს, რომელიც ოთხ თვეზე მეტხანს გრძელდებოდა. გერბის მომხრეებსა და მოწინააღმდეგეებს შორის მძაფრი კამათი მხოლოდ მას შემდეგ მინელდა, როდესაც სახელმწიფო ატრიბუტიკის საკითხებზე მომუშავე კომისიის თავმჯდომარემ ელდარ შენგელაიამ პარლამენტარებს გერბის პროექტის სახეშეცვლილი ვარიანტი შესთავაზა. იგი დეპუტატთა უდიდესი ნაწილისთვის მისაღები აღმოჩნდა.*

გიორგი ასანიშვილი

პარლამენტართა უმრავლესობა ჰერალდიკოს მამუკა გონგაძის მიერ შესრულებულ სახელმწიფო გერბის პროექტს, ძირითადად, იმის გამო იწუნებდა, რომ სხვადასხვა დეტალებით გადატვირთულად მიაჩნდა. ავტორსა და "წუნია" დეპუტატებს შორის კონსენსუსის მიღწევა განათლებისა და მეცნიერების საპარლამენტო კომიტეტის სხდომაზე მოხდა: "დაზავების" პირობების თანახმად, გერბიდან გაქრა ოქროს ვერძი, ცეცხლოვანი მთა და უფლის კვართი. მათი ადგილი მთლიანად წმინდა გიორგის გამოსახულებამ დაიკავა, რამაც გერბი მნიშვნელოვნად "გაამარტივა" და უფრო ადვილად აღსაქმელი გახადა.

ამ ვარიანტის მიმართ პარლამენტარები თავიდანვე დადებითად განეწყვნენ. ნოდარ გრიგალაშვილის თქმით,

გაგრძელება A2 გვერდზე

# თეატრებიდან მარტო ბუღალტერია რომ არ დარჩეს

*იყო ასეთი მსახიობი - ჯუმბერ ძიძავა, უბედურის ერთი. სმა უყვარდა, რის გამოც რუსთაველის თეატრის ხელმძღვანელობასთან ხშირად ექმნებოდა პრობლემები. ერთხელაც დაუბარებია აკაკი ხორავას და თეატრიდან გაგდებით დამუქრებია. ძიძავას მისთვის ჩვეული მეგრული აქცენტით უპასუხებია: კი, მაგრამ თეატრიდან თუ გააგდე ლოთი, ბოზი და პედერასტი, დაგრჩება ბუღალტერია, ბუღალტერია კიდო... მაგი არ არის თეატრიო. ძიძავა ცოცხალი რომ ყოფილიყო, მოსწრებულ სიტყვა-პასუხს ახლაც არ დააყოვნებდა, თუმცა ბუღალტერიას მეტი მოწიწებით მოიხსენებდა. დღევანდელი თეატრი სწორედ რომ ბუღალტერიაა, რადგან შემოქმედებით მხარეს ახლა მხოლოდ ფინანსები განსაზღვრავს.*

ოფიციალურად თეატრები რამდენიმე კატეგორიად იყოფა, მაგრამ არაოფიციალურად ისინი ორადაა დახარისხებული: ვისაც ბიძინა ივანიშვილი აფინანსებს და ვინც, ჯერჯერობით, ამ უპრეტენზიო მეცენატის მფარველობის გარეშე დარჩა. პირველი კატეგორიის თეატრები ბედს ნაკლებად უჩივიან, აი, მეორენი კი ბედის ანაბარა არიან დარჩენილნი. სახელმწიფო ხედვა თეატრებთან დაკავშირებით დაახლოებით ასეთია: არსებობის უფლება მხოლოდ მათ გააჩნიათ, ვისაც მაყურებელი არ აკლია, განურჩევლად იმისა, რამდენ კაცს იტევს დარბაზი და რა პრინციპით ირჩევენ რეპერტუარს. ქვეყანაში, სადაც ბიუჯეტი ტრადიციულად ნახევარი წლის დაგვიანებით მტკიცდება, სხვაგვარი მიდგომა მოსალოდნელი არც არის.

გაგრძელება A3 გვერდზე

# იყო, არის და იქნება

თეატრების, თეატრალებისა და ჩინოვნიკების გარდა არსებობს ერთი მეტად საჭირო ორგანიზაცია - "თეატრის მოღვაწეთა კავშირი". საბჭოთა პერიოდის შემოქმედებითი კავშირების მსგავსად (ადრე მას "საქართველოს თეატრალური საზოგადოება" ერქვა) მისი მთავარი ამოცანა თეატრის მუშაკთა შემოქმედებითი აქტივობისათვის ხელშეწყობა იყო. თუ საჭირო გახდებოდა (ამის საჭიროება კი ხშირად იქმნებოდა), საზოგადოებას მხატვრული ოსტატობის ამაღლებასთან ერთად შემოქმედებითი კოლექტივების საზოგადოებრივ-პოლიტიკური თვითშეგნების ამაღლებაც ევალებოდა. მისი უცვლელი თავმჯდომარე ბატონი გიგა ლორთქიფანიძე სინანულით აღნიშნავს, რომ ერთ დროს მდიდარი ორგანიზაცია დღეს მხოლოდ ხორავას სახელობის მსახიობის სახლისა და ორი დასასვენებელი სახლის (მანგლისსა და ბობოყვათში) ანაბარაა დარჩენილი. სად წავიდა საზოგადოების კუთვნილი ქონება, ამაზე, ალბათ, თავის დროზე მოვისმენთ განმარტებებს. ჯერჯერობით კი იმის თქმა შეიძლება, რომ ყველა იმ პრობლემას, რომელსაც ზემოთ შევეხეთ, თეატრის მოღვაწეთა კავშირი უფრო აქტიურად უნდა ეხმიანებოდეს და ამ "ბრალდებას" მხოლოდ ჟურნალისტები არ უყენებენ კავშირის თავმჯდომარეს.

გაგრძელება A3 გვერდზე

1

იურიდიული ოფისი „გაპი"
და გაზეთი "24 საათი"

ახორციელებენ პროექტს, რომლის მიზანსაც წარმოადგენს მოსახლეობისათვის სამართლებრივი დახმარება.

2

გაზეთ "24 საათის" მკითხველს აქვს შესაძლებლობა მიიღოს უფასო იურიდიული კონსულტაცია მისთვის საინტერესო სამართლებრივ საკითხებზე. მკითხველი შეკითხვას დასვამს გაზეთში გამოქვეყნებული უფასო ქუპონის საშუალებით, ამოჭრის მას და ჩააგდებს თბილისში განთავსებულ იურიდიული ოფისის "გაპის" და გაზეთ "24 საათის" ლოგოებიან სპეციალურ ყუთებში (მიიღება მხოლოდ გაზეთიდან ამოჭრილი ქუპონები. ქსეროასლები არ განიხილება). უფასო შეკითხვის ქუპონები გამოქვეყნდება ყოველდღიურად, გაზეთის A7 გვერდზე, ხოლო ამომწურავ პასუხს მკითხველი მიიღებს ყოველ ხუთშაბათს გაზეთ "24 საათის" მეშვეობით.

მკითხველი, სურვილის მიხედვით, ავსებს უფასო შეკითხვის ქუპონის ქვემოთ გამოქვეყნებულ ანკეტას. ამავდროულად, სასურველია მკითხველმა მიუთითოს საკონტაქტო ტელეფონი, რათა საჭიროების შემთხვევაში, მოხდეს შეკითხვის დაზუსტება.

3

ყუთები განთავსებული არიან ქალაქ თბილისში მეტროს ქვემოთჩამოთვლილ სადგურებსა და შემდეგ მისამართებზე:

1. მეტროს სადგური "ახმეტელის თეატრი" (გლდანი);
2. მეტროს სადგური "მარჯანიშვილი";
3. მეტროს სადგური "თავისუფლების მოედანი";
4. მეტროს სადგური "წერეთელი";
5. მეტროს სადგური "სამგორი II";
6. მეტროს სადგური "ვარკეთილი";
7. მეტროს სადგური "გოცირიძე II", (ყოფილი მეტროს სადგური "დელისი");
8. მეტროს სადგური "ვაგზლის მოედანი I";
9. მეტროს სადგური "დიდუბე";
10. ვაჟა-ფშაველას 45 "სოფთშენის" შენობის I-ლი სართული გაზეთ "24 საათის" ოფისი;
11. წერეთლის 77 იურიდიული ოფისი "გაპის" ოფისი;

"24 საათის" მკითხველს, უფასო შეკითხვის ქუპონი, სამართლებრივ საკითხზე დასმული შეკითხვით, შეუძლია გამოაგზავნოს ფოსტით შემდეგ მისამართზე: 0119 თბილისი, წერეთლის გამზ.77 იურიდიული ოფისი "გაპი".

A2 ამბები A3 მთავარი თემა A4 ეკონომიკა A5 უცხოეთი A6 საზოგადოება A7 სამართალი A8 ოპოზიცია

B2 რევიუ B3 რევიუ B4 სპორტი B5 სპორტი B6 კვირა B7 კვირის TV პროგრამა B8 სხვადასხვა

# წუხელ ლაგოდეხში მებაჟეები დააკავეს

კრიმინალური ავტორიტეტების დაჭერა-დაპატიმრებების შემდეგ, კახელმა სამართალდამცველებმა ამჯერად უკვე ეკონომიკურ დანაშაულში მხილებულ პირებზე გაილაშქრეს.

გუშინ, საღამოს ათ საათზე, კახეთის სამხარეო პოლიციისა და რეგიონის საოლქო პროკურატურის თანამშრომლებმა ლაგოდეხი-აზერბაიჯანის საბაჟო გამშვები პუნქტის ცვლის უფროსი დიმიტრი ჯოხაძე და ინსპექტორები მათე ჯალიაშვილი და შალვა არჯევანიძე დააკავეს. აღნიშნული პიროვნებები უკვე ერთი კვირაა, რაც მხილებული არიან სასაზღვრო პუნქტიდან განუბაჟებელი ტვირთის გადატანაში, თუმცა მათი დაკავება სამხარეო პოლიციის კორუფციასთან ბრძოლის სამსახურის მიერ მოკვლეული მასალების შემდეგ მოხერხდა.

**"ჩვენ მიერ დაკავებულმა საბაჟოს თანამშრომლებმა 23 სექტემბერს ამ სასაზღვრო პუნქტიდან 15 ათასი ლარის ღირებულების განუბაჟებელი ტვირთი გაატარეს. ოფიციალურ დოკუმენტში მხოლოდ 224 ლარი მიუთითეს, დანარჩენი კი მიითვისეს,"** - აღნიშნა "24 საათთან" საუბარში კორუფციასთან ბრძოლის სამსახურის უფროსმა დიმიტრი ბოჯარიძემ.

უნდა აღინიშნოს, რომ განუბაჟებელი ტვირთის გადატანა და განაწილება სხვადასხვა მარკის ავტომანქანებში სოფელ კაბალში ხდებოდა. შემდეგ კი მისი რეალიზება ლილოს ბაზრობაზე მიმდინარეობდა. დიმიტრი ბორჯაძე ირწმუნება, რომ ამ პუნქტზე ასეთი შემთხვევა პირველად გამოვლინდა. იგი იმასაც არ გამორიცხავს, რომ ადგილი ჰქონდეს აზერბაიჯანელ და ქართველ მებაჟეებს შორის გარიგებას.

ამჯერად დაკავებული დიმიტრი ჯოხაძის, მათე ჯალიაშვილისა და შალვა არჯევანიძის მიმართ აღძრულია სისხლის სამართლის საქმე. ძიებას რეგიონის საოლქო პროკურატურა აწარმოებს.

*ზვიად რუაძე, კახეთიდან*

# რუსეთის შენიღბული კრიტიკა რუსეთში

ნინო გომართელი

კონფლიქტების დარეგულირების საკითხში საქართველოს სახელმწიფო მინისტრმა გოგა ხაინდრავამ გუშინ მოსკოვში პრესკონფერენცია გამართა.

პირველ რიგში, ხაინდრავა 3 ოქტომბერს დანიშნული აფხაზეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის პრეზიდენტის არჩევნებს შეეხო.

**"ოფიციალური თბილისისთვის დიდი მნიშვნელობა არ აქვს, ვინ გაიმარჯვებს. პროქართული კანდიდატები იქ არ არიან,"** - თქვა მან, თუმცა იქვე დასძინა, რომ აფხაზეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის ამჟამინდელი პრემიერ-მინისტრის რაულ ხაჯიმბას გამარჯვება საქართველოსთვის მისაღები იქნებოდა.

**"თუ ხაჯიმბას აირჩევენ, ეს კარგიც იქნება. მხედველობაში მაქვს ის, რომ როდესაც რუსეთი და საქართველო ამ კონფლიქტის მოგვარებასთან დაკავშირებით პოზიციებს შეაჯერებენ, მოსკოვის გამოკვეთილ ფავორიტთან - ხაჯიმბასთან მოლაპარაკება უფრო იოლი იქნება",** - აღნიშნა მან.

სახელმწიფო მინისტრი სამხრეთ ოსეთის თემასაც შეეხო და ამასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ საქართველო დაჟინებით მოითხოვს, სამშვიდობოებმა სამხრეთ ოსეთის მთელ ტერიტორიაზე იმოქმედონ და არა მარტო კონფლიქტის ზონაში.

**"ჩვენ დაჟინებით მოვითხოვთ, სამშვიდობოებმა სამხრეთ ოსეთის მთელ ტერიტორიაზე იმოქმედონ. კონფლიქტის გადაჭრა შეუძლებელია მხოლოდ კონფლიქტის ზონაში",** - მიუთითა გოგა ხაინდრავამ.

სახელმწიფო მინისტრმა ასევე აღნიშნა, რომ მისი ქვეყანა არ აყენებს ოფიციალური თბილისის კონტროლის საკითხს ტრანსკავკასიური მაგისტრალის მონაკვეთზე, რომელიც სამხრეთ ოსეთის ტერიტორიასა და როკის გვირაბზეა.

**"ეს საკითხები დარეგულირების დროს გადაწყდება. ახლა ჩვენ გამოვდივართ წინადადებით, რომ ტრანსკავკასიური მაგისტრალი და როკის გვირაბი კონტროლდებოდეს შერეული ძალების მიერ, ეუთო-ს მონიტორინგის მონაწილეობით",** - აღნიშნა ხაინდრავამ.

იგი დარწმუნებულია, რომ ეს მექანიზმი **"რეგიონის განვითარებისა და ეკონომიკური რეაბილიტაციის"** საშუალებებს მოიტანს, ასევე ნდობას აღადგენს ქართველებსა და ოსებს შორის.

ამასთან, სახელმწიფო მინისტრმა მიუთითა, რომ სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე ქართული სამართალდამცავი ორგანოების ყოფნას უკანონოდ არ მიიჩნევს, რასაც ოსეთის სეპარატისტული მთავრობა ამტკიცებს. **"ეს საქართველოს სუვერენული უფლებაა,"** - ხაზგასმით აღნიშნა ხაინდრავამ და დაამატა, რომ თბილისს რუსეთთან და სამხრეთ ოსეთთან კონსულტაციები მხოლოდ იმიტომ აქვს, რომ მხედველობაში იღებს შექმნილ ვითარებას და კონფლიქტის შედეგებს.

მოსკოვში გამართული პრესკონფერენციის თემა რუსეთსა და საქართველოს შორის ურთიერთობებიც იყო.

**"მთავარი თემა, რომელიც ჩვენ გვაწუხებს - რუსეთსა და საქართველოს შორის არსებული დაძაბულობაა. ჩვენთვის რუსეთთან კეთილმეზობლური პარტნიორობა პრიორიტეტია. სამწუხაროდ, ბოლო დროს პოზიტიური ძვრები არ შეინიშნება,"** - აღნიშნა ხაინდრავამ.

მან გაიხსენა რამდენიმე ხნის წინ მოსკოვში საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოს მდივნისა და უშიშროების მინისტრის ვიზიტები.

**"ეს ყველაფერი იმასთანაა დაკავშირებული, რომ ჩვენი პოზიციის ახსნას, რუსეთის პოზიციის გაგებას და ჩვენ შორის არსებული დაძაბულობის მიზეზების ამოხსნას ვცდილობთ,"** - თქვა სახელმწიფო მინისტრმა.

მისი თქმით, თითქმის მზად არის ორ ქვეყანას შორის მეგობრობისა და თანამშრომლობის შესახებ ხელშეკრულების პროექტი.

ლაპარაკი იყო ასევე ტერორიზმთან ერთობლივად ბრძოლის შესახებაც. **"რუსეთისა და საქართველოს ერთობლივი მუშაობა ტერორიზმთან დაპირისპირების საქმეში ორმხრივი თანამშრომლობის მნიშვნელოვანი და აუცილებელი მიმართულებაა,"** - მიაჩნია ხაინდრავას.

**"არსებობს საკითხთა ფართო წრე, რომელიც პრინციპულად მნიშვნელოვანია რუსეთისათვის და საქართველოსთვის. რეგიონში ტერორიზმის საფრთხე არსებობს. ჩვენი ერთობლივი მუშაობა და ბრძოლა ამ სფეროში აუცილებელია, რათა დავიცვათ რუსეთიც და საქართველოც",** - თქვა მან.

ამასთანავე სახელმწიფო მინისტრმა რუსეთის მხრიდან დახმარების იმედიც გამოთქვა.

**"საქართველოს ტერიტორიაზე კონფლიქტების მოგვარების საქმეში რუსეთის კონსტრუქციული პოზიციის იმედი გვაქვს",** - თქვა მან და კვლავ შეეხო საქართველოს პოზიციას, რომლის თანახმად, სეპარატიზმი ტერორიზმის წყაროა.

# გაერო მოლაპარაკებების განახლებას ითხოვს

მოსკოვში გაიმართა საქართველოში გაეროს გენერალური მდივნის სპეციალური წარმომადგენლის ჰაიდი ტალიავინისა და ქართულ-აფხაზური კონფლიქტის დარეგულირების საკითხში რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტის პირადი წარმომადგენლის ვალერი ლოშჩინინის შეხვედრა. მათ რეგიონში მიმდინარე მოვლენებზე იმსჯელეს. მხარეებმა აღნიშნეს, რომ გაეროს ეგიდით სასწრაფოდ უნდა განახლდეს ქართულ-აფხაზურ მოლაპარაკებათა პროცესი. კერძოდ, საუბარია ოთხმხრივი ერთობლივი ჯგუფის შეხვედრებზე, რომელიც მიზნად ისახავს რეგიონში სტაბილურობის უზრუნველყოფას; მუშაობას ყველა იმ მიმართულებით, რომელიც ჟენევაში შეთანხმდა. საუბარია ქვეყნის შიდა ტერიტორიაზე გადაადგილებულ პირთა დაბრუნებაზე გალის რაიონში, უსაფრთხოების გარანტიებსა და საზღვაო პრობლემების მოგვარებაზე.

*მედია-ნიუსი*

# პარლამენტმა ქვეყანას ახალი სახელმწიფო გერბი "აჩუქა"



*პარლამენტარები ყურადღებით გაეცნენ სახელმწიფო გერბის საბოლოო ვარიანტს.*

ლევან ხერხეულიძის ფოტო

პირველი გვერდიდან

მას პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილიც იწონებს. თუმცა, მაინც გამოჩნდა რამდენიმე დეპუტატი, რომლებიც უკმაყოფილებას გამოხატავდნენ. მაგალითად, იგორ პატარიძე ითხოვდა, რომ გერბზე ცენტრალური ფიგურა, წმინდა გიორგის ნაცვლად, ოქროს ვერძი ყოფილიყო. დაახლოებით იგივე მოსაზრებას გამოთქვამდა ბეჟან გუნავა, რომელიც გერბის ძველი ვარიანტისკენ იხრებოდა. ბესო ჯუღელის პრეტენზია კი იმაში გამოიხატებოდა, რომ გერბის პროექტის შეცვლა უცაბედად მოხდა და ამის თაობაზე ის საქმის კურსში არ ჩააყენეს...

იქმნებოდა შთაბეჭდილება, რომ დებატები თავიდან იწყებოდა და სახელმწიფო გერბის დამტკიცებას საშველი არ დაადგებოდა; მით უმეტეს, "ბუნტისთავები" უმრავლესობის წარმომადგენლები იყვნენ. ასეთ ვითარებაში, საჭირო გახდა პლენარული სხდომის შეწყვეტა და დახურულ კარს მიღმა უმრავლესობის შეკრების ჩატარება.

ყველაფერი სწორედ აქ გადაწყდა: შეკრების დროს უკმაყოფილონი დააშოშმინეს და სახელმწიფო გერბის მიღება რეალური გახდა.

გუშინდელი პლენარული სხდომა კი აკაკი ბობოხიძის მწვავე გამოსვლით დაიწყო, რომელმაც აღშფოთებით ისაუბრა იმაზე, რომ რუსეთ-საქართველოს საზღვრის ლარსის გამშვები პუნქტი კვლავ ჩაკეტილია და ამით რუსეთში ჩარჩენილი საქართველოს მოქალაქეები ძალიან ზარალდებიან. შექმნილი სიტუაციის გამო ბობოხიძე იხსენებს, რომ თვით ჰიტლერმაც კი რეპრესიების დაწყების წინ ებრაელებისთვის დერეფანი გააკეთა და მათ ქვეყნის დატოვების საშუალება მისცა.

**"რუსეთი არის ტერორისტული, ბანდიტური სახელმწიფო, რომელსაც სათავეში ნაძირალა პრეზიდენტი უდგას,"** - სხდომის წამყვანის, მიხეილ მაჭავარიანის შენიშვნა, რომ პარლამენტარი ასეთი ტონით არ უნდა საუბრობდეს, დაგვიანებული გამოდგა.

გუშინდელ სხდომაზევე პარლამენტმა რამდენიმე საკანონმდებლო აქტში ცვლილებების შეტანას უყარა კენჭი. მათ შორის აღსანიშნავია პრეზიდენტის ინიციატივით შემუშავებული კანონპროექტი, რომელიც ავტოტრანსპორტის ტექნიკური დათვალიერებისთვის არსებული გადასახადის გაუქმებას გულისხმობს. იგი დეპუტატებმა პირველი მოსმენით მიიღეს.

# კომპრომისები გადაიდო

რუსუდან ნიკურაძე
*საქ. კორ. მოსკოვში*

მოსკოვში მიმდინარე შერეული საკონტროლო კომისიის მორიგი სხდომა მორიგი ჩიხით დასრულდა. ჩრდილოეთ ოსეთის წარმომადგენლის თეიმურაზ კუსოვის განმარტებით, **"ნოვაციებს მსგავსი სხდომებიდან არც უნდა ველოდოთ, რადგანაც კომისია სამუშაო ორგანოა, ხოლო პოლიტიკურ გადაწყვეტილებებს სხვაგან იღებენ."** სხდომა შაბათსაც გაარძელებს მუშაობას.

კომისიის სხდომებზე ქართული მხარე კონფლიქტის ზონის საზღვრების გადახედვას ითხოვდა და ცდილობდა უშიშროების დერეფნის პერიმეტრთან დაკავშირებული უთანხმოებების მოხსნას. ოსური მხარე ქართულ მხარეს მოუწოდებდა, თავი დაენებებინა პოლიტიკანობისთვის და შეესრულებინა სოჭისა და დაგომისის შეთანხმებები, ასევე, ხელი აეღო 1992 წლის მონაცმების შესაბამისად კონფლიქტის ზონის პერიმეტრის რევიზიის უაზრო მოთხოვნებისთვის.

სხდომის დარბაზიდან დისკუსიის ხმები მაღალ ტონებში როცა გაისმა, ჟურნალისტები კარებს აეკვრნენ. ისმოდა, როგორ გაჰკიოდა ბორის ჩოჩიევი: ქართველმა პოლიტიკოსებმა სამშვიდობო დერეფნის ცნების განმარტება ჯერ ისწავლეთ და მერე ილაპარაკეთ, დოკუმენტებში ჩაიხედეთ და სხდომებზე არაკომპეტენტურ ხალხს ნუ უშვებთო.

ამ ხმაურში მოულოდნელად დარბაზის კარი გაიღო და იქიდან სახეაწითლებული გენერალი ევნეევიჩი გამოვიდა სწრაფი ნაბიჯით და თავისი დიდი ტყავის პორტფელით. "როგორ მიდის საქმე?" - შეკითხვა დაადევნეს ჟურნალისტებმა. ევნეევიჩმა ხელი დარბაზისაკენ გაიშვირა და იყვირა: "აი, ხომ გესმით, რაც იქ ხდება, ასე მიდის საქმეც." სხდომიდან ევნეევიჩს ნაბზდოროვის მემკვიდრე მარატ კულახმეტოვი გამოჰყვა და ჭიშკრისაკენ მიმავალ უფროსს ნაბიჯი მარდად აუწყო. როგორც მოგვიანებით გაირკვა, ისინი თავისთან გამოიძახა გენერალური შტაბის უფროსმა იური ბალუევსკიმ.

დღის მეორე ნახევარში უკვე ცხადი გახდა, რომ კომისიის მოსკოვური რაუნდი ოქმზე ხელის მოწერით ვერ დამთავრდებოდა. რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს საგანგებო დავალებათა ელჩის ვალერი კენიაკინის განცხადებით, კონფლიქტის ზონის სტატუსის საკითხს დასკვნით ოქმში აუცილებლად შეიტანენ, როგორც კი მხარეები ერთობლივ შეხედულებებს გამოიმუშავებენ.

დამღლელი და დაძაბული კონსულტაციების შემდეგ ცხადი გახდა, რომ სადავო საკითხების გადაჭრა ჟვანია-კოკოითის შეხვედრის პრეროგატივად დარჩა. მაღალი დონის შეხვედრის საკითხი თითქმის გადაწყვეტილია, ისევე როგორც, გადაწყდა ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონის ეკონომიკური რეაბილიტაციისთვის 2,5 მლნ ევროს გამოყოფა.

სხდომის ბოლოს ბორის ჩოჩიევი ერთ ქართველ ჟურნალისტს ეხუმრებოდა, ხაინდრავას რომ სურს, იმ დათმობებზე თუ წავედით, ცხინვალში დაბრუნებისთანავე დაგვხვრეტენო...

# პროკურატურის პარტკომის ბრალდებები

ანუ ეჰ, შალვა, შალვა

გუშინ პროკურატურის ყოფილმა პარტკომმა და ამჟამინდელმა ლეიბორისტული, ფრჩხილებში შრომის, პარტიის ლიდერმა, სულ ახლახან მოსკოვიდან ჩამოფრენილმა შალვა ნათელაშვილმა სპეციალური ბრიფინგი გამართა. ეს იყო ერთგვარი რეაქცია რუსული ტელეარხის - "ენ-ტე-ვე"-ს ქართველი რესპონდენტისა. რასაკვირველია, ამ შემთხვევაში ბატონ შალვას ეთნიკური ქართველობა იგულისხმება.

"ენ-ტე-ვე"-ს გადაცემას შალვა ნათელაშვილი განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს: **"რუსეთმა პირველად გაშიფრა საკუთარი აგენტი. თუ აქამდე სააკაშვილის აგენტობა ჭორის დონეზე იყო ცნობილი, ამ გადაცემის წყალობით, მოარული ხმები ოფიციალურად დადასტურდა."** არადა, "ენ-ტე-ვე" რომ სულ სხვას ამტკიცებდა?

ბატონი შალვას მტკიცებით, მიხეილ სააკაშვილი ოფიციალურად მსახურობდა საბჭოთა უშიშროების სისტემაში და "კაგებესთან" მუდმივი თანამშრომლობის ხელშეკრულება გააფორმა. მეტიც, შრომის პარტიის ლიდერის ვერსიით, პრეზიდენტი სააკაშვილი გენეტიკურადაც აგენტია, ანუ აგენტობა სააკაშვილის ოჯახის ტრადიციაა: **"მისი პაპა იყო მარქსიზმ-ლენინიზმის კათედრის გამგე სამედიცინო უნივერსიტეტში. რაც შეეხება სააკაშვილის დედის ძმას, მასზე უკვე აღარავინ ეჭვობს, რომ წარმოადგენს რუსეთის საგარეო დაზვერვის მაღალჩინოსანს."**

ლეიბორისტული პარტიის ლიდერი ახალი ინიციატივით გამოდის. შალვა ნათელაშვილი პარლამენტისგან ითხოვს ლუსტრაციის კანონის მიღებას, თანაც - სასწრაფოდ. ბატონი შალვას აზრით, ლუსტრაციის კანონი, პოლიტიკური ფიგურების გარდა, მათი ოჯახის წევრებსაც უნდა შეეხოს.

ჟურნალისტთა შეკითხვების ამოწურვისთვის კი მშრომელთა ლიდერს დრო არ დარჩა. შესაძლოა, მორიგი ინტერვიუსთვის ემზადებოდა; რასაკვირველია, რუსულ მედიაში. ის ახლა პოპულარობაში იგორ გიორგაძესაც კი გაეჯიბრება.

*სოფო დვალიშვილი*

## ორი სიტყვით

**თბილისი.** თვითგამოცხადებულ აფხაზეთის რესპუბლიკაში 3 ოქტომბრისთვის დანიშნულ საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობას, სავარაუდოდ, 150 ათასი მოქალაქე მიიღებს. ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის სერგეი სმირის ინფორმაციით, 3 ოქტომბრისთვის დანიშნული საპრეზიდენტო არჩევნების ჩასატარებლად აფხაზეთის ტერიტორიაზე 35 საოლქო და 189 საუბნო საარჩევნო კომისია იფუნქციონირებს, რომლის მუშაობაში მონაწილეობას 2500-მდე მოქალაქე მიიღებს. მისივე თქმით, ამომრჩეველთა სიებში უკვე შეყვანილია 120 553 მოქალაქე, მაგრამ იმის გათვალისწინებით, რომ არჩევნებში მონაწილეობის სურვილის მქონე რუსეთში მცხოვრებ აფხაზეთის მოქალაქეთა რიცხვი იზრდება, იგი 3 ოქტომბრისთვის ამომრჩეველთა საერთო სიის 150 ათასამდე გაზრდას არ გამორიცხავს. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** "მრგვალი მაგიდის" სპიკერი მანანა არჩვაძე-გამსახურდია პარლამენტის უმრავლესობის ლიდერს მაია ნადირაძეს მოუწოდებს, თავი დაანებოს იმის მტკიცებას, რომ პრეზიდენტმა ზვიად გამსახურდიამ თავი მოიკლა. როგორც პრეზიდენტ გამსახურდიას ქვრივმა ბრიფინგზე განაცხადა, იმ შემთხვევაში, თუ მაია ნადირაძე ზვიად გამსახურდიას თვითმკვლელობის შესახებ დამადასტურებელ დოკუმენტს არ წარმოადგენს, მის წინააღმდეგ სასამართლოში სარჩელს შეიტანს. "პარლამენტის უმრავლესობის ხელმძღვანელობის ნაცვლად, მას საკნის შერჩევა და იქ გადასვლა მოუწევს," - განაცხადა მანანა არჩვაძე-გამსახურდიამ. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** საქართველოს პრეზიდენტის სახელმწიფო რწმუნებული მცხეთა-მთიანეთის რეგიონში გიორგი ხაჩიძე გუშინ საქმიანობას ოფიციალურად შეუდგა. მცხეთის რაიონში ჩასულმა პრემიერ-მინისტრმა ზურაბ ჟვანიამ მოსახლეობას ახალი რწმუნებული პირადად წარუდგინა. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** აფხაზეთის თვითგამოცხადებულ რესპუბლიკაში 3 ოქტომბრისთვის დანიშნული საპრეზიდენტო არჩევნების მონიტორინგს თვითგამოცხადებული სამხრეთ ოსეთის, დნესტრისპირეთის, მთიანი ყარაბაღის, ჩრდილოეთ კავკასიის რესპუბლიკების, რუსეთისა და დასავლეთის ქვეყნების არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები განახორციელებენ. გუშინ სოხუმში ჩავიდნენ აფხაზეთის დე ფაქტო ხელისუფლების მიერ 3 ოქტომბრის საპრეზიდენტო არჩევნებზე დამკვირვებლის სტატუსით მიწვეული სამხრეთ ოსეთისა და დნესტრისპირეთის სამთავრობო დელეგაციები. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** ოფიციალური თბილისი არ ცნობს 3 ოქტომბრისთვის დანიშნულ აფხაზეთის ე.წ. საპრეზიდენტო არჩევნებს. "ჩვენ ამ არჩევნების ლეგიტიმურობას არ ვცნობთ, თუმცა თვალყურს ვადევნებთ მოვლენათა მსვლელობას, რათა ვიცოდეთ, ვისთან გვექნება მომავალში ურთიერთობა", - განაცხადა საგარეო საქმეთა მინისტრმა სალომე ზურაბიშვილმა. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** საქართველო 2005 წელს ჩინეთში საელჩოს გახსნას გეგმავს. ამის შესახებ საგარეო საქმეთა მინისტრმა, სალომე ზურაბიშვილმა გუშინ ჩინეთის ელჩთან - სიუი ცზიანგოსთან შეხვედრისას განაცხადა. ზურაბიშვილის თქმით, წელს ქართული დელეგაცია პეკინში გაემგზავრება, რათა ადგილზე შეისწავლოს ვითარება საელჩოს გახსნასთან დაკავშირებით. ამასთან, მინისტრის განცხადებით, ორი წლის წინ ჩინეთმა ამ მიზნით საქართველოს საელჩოსთვის თანხაც გამოყო, მაგრამ ის დახმარება "სადღაც გაქრა". როგორც ჩინეთის ელჩმა ჟურნალისტებს განუცხადა, ჩინეთის მთავრობა საქართველოს დაეხმარება პეკინში საელჩოს გახსნაში. ამ ეტაპზე შერჩეულია შენობა, რომელიც 3 წლით გადაეცემა ქართველ დიპლომატებს. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** საგარეო საქმეთა მინისტრმა სალომე ზურაბიშვილმა და საქართველოში ჩინეთის ელჩმა სიუ ცზიანგომ პარასკევს ხელი მოაწერეს აქტს 4 მილიონი იუანის (890 ათასი ლარის) ღირებულების ტვირთების საქართველოსთვის გადაცემის შესახებ, რომელიც ითვალისწინებს ქართული დიპლომატიური უწყებისთვის ორგტექნიკის გადაცემას. როგორც ხელმოწერის შემდეგ სალომე ზურაბიშვილმა ჟურნალისტებს განუცხადა, საქართველოს საგარეო უწყებას გადაეცა კომპიუტერული ტექნიკა, რაც მნიშვნელოვანი დახმარებაა. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგადასახადო დეპარტამენტის სისტემაში 1 ოქტომბრიდან, 64 რაიონული საგადასახადო ინსპექციის ნაცვლად, 6 - თბილისის, ბათუმის, ფოთის გორის, თელავისა და ახალციხის საგადასახადო ინსპექცია დარჩება. რეორგანიზაცია არ შეეხო მსხვილ გადამხდელთა და აქციზის გადამხდელთა საგადასახადო ინსპექციებს. ინსპექციები ადმინისტრაციულ-ტერიტორიული საზღვრების მიხედვით ჩამოყალიბდა. იმ რაიონებში, სადაც საგადასახადო ინსპექციები გაუქმდა, გადამხდელთა რეგისტრაციისა და მომსახურების განყოფილებები შეიქმნა. მოხდა კადრების ოპტიმიზაციაც. **პრაიმ-ნიუსი**

გამომცემელი რუსთავი 2 პრინტი. მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), ვახტანგ ნადირაძე (გამომშვები რედაქტორი), ირაკლი ლეჟავა (პასუხისმგებელი რედაქტორი). დამატებები: დედაქალაქი - დავით მაღრაძე, ლიტერატურა - მალხაზ ხარბედია, სამყარო - ქეთევან სადღობელაშვილი, სამართალი - ნიკოლოზ რურუა, სტილი - ბიძინა მაყაშვილი, მედიცინა - ზაზა ფაჩუაშვილი, ბიზნესი - ნინო ნარჩემაშვილი, საბავშვო - ვალერი ჯინჭარაძე. ფოტო: ბესო გულაშვილი (მენეჯერი). დიზაინი: გიორგი ხმალაძე, ავთო შარვაშიძე
კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, ლელა წიქარიშვილი, დავით გეგეჭკორი, დიმიტრი შალუტაშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე. სტილი: ნანა ჯოხარიძე, ნინო სვანიძე, თამარ კვაჭანტირაძე, ხათუნა გოგიშვილი, ძიძია ძნელაძე, ლია თოფურია. რეკლამა - ზურაბ ჯაოშვილი.

# თეატრებიდან მარტო ბუღალტერია რომ არ დარჩეს

პირველი გვერდიდან

როცა ძმებმა ლუმიერებმა კინოხელოვნებას ჩაუყარეს საფუძველი, მალევე გაჩნდნენ სკეპტიკოსები, თეატრის კვდომა რომ იწინასწარმეტყველს. ცხადია, თეატრი იმდენ მაყურებელს ვერასოდეს მიიზიდავს, რამდენსაც თუნდაც ერთი საშუალო დონის კინოფილმი. ამისდა მიუხედავად, სწორედ იმ ქვეყნებში, სადაც კინოინდუსრტია ერთ-ერთი წარმატებული სფეროა, თეატრალური ხელოვნების განვითარებაზე განსაკუთრებით ზრუნავენ. ჩვენს შემთხვევაში ეს პარალელიც არ გამოდგება, რადგან ქართული კონოხელოვნება კიდევ უფრო სავალალო მდგომარეობაში ჩავარდა, ვიდრე ქართული თეატრი.

სამწუხაროდ, ვარდების რევოლუციის შემდეგ ქართული თეატრებისკენ მიმავალი გზა მთლად იავარდით ვერაა მოფენილი და წლევანდელი სეზონის გახსნა თეატრების უმრავლესობას ექსტრემალურ პირობებში უწევს. ასე მაგალითად, თბილისის მუნიციპალურ თეატრებს 2004 წელს ბიუჯეტი საგრძნობლად შეუმცირეს. ჩამონათვალი შორს წაგვიყვანს, თუმცა რამდენიმე მონაცემს მაინც შემოგთავაზებთ. სანდრო ახმეტელის სახელობის დრამატულ თეატრს 2003 წელს 290 000 ლარი ერგო, წელს კი მხოლოდ 191 000 ლარით დაკმაყოფილება მოუწევს. არადა, ამ სეზონზე ორი პრემიერა იგეგმება, რომ არაფერი ვთქვათ სარემონტო სამუშაოებზე და უსახლკაროდ დარჩენილ კონსტანტინე გამსახურდიას სახელობის სოხუმის სახელმწიფო დრამატულ თეატრზე, მთელი თავისი რეპერტუარით, რომელიც ახმეტელის თეატრსაა შეფარებული. არც რეზო გაბრიაძის თეატრი-სტუდიაა უკეთეს დღეში. შარშანდელი 50 500 ლარის ნაცვლად წელს მას 38 000 ლარი ერგო და ეს თანხა ავარიული შენობების გასარემონტებლადაც უნდა იმყოფინოს. თენგიზ ჩანტლაძის სახელობის სატირისა და იუმორის თეატრი საერთოდაც შენობის გრეშეა დარჩენილი და აქამდე მედიცინის მუშაკთა პროფკავშირების კულტურის სახლს შეხიზნული, საიჯარო თანხის გადაუხდელობის გამო, ალბათ ქუჩაში აღმოჩნდება. მეტეხის თეატრს, რომელმაც ახლახან ალექსანდრეს ბაღში დაიდო ბინა და, შესაბამისად, პრობლემები მოემატა, თორემ არ დააკლდა, ორი ათასი ლარი მაინც ჩამოაჭრეს და 80 000 ლარით დაკმაყოფილება მოუწევს. სამეფო უბნის თეატრის ბიუჯეტი 210 000 ლარიდან 65 000-მდე შემცირდა. გავაგრძელო? მგონი, არ ღირს. ვერ ვხვდები, თუ წინა წლებთან შედარებით ხაზინის ქურდების რაოდენობამ საგრძნობლად იკლო და ბევრ ჩინოვნიკსაც საკმარისზე მეტი თანხა ჩაარიცხინეს ბიუჯეტში, მაინცდამაინც თეატრებმა რა დაუშავეს ახალ ხელისუფლებას? წარმოდგენაც მზარავს, რა ხდება ქუთაისის, ფოთის, ახალციხის თუ სხვა პროვინციული ქალაქების თეატრებში.

თუმცა არც მთლად ასეა საქმე, რადგან ამ ფონზეც კი შეიძლება ფავორიტების გამოყოფა, ხელისუფლება შედარებით მოწყალე თვალით რომ უყურებს. ვერიკო ანჯაფარიძის სახელობის ერთი მსახიობის თეატრ "ვერიკოს" წლევანდელ სეზონზე მხოლოდ 400 ლარი ჩამოაჭრეს და 42 000 ლარით დააფინანსეს. თეატრებისთვის განკუთვნილი ბიუჯეტის საყოველთაო სეკვესტრის ფონზე, გრიბოედოვის სახელობის რუსული დრამატული თეატრის ბიუჯეტი 187 000 ლარამდე გაიზარდა. მეტიც, თბილისი მერია ფინანსურად ეხმარება გრიბოედოვის თეატრის ტერიტორიაზე გახსნილ "თავისუფალ თაეტრს", რომლის დამაარსებელიც გრიბოედოვის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი ავთო ვარსიმაშვილია და მას 2004 წელს 60 000 ლარი გამოუყო. ასევე ცალკე ფინანსდება "რუსული პროექტი" - 37 000 ლარი. ამ მაჩვენებლებით თუ ვიმსჯელებთ, გამოდის, რომ ეს უკანასკნელი ყველაზე წარმატებული თეატრია საქართველოში და ამაში ლომის წილი მის სამხატვრო ხელმძღვანელს მიუძღვის. ალბათ ასეცაა, თორემ პრეზიდენტის ინაუგურაციის ცერემონმაისტერად ვარსიმაშვილი არ დაინიშნებოდა. ბარემ აქვე დავძენ, რომ ბიუჯეტი 3 000 ლარით მოემატა პანტომიმის თეატრსაც, თუმცა, არა მგონია, ეს სამი ათასი ლარი ვინმეს ემცხეთოს იმ გაჭირვების გათვალისწინებით, რაც ქართველმა მიმებმა გამოიარეს ბოლო წლების განმავლობაში. უკეთეს დღეში არც ის თეატრები აღმოჩნდნენ, რომლებიც უშუალოდ კულტურის სამინისტროს ექვემდებარებიან და ცენტრალური ბიუჯეტიდან ფინანსდებიან. მხედველობაში მაქვს რუსთაველის, მარჯანიშვილის, ოპერისა და ბალეტის, სომხური, აზერბაიჯანული, ახალციხისა და ცხინვალის თეატრები, თუმცა ხშირად გსმენიათ ალბათ, რომ ამ ჩამონათვალში პირველი სამი თეატრის შენახვა სახელმწიფოს პრეროგატივაა. არადა, ის ღვთისნიერი მეცენატი რომ არ გამოჩენილიყო, საეჭვოა, რუსთაველის თეატრს ახლო მომავალში გაეხსნა სეზონი ან მარჯანიშვილის თეატრი შეეკეთებინა სახელმწიფოს.



*ღვთისნიერი მეცენატი რომ არ გამოჩენილიყო, საეჭვოა, რუსთაველის თეატრს ახლო მომავალში გაეხსნა სეზონი ან მარჯანიშვილის თეატრი შეეკეთებინა სახელმწიფოს.*

კულტურის სამინისტრო და მერიის კულტურის სამსახური ტრადიციულად ხელს ფინანსთა სამინისტროსკენ იშვერენ და თეატრების დუხჭირ მდგომარეობაზე ისეთივე შეჭირვებით გელაპარაკებიან, როგორც ხანგრძლივ უხელფასო შვებულებებში გაშვებული სამხატვრო ხელმძღვანელები თუ მსახიობები. მაგრამ როგორც კი სიტყვა ახლებურ ხედვაზე და კულტურის სფეროში პრიორიტეტების განსაზღვრაზე ჩამოვარდება, მიღწეულ წარმატებებზე ლაპარაკს არავინ დაგამადლის. საამაყო და მისასალმებელი კი პირველ რიგში ის ყოფილა, რომ ამიერიდან თეატრებს ბიუჯეტის ლავირების მეტი შესაძლებლობა ეძლევათ. ეს ნიშნავს, რომ თუ ადრე თეატრს ბიუჯეტის ყველა პუნქტი (რა ჩამოთვლის: მიმდინარე ხარჯები, ხელფასები, სადადგმო ხარჯები, კომუნალური გადასახადები და ასე შემდეგ) ზედმიწევნით უნდა აეთვისებინა, დღეს იგივეს აღარ მოსთხოვენ. ვთქვათ თეატრს მორჩა გარკვეული თანხა კომუნალური გადასახადებიდან (თეორიულად ამ ვარაუდის დაშვებაც შესაძლებელია), იგი მას უკან აღარ დააბრუნებს, საკუთარი შეხედულებისამებრ მოიხმარს და თუ უნდა, "კაფენტებს" ჩამოურიგებს მსახიობებს. ასეთი ჰუმანურობა სახელმწოფოს მხრიდან მართლაც მისასალმებელია, ოღონდ ეგაა, იგივეს ქართული თეატრის ზოგიერთი წარმომადგენელი ადრეც მოითხოვდა და ზოგჯერ აღწევდა კიდეც, მაგრამ ოფიციოზი არ იმჩნევდა და რომელიღაც ოქმში ასეთი ჩანაწერი კეთდებოდა: "დაკმაყოფილდეს გამონაკლისის სახით".

არის კიდევ ერთი სიახლე, თეატრის გულშემატკივრებს რომ გაახარებს. კულტურის სამინისტროში შეიქმნა დარგობრივი კომისია, რომელმაც წლეულს 19 განაცხადიდან 8 დააკმაყოფილა. გაიღო გასტროლების ხარჯები და ... თეატრალური სარდაფი თელავს სტუმრობდა, კინომსახიობთა თეატრი - ქუთაისს, ახალციხის თეატრის სპექტაკლები გორელებმა იხილეს, ქართველი მიმების პლასტიკა ბათუმლებმა შეაფასეს, სოხუმის თეატრმა კი სენაკელი მაყურებელი მოხიბლა. რაც შეეხება საზღვარგარეთ გასტროლებს, ეს ბედნიერება მხოლოდ სამ თეატრს ერგო: სამეფო უბნისა და თავისუფალი თეატრების დასები ერევანში გაემგზავრნენ, გრიბოედოვის თეატრი კი სანკტ-პეტერბურგს ეწვევა, თუმცა ეს გასტროლები უშუალოდ მერიის მიერაა დაფინანსებული. სხვა თეატრებს სხვა ქვეყნებში წასვლის შანსი, ჯერჯერობით, არა აქვთ და ალბათ ამაზე არც უნდა იოცნებონ, ტამბოვის გუნდის ბედი რომ არ გაიზიარონ. ეს ხუმრობით. სერიოზულად კი ვაგრძელებ იმ ჩამონათვალს, გრანტების სახით კულტურის სამინისტრომ რომ განახორციელა. ესენია: სამგზავრო ხარჯები მათთვის, ვისაც საზღვარგარეთ ეპატიჟებიან, მაგრამ უსახსრობის გამო ჩვენი რეჟისორები თუ მსახიობები უაღრესად საინტერესო შეხვედრებს ვერ ესწრებიან; რეპერტუარის ხელშეწყობისათვის გამოყოფილი თანხა, რომელიც თანამედროვე დრამატურგიის კრებულის გამოცემას მოხმარდება და ეგრეთ წოდებული თავისუფალი პროექტები, სადაც ყველა ის წინადადება მოიაზრება, რაიმე კუთხით თეატრს თუ უკავშირდება.

კეთილი და პატიოსანი, მაგრამ ერთ კაზუსზეც მინდა შევჩერდე. თეატრი შეიძლება იყოს საჯარო სამართლის იურიდიული პირიც, შეზღუდული პასუხისმგებლობის საწარმოც, არასახელმწიფო საზოგადოებაც. მისი რომელიმე ამ ფორმით რეგისტრირება გადაულახავ სიძნელეს არ წარმოადგენს. ამისდა მიუხედავად, დღეს არსებული თეატრების უმრავლესობა ჰაერშია გამოკიდებული, რადგან მათ იურიდიული სტატუსი არ გააჩნიათ. მართალია, ეს დაკანონებული უკანონობა ამ ეტაპზე არანაირად არ აისახება თეატრების დაფინანსებაზე, მაგრამ ადრე თუ გვიან იგი ბევრ თეატრს სერიოზულ პრობლემას შეუქმნის. სხვათა შორის, 90-იანი წლების დასაწყისში "რეჟისორთა ლიგაში" ამ თემაზეც სერიოზულად მსჯელობდნენ, იგივე საკითხი დღის წესრიგში თეატრის კანონზე მუშაობის დროსაც დადგა. პარლამენტმა 1999 წელს, ბოლოს და ბოლოს მიიღო "კანონი თეატრების შესახებ", ოღონდ არა იმ სახით, რასაც თეატრის მოღვაწეები ითხოვდნენ. თეატრების კანონით ყველა უკმაყოფილოა, მათ შორის სახელმწიფო მოხელეებიც, თუმცა ყველას ისევ ამ ნორმატიული აქტით სარგებლობა უწევს, თუ, რასაკვირველია, საერთოდაც კანონის გვერდის ავლით არ მოქმედებენ.

როგორ უნდა მოიქცეს ჩვენნაირი ხალხი, თუ მას კულტურული ერის პრეტენზია გააჩნია?

უპირველესად ნიჭიერ ხალხს შესაბამისი პატივი მიაგოს და თუ ხელის გულზე ვერ ატარებს, ცხოვრება მაინც არ მოუწამლოს. მაგრამ ამისათვის საჭიროა ფული, თანაც ბევრი და ეს ფული აუცილებლად ჭკვიანი ჩინოვნიკების ხელში უნდა მოხვდეს, რომ ჩვენს შემთხვევაში ამა თუ იმ თაეტრის შესაფასებლად მხოლოდ მაყურებლის რაოდენობა ან მომრავლებული თეატრალური ფესტივალები არ გახდეს გადამწყვეტი. პუბლიკის გარეშე თეატრი მართლაც ვერ იარსებებს, თუმცა პუბლიკასაც გააჩნია. ბუნებრივია, ბოლო დროს გახშირებული ეროტიკული სკეტჩები, მსუბუქი დივერტისმენტები, სახალისო ბუფონადები თუ იაფასიანი "კაპუსტნიკები" მეტ მაყურებელს მიიზიდავს, ვიდრე შექსპირის მონოლოგები. ამ პრინციპით თუ ვიმსჯელებთ და პარალელს მომიჯნავე სფეროსთან, მუსიკასთან გავავლებთ, გამოვა, რომ ყველაზე წარმატებულ მუსიკოსად ლექსენი უნდა ჩაითვალოს, ელისო ვირსალაძეს კი საკონცერტო სივრცე არ დავუთმოთ. მსტისლავ როსტროპოვიჩსაც არ დაესიზმრება იმხელა ჰონორარები, მაიკლ ჯექსონს რომ სთავაზობენ, მაგრამ როსტროპოვიჩის გრაფიკი რამდენიმე წლით ადრე დგება - სულ ესაა და ეს.

გასაგებია, რომ პატარა თეატრების სცენებზე მასშტაბური დადგმები ვერ განხორციელდება და უპირატესობა ტექნიკური თვალსაზრისით მარტივად დასადგმელ პიესებს მიენიჭება. ასევე ანგარიშგასაწევია თეატრის მდებარეობა და თუნდაც ადრინდელი წარმატებების ხარჯზე მოპოვებული რენომე. დღეს ხშირად გაიგონებთ, რომ თბილისში მომრავლებულ თეატრებს მაყურებელი იმიტომ ეტანება, რომ შარშან სეზონი არ გახსნილა რუსთაველის, მარჯანიშვილის, კინომსახიობთა თუ მოზარდ მაყურებელთა რუსულ თეატრებში. საბედნიეროდ, ამ თეატრების რეკონსტრუქცია მალე დამთავრდება და მომავალ სეზონზე მაინც ზუსტად გვეცოდინება, როგორ ნაწილდება მაყურებელი თბილისის სავადასხვა სცენაზე. შეიძლება ამდენი თეატრი მართლაც აღარაა საჭირო, ოღონდ ნუ დაგვავიწყდება, რომ შესაძლოა, რომელიმე მათგანის დახურვა სახელმწიფოსთვის გაცილებით წამგებიანი აღმოჩნდეს. მაგალითად, თუ აღარ იარსებებს იუმორისა და სატირის თეატრი, ფაქტობრივად დაიკარგება ერთი მეტად საჭირო ჟანრი და მისი ხელახლა აღორძინება გაცილებით ძვირი დაგვიჯდება. იქნებ, ახლა მაინც გააცნობიერონ ჩვენმა პატიოსანმა გვამებმა, რომ კულტურის მართვა არც ისე ადვილია და მხოლოდ მენეჯმენტის შედგენამდე არ დაიყვანება, თორემ წინააღმდეგ შემთხვევაში დაგვრჩება ბუღალტერია, მარტო ბუღალტერია კი მართლაც არ არის თეატრი.

## იყო, არის და იქნება

პირველი გვერდიდან

რისი გაკეთება შეუძლია დღევანდელ პირობებში კავშირს? არც ისე ბევრის, მაგრამ ის კი შეუძლია, ხელისუფლებას ხშირ-ხშირად შეახსენოს, რომ თეატრიც სახელმწიფოს საკუთრებაა, საკუთრებას კი გაფრთხილება სჭირდება.

ყველას კარგად გვახსოვს კავშირის თავმჯდომარის არჩევნები, რომელმაც საპრეზიდენტო თუ საპარლამენტო არჩევნებზე მეტი მღელვარება გამოიწვია. სასაცილო იქნებოდა იმის მტკიცება, რომ თავმჯდომარეობის პრეტენდენტები - გიგა ლორთქიფანიძე და ავთო ვარსიმაშვილი - რაღაც განსაკუთრებულ პროგრამებს წარმოადგენდნენ. განსხვავებული პროგრამები ჩვენს ქვეყანაში პოლიტიკოსებისთვისაც უცხო ხილია და საბოლოოდ ყველაფერი ერთი პიროვნების ავტორიტეტამდე დადის. ამ შემთხვევაშიც ასე მოხდა და საკითხი ასე დაისვა: ან გიგა ლორთქიფანიძე, ან ავთო ვარსიმაშვილი. რაოდენ უცნაურადაც უნდა მოგეჩვენოთ, ამ უკანასკნელს სწორედ მისმა ყოფილმა თანაგუნდელებმა არ დაუჭირეს მხარი, ალბათ ისევ მოჭარბებული ამბიციების გამო ან სულაც იმიტომ, რომ ვარსიმაშვილს თაობის ლიდერად არ აღიქვამენ. მარტივად რომ ვთქვათ, "კომედიანტებსა" და "ტერეზა რაკენს" ისევ "ფოროსმანი" თუ "ოიდიპოს მეფე" ამჯობინეს. ასეა თუ ისე, კავშირს ისევ გიგა ლორთქიფანიძე უდგას სათავეში, თეატრის კანონი ისევ დასახვეწია, თეატრების სტატუსი - კვლავაც გაურკვეველი და რაც ყველაზე სავალალოა, ბევრი დიდი მსახიობი ლუკმა-პურის გარეშეა დარჩენილი, ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით.

მაგონდება გიგა ლორთქიფანიძის ემოციური გამოსვლები პარლამენტში, მათ შორის თეატრებთან დაკავშირებითაც. არადა, ბატონი გიგა არაფერს განსაკუთრებულს არ ითხოვდა - იგი კოლეგებს ქველმოქმედების კანონის აუცილებლობაზე მიუთითებდა, რომ ქველმოქმედ ბიზნესმენებს საგრძნობი შეღავათები მისცემოდათ და არამად ნაშოვნი ფული ქართულ კულტურაში დაებანდებინათ. აფსუს! აშენდა ბევრი კაზინო, სახინკლე, საუნა, ეკლესიაც... ოთხივე საჭიროა, მაგრამ ერთი თეატრისთვის მაინც რომ მიეხედა თავიდან ბოლომდე რომელიმე აქაურ ბიზნესმენს და სანაცვლოდ გარკვეული შეღავათები მისცემოდა, დღეს "თატრის მოღვაწეთა კავშირის" თავმჯდომარე სინანულით აღარ იტყოდა: მინდოდა მიგვეღო ეს კანონი, მაგრამ...

ბოლოს მინდა ერთი კითხვა დავსვა ყოველგვარი ქვეტექსტის გარეშე: იმ შემთხვევაში, თუ კავშირი თვითლიკვიდაციას გადაწყვეტს, ვის დარჩება მისი კუთვნილი ქონება - სახელმწიფოს, კავშირის წევრებს თუ ვინმე სხვასაც? ამას იმადაც ვკითხულობ, რომ თეატრის მოღვაწეები ან ამ სფეროსთან დაახლოებული პირები, მათ შორის სახელმწიფო მოხელეებიც, ამ კითხვის დასმისას დიქტოფონს გამოგართვევინებენ და მრავალმნიშვნელოვნად გაგიღიმებენ. შენც სხვა გზა არ გრჩება, რაღაც მაკვარანცხული უნდა იფიქრო და დაასკვნა: ამ კავშირს პრობლემები ადრეც ჰქონდა, დღეს საკმარისზე მეტი დაუგროვდა, რა იქნება ხვალ?

### კომენტარი

**ავთო ვარსიმაშვილი, გრიბოედოვის სახელობის თეატრისა და თავისუფალი თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი:** "ჩვენს ქვეყანაში თეატრისათვის დაფინანსება არასოდეს არ არის სამყოფი და სათანადო, მაგრამ ფარ-ხმალი არ დაგვიყრია და არც ახლა ვაპირებთ. წელს იმედი გვქონდა, გაზრდილი ბიუჯეტი ბევრი პრობლემის მოგვარების საშუალებას მოგვცემდა, მაგრამ პირიქით მოხდა - დაახლოებით 35 ათასი ლარით შეგვიმცირდა. გამოყოფილი თანხები ნოემბრამდე გვეყოფა, მერე კი მოსაძიებელი გვექნება ფინანსები, რომელიც ხელფასებს და კომუნალური გადასახადების გაცემას მოხმარდება. ახალი ხელისუფლება ნაკლებად ფიქრობს კულტურაზე და ხელოვნებაზე. მესმის, ჯერ პირველ ნაბიჯებს ვდგამთ, მაგრამ ვშიშობ, ხელოვნებისადმი ასეთმა მიდგომამ კატასტროფულ და გამოუსწორებელ შედეგამდე არ მიგვიყვანოს. თუ ვინმე გვეხმარება და ჩვენი გასაჭირი გულთან მიაქვს, მერია და ქალაქის კულტურის სამსახურია. მიუხედავად ყველაფრისა, ახალი სეზონისათვის ვემზადებით და წინ გრანდიოზული გასტროლები გველოდება. 28 სექტემბერს ჩვენი თეატრი გასტროლებზე ბრესტში გაემგზავრება, შემდეგი ლვოვი იქნება, სადაც "ოქროს ლომის" ფესტივალში მივიღებთ მონაწილეობას. გასტროლებს კიევში დავასრულებთ. ამ სეზონისათვის გრიბოედოვის სახელობის თეატრი სიურპრიზებს სთავაზობს მაყურებელს და რვა სპექტაკლს უჩვენებს, თავისუფალი თეატრი - ათ სპექტაკლს შესთავაზებს საზოგადოებას. რაც შეეხება გასტროლების დაფინანსებას, მასში ლომის წილი მასპინძელ ქვეყნებს მიუძღვით".

**გია თევზაძე, რუსთაველის თეატრის გენერალური დირექტორი:** "მიმდინარე წელს ბიუჯეტში 410 ათასი ლარია გათვალისწინებული, თუმცა რამდენს მოგვცემენ, ჯერჯერობით, დაუდგენელია. ეს თანხა სრულადაც რომ მივიღოთ, ხელფასების დაფარვასაც ვერ შევძლებთ, ამისათვის სულ მცირე მილიონ ნახევარი ლარი მაინცაა საჭირო. სახელმწიფომ თეატრი მთლიანად რომ შეინახოს, ამისათვის სამი მილიონნახევარი ლარია საჭირო. რუსთაველის თეატრი უნიკალური არქიტექტურული ძეგლია და არ შეიძლება, იგი რომელიმე სხვა თეატრს გავუთანაბროთ. მას მარტო სამი უზარმაზარი სცენა აქვს - 800, 300 და 160 კაცზე. არც ერთ ქვეყანაში თეატრი რენტაბელური არ არის. ეს მნიშვნელოვანი შენობა სახელმწიფოს მიერ 35 მილიონ ლარად არის შეფასებული, რომლის პროცენტული გადასახადი წელიწადში 350 ათასი ლარი უნდა იყოს. მარტო შენობა მინიმუმ 100 მილიონი ლარი მაინც ღირს. სეზონის გახსნას წელს არ ვაპირებთ, რადგან თეატრში სარესტავრაციო სამუშაოები მიმდინარეობს. რომ არა ჩვენი მეცენატი, ვერაფერს გავხდებოდით. სამწუხაროდ,ეს ადამიანიც იბეგრება ქველმოქმედებისათვის, არადა პირიქით უნდა ხდებოდეს. გვესმის, რომ მთავრობა პირველ ნაბიჯებს დგამს, მაგრამ, სამწუხაროდ, იგი შესაძლებლობის 80 პროცენტსაც ვერ იყენებს."

**ეკა მაზმიშვილი, თეატრალური სარდაფის მენეჯერი:** "დაფინანსების მხრივ არც ჩვენ ვართ განებივრებული და აყვავებული, მაგრამ დიდ დახმარებას გვიწევს მზრუნველთა საბჭო, რომლის წევრები არიან ქალაქის მერია, გაერთიანებული ქართული ბანკი, "თბილღვინო," კორძაძის საადვოკატო ბიურო, ფირმა "ნესტლე." მათ მიერ გამოყოფილი თანხები 50 ათასი ლარია, ამდენივეს ქალაქის კულტურის სამსახური გვირიცხავს, რომელიც მხოლოდ სადამდგმელო ხარჯებს ხმარდება. რეპერტუარი მრავალფეროვანია და სპექტაკლების 80 პროცენტი ანშლაგებით მიმდინარეობს, მაგრამ ბევრი უბილეთო მაყურებელიც გვყავს, მით უმეტეს ომის ვეტერანები და მზრუნველობას მოკლებული ბავშვები უფასოდ დადიან".

*ესაუბრა ნინო ბერელიძე*

## "ზოგჯერ მაინც მობრძანდით თეატრში"

მოკრძალებულად შეახსენებს ნანა ფაჩუაშვილი ყველას, ვისაც თეატრებზე ზრუნვა ევალება. რუსთაველის თეატრის ერთ-ერთ წარმატებულ მსახიობს სხვა სცენებზეც დიდი სიხარულით იწვევენ და კინოსერიალებშიც იღებენ. დღევანდელი გადმოსახედიდან ამ მშვენიერ ქალბატონს თითქოს სასაყვედუროც ნაკლები უნდა ჰქონდეს. სწორედ ამიტომაა საყურადღებო ეს მცირე მონოლოგი ყოფით პრობლემებზე. ქალბატონი ნანა კი ასე ფიქრობს:

"კომუნისტების დროს არ მივტირი, მაგრამ მაშინ სახელმწიფოს დამოკიდებულება თეატრებისადმი სხვაგვარი იყო. არ ვამბობ, რომ სახელმწიფო სტრუქტურების წარმომადგენლები სისტემატურად უნდა დადიოდნენ თეატრებში, მაგრამ ზოგჯერ მაინც უნდა მობრძანდნენ, ნახონ, რა ხდება თეატრებში და მხოლოდ გაგონილს არ დასჯერდნენ. კომუნისტების დროს, გასტროლებიდან როცა ვბრუნდებოდით, შევარდნაძე გვიბარებდა და ანგარიშს ვაბარებდით. რამდენიმე თეატრში ვთამაშობ



*ახლა ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, თითქოს თეატრები დღევანდელ მინისტრის კომპეტენციაში არ შედის.*

და გიგა ლორთქიფანიძის გარდა, არსად არ მინახავს ის პირები მოსული, ვინც თეატრებს კურირებენ. ამა თუ იმ თეატრის ბედს რომ წყვეტ, იმ თეატრში ნამყოფი მაინც ხომ უნდა იყო? მაგალითად, ახმეტელის თეატრით ვარდების რევოლუციის შემდეგ არავინ დაინტერესებულა, თუმცა ბიუჯეტი შეუმცირეს. მაგრამ იციან, ვის და რატომ უმცირებენ ბიუჯეტს? სადმე ახალი თეატრი როცა იხსნება, თუ არ დაპატიჟე, ან გინდაც, დაპატიჟე, კულტურის სამინისტროს წარმომადგენლები არც კი მოდიან. არადა, ეს ხომ მათი მოვალეობაა. ყოფილ კულტურის მინისტრს ძალიან ბევრი რამ ეხებოდა, ახლა ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, თითქოს თეატრები დღევანდელი მინისტრის კომპეტენციაში არ შედის. ოფიციოზს ხალხის აზრი, როგორც ჩანს, არ აინტერესებს - ასე რომ არ იყოს, მაგალითად ახმეტელის თეატრს თანხას არ ჩამოაჭრიდნენ და ყველანაირად ეცდებოდნენ, ამ სპეციფიკურ რაიონში (გლდანს ვგულისხმობ) არ მოისპოს კულტურის ერთადერთი კერა. არსებობის უფლება ყველა თეატრს აქვს, რადგან თითოეულ მათგანს საკუთარი ხელწერა გააჩნია. მაგრამ თეატრმა ახალგაზრდობა უნდა აღზარდოს, დღეს კი ხშირად პირიქით ხდება - თეატრი ერგება მაყურებელს. ეს საშიში ტენდენციაა. დღევანდელმა მოზარდებმა არც კი იციან, რა არის კარგი თეატრი. დაკვირვებიხართ, როგორ გამოხატავენ ემოციებს? არ მახსოვს, ჩემს ახალგაზრდობაში სერგო ზაქარიაძისთვის ვინმეს შუა სპექტაკლში დაეკრას ტაში, მით უფრო დაესტვინოს და ფეხები ებაკუნებინოს. სამწუხაროდ, ყველაფერი, რაც გარეთ ხდება, - ცუდი მაქვს მხედველობაში, - უკვე თეატრშიც აისახა".

მთავარი თემა მოამზადა სოფო თოდუამ

## "ეკონომიკური კორუფციის მონიტორინგის ცენტრი" - ენერგოკორუფციის წინააღმდეგ

1 ოქტომბრიდან არასამთავრობო ორგანიზაცია "ეკონომიკური კორუფციის მონიტორინგის ცენტრმა" აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოს დაფინანსებით ენერგოსექტორში მიმდინარე პროცესების მონიტორინგის პროექტის განხორციელება დაიწყო. პროექტი "ენერგეტიკა კორუფციის გარეშე" საქართველოში მიმდინარე ენერგეტიკული რეფორმების მიმდინარეობის მონიტორინგს ისახავს მიზნად. პროექტი მიმართულია ენერგოსექტორში მოქმედი კორუფციული სქემების გამოვლენისა და მათ აღმოსაფხვრელად აუცილებელი რეკომენდაციების შემუშავებისაკენ. პროექტის მიმდინარეობა გაშუქდება გაზეთ "24 საათისა" და სამაუწყებლო კომპანია "რუსთავი 2"-ის საშუალებით. პროექტის განხორციელებაში სხვა მასობრივი ინფორმაციის საშუალებების ჩართვაც იგეგმება.

*24 საათი*

## "აზოტი", "იტერას" გავლით, "გაზპრომის" ჯიბეში

ნიკა მარიამიძე

ამ ორიოდე წლის წინ "იტერასთვის" ზარ-ზეიმით გადალოცილი "აზოტი", შესაძლოა, მალე "გაზპრომის" საკუთრებად იქცეს. ყოველ შემთხვევაში, კანცელარიის კულუარებში ამის თაობაზე მიმდინარე საუბრები გუშინ ეკონომიკური განვითარების მინისტრმა კახა ბენდუქიძემაც დაადასტურა. მისი თქმით, ვინაიდან "აზოტის" ამჟამინდელი მეპატრონე "იტერა" ნაკისრ ვალდებულებებს არ ასრულებს, სამინისტრო მისთვის საწარმოს ჩამორთმევას და "გაზპრომთან" "აზოტის" მიყიდვის შესახებ მოლაპარაკებების დაწყებას აპირებს.

როგორც ირკვევა, ეკონომიკური განვითარების მინისტრის ინფორმაციით, ქართული მხარე "იტერას" 800 ათას დოლარს ედავება. **"თუ ოქტომბრის შუა რიცხვებამდე "იტერა" ჯარიმის სახით საქართველოს ამ თანხას არ გადაუხდის და ნაკისრ ვალდებულებებს არ შეასრულებს, მას "აზოტი" ჩამოერთმევა,"** - განაცხადა გუშინ ბენდუქიძემ. მისივე თქმით, ამ თემაზე საუბარი გუშინ ეკონომიკური განვითარების მინისტრსა და საქართველოში ვიზიტად მყოფ "გაზპრომის" წარმომადგენლებს შორის გაიმართა.

**"გაზპრომის" წარმომადგენლები "აზოტის" შესყიდვით იყვნენ დაინტერესებულნი. თუ "იტერას" "აზოტი" ჩამოერთვა, შესაძლოა, იგი "გაზპრომმა" შეიძინოს,"** - განაცხადა ბენდუქიძემ.

"იტერა-ჯორჯიაში" კომპანიისთვის "აზოტის" ჩამორთმევის შესაძლებლობას უარყოფენ. **"ამის არავითარი საფუძველი არ არსებობს,"** - განუცხადა "24 საათს" "იტერას" წარმომადგენელმა "აზოტში" დავით ელიაშვილმა. მისი განცხადებით, გაუგებარია, რა პრეტენზიების წაყენებას აპირებს ქართული მხარე "იტერა-ჯორჯიასთვის", როცა თავად "იტერა-ჯორჯიას" დროთა განმავლობაში ქართული მხარის მიმართ საკმარისზე მეტი პრეტენზიები დაუგროვდა.

შეგახსენებთ, ეკონომიკის მინისტრის მიერ გაკეთებული განცხადებების პარალელურად, საქართველოს სახელისუფლებო წრეებში "გაზპრომისათვის" საქართველოს მაგისტრალური გაზსადენების გადაცემის საკითხზე მსჯელობა უკვე მიმდინარეობს.

## "დიდი შვიდეული" მსოფლიოს ვეღარ მართავს

"შესაძლოა, "დიდი შვიდეული" "დიდ ათეულადაც" მოგვევლინოს. იგი ვეღარ მართავს მსოფლიოს," - გაისმა გუშინ ვაშინგტონში ეკონომიკური კლუბის ფინანსთა მინისტრების შეხვედრაზე. გაერთიანების გაზრდის შესახებ ოფიციალური განცხადება არ გაკეთებულა, თუმცა უკვე გაჩნდა ამის ვარაუდის საფუძველი. გუშინ ვაშინგტონში შემდგარ "დიდი შვიდეულის" ფინანსთა მინისტრების შეხვედრას პირველად დაესწრნენ ჩინეთის და საუდის არაბეთის წარმომადგენლები. რუსეთთან ერთად ამ ქვეყნებმა შვიდეულის შეხვედრა ათეულამდე აიყვანეს.

როგორც მსოფლიო ანალიტიკოსები მიიჩნევენ, ამ ქვეყნების "დიდი შვიდეულის" შეხვედრებში მონაწილეობა, პირველ რიგში, იმით არის განპირობებული, რომ მათ გარეშე შეუძლებელი ხდება სავალუტო ბაზარზე სიმშვიდის დაბრუნება და ნავთობის ფასების ნორმაზე დაგდება.

ამ შვიდ უმსხვილეს ინდუსტრიალურ ქვეყანაზე მსოფლიოს შიდა პროდუქტის ორი მესამედი მოდის, სწორედ ეს იძლევა საფუძველს, რომ ერთ ოთახში შეკრებილ ფინანსთა მინისტრებს "მსოფლიოს ფინანსური ხელისუფლება" ვუწოდოთ. **"ახლა სიტუაცია სხვაგვარადაა. ჩინეთსა და საუდის არაბეთზე ეკონომიკური კლუბის მხრიდან მოთხოვნილება გაჩნდა. მათ არ გააჩნიათ არანაირი პრეტენზია პოლიტიკურ მნიშვნელობაზე. ამ ორი ქვეყნის გავლენა მსოფლიო ეკონომიკაზე გაცილებით დიდია, ვიდრე მათი "წონა" მსოფლიოს ერთობლივ პროდუქტში. მათ გარეშე შეუძლებელია გადაიჭრას ნავთობისა და სვალუტო ბაზრის პრობლემები,"** - აცხადებენ მსოფლიო საფინანსო ბაზრის წარმომადგენლები.

*24 საათი*

## ორი სიტყვით

**თბილისი.** ავიაკომპანია "აირზენა-საქართველოს ავიახაზები" დღეიდან სახელწოდებას შეიცვლის და მას "ჯორჯიან ეარვეისი" დაერქმევა. "აირზენას" ცნობით, კომპანიას სახელი ახალი საერთაშორისო პრაქტიკიდან გამომდინარე ეცვლება. "საერთაშორისო რეისების განმახორციელებელი ავიაკომპანიები ცდილობენ, მათ სახელწოდებაში ქვეყნის სახელი ფიგურირებდეს," - განაცხადეს კომპანიაში. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** სოფლის მეურნეობის მინისტრი დავით შერვაშიძე და პრეზიდენტის რწმუნებული კახეთის რეგიონში, პეტრე ცისკარიშვილი, პარასკევს დედოფლისწყაროს მოსახლეობას და იქაურ მეღვინეებს შეხვდა. შეხვედრაზე მიღწეული შეთანხმებით, სახალხო ბანკი სამთაწყაროს ღვინის ქარხანას ყურძნის შესაძენად 18-პროცენტიან კრედიტს გამოუყოფს. ქარხანა მზად არის, კრედიტით გლეხებისგან 500-600 ათასი ტონა ხარისხიანი ყურძენი შეიძინოს. შესასყიდი თანხა 1 კილოგრამ რქაწითელზე 40 თეთრით განისაზღვრა, საფერავზე კი 1,40 ლარით. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით, მევენახეობისა და მეღვინეობის დარგის სტიმულირებისთვის ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხა, 600 ათასი ლარი, გაორმაგდა და ამჟამად მილიონ ლარს აჭარბებს. **პრაიმ-ნიუსი**

**ს.ს. "თელასი"**
**გთხოვთ მოგვაწოდოთ დენის ტრანსფორმატორი -**
ТФЗМ-110 Б -1У1- 300-600/5 - 1ც

*გთხოვთ გაითვალისწინოთ, რომ დენის ტრანსფორმატორი უნდა იყოს ახალი, გამოუყენებელი და შესაბამისი გარანტიებით.*

დაინტერესებულმა ორგანიზაციებმა დაწვრილებითი ინფორმაციის
მისაღებად მოგვმართონ სს "თელასის" კონტრაქტებისა და შესყიდვების განყოფილებაში;
ტელეფონის ნომრებზე: 77 98 55; 77 98 57; 77 98 53;

წერილის წარმოდგენის ბოლო ვადაა 2004 წლის 8 ოქტომბერი.

**ს.ს. "თელასი"**
**გთხოვთ მოგვაწოდოთ**
КТП 630 / 6 / 0.4кв - 1ც

*გთხოვთ გაითვალისწინოთ, რომ კრო უნდა იყოს ახალი, გამოუყენებელი და შესაბამისი გარანტიებით.*

დაინტერესებულმა ორგანიზაციებმა დაწვრილებითი ინფორმაციის
მისაღებად მოგვმართონ სს "თელასის" კონტრაქტებისა და შესყიდვების განყოფილებაში;
ტელეფონის ნომრებზე: 77 98 55; 77 98 57; 77 98 53;

წერილის წარმოდგენის ბოლო ვადაა 2004 წლის 8 ოქტომბერი.

# 2005 წლის ბიუჯეტი 2,106 მლრდ ლარის ხარჯებს დააფინანსებს

თამარ ივანიძე

*2005 წლის საქართველოს ბიუჯეტი 2,106 მლრდ ლარის ოდენობის ხარჯებს დააფინანსებს. ეს 7 პროცენტით მეტია წლევანდელი ბიუჯეტის მაჩვენებელზე. პრემიერი ზურაბ ჟვანია ამბობს, რომ ბიუჯეტის პარამეტრების "ნახტომისებური ზრდა" ამჯერად ორი მიზეზით არ მოხდა - პირველ რიგში, 2004 წელს ასეთი "ნახტომი" უკვე განხორციელდა, მეორეც - ხელისუფლება აღარ აპირებს პროკურატურის და სხვა მაკონტროლებლების აქტიურობის წყალობით შეავსოს ბიუჯეტი.*



ვახო ბესელიას ფოტო

*"კოდექსის მიმართ შენიშვნებს ისეთი ადამიანები გამოთქვამენ, რომლებსაც არ სურთ ქვეყანაში სოციალური სტაბილურობის დამყარება."*

არის კიდევ ერთი დეტალი - ბიუჯეტის ხარჯებში სრულად არ არის გათვალისწინებული მოსალოდნელი საპრივატიზაციო თანხები, რადგან ეს თანხები სპეციალურ ფონდში ჩაირიცხება და მიზნობრივ პროგრამებს მოხმარდება.

ციფრებში 2005 წლის ბიუჯეტის შემოსავლები ასე გამოიყურება: ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლები მიმდინარე წელთან შედარებით 20 პროცენტით გაიზრდება, ხოლო არასაგადასახადო შემოსავლების გეგმა კი პირიქით - 113 მლნ ლარით შემცირდება. პრივატიზაციიდან შემოსავლები ბიუჯეტის პროექტში 94 მლნ ლარითაა დაგეგმილი (სპეციალური ფონდის სავარაუდო შემოსავლების გარეშე). საკმაოდ მცირე თანხაა გათვალისწინებული გრანტების სახით, თუმცა პრემიერი განმარტავს, რომ ეს იმით არის განპირობებული, რომ დონორებს, ჯერჯერობით, პრიორიტეტები არ განუსაზღვრავთ და ამიტომ გრანტების მოსალოდნელ ხარჯებში გათვალისწინება ვერ მოხერხდა.

რაც შეეხება პროკურატურის მიერ მობილიზებული თანხების შემცირებას - ზურაბ ჟვანია გუშინ კვლავ დაუბრუნდა საფინანსო ამნისტიის იდეას, თუმცა განსაკუთრებით აღნიშნა, რომ საქმე ეხება 2004 წლის 1 იანვრამდელ შეცოდებებს.

პრემიერ-მინისტრმა ის პრიორიტეტებიც დაასახელა, რომელზეც ბიუჯეტის თანხები გადანაწილდება. პირველ რიგში, მოგვარდება სიღატაკის დაძლევის პრობლემა. იმისათვის, რომ სახელმწიფო ბიუჯეტიდან მოხდეს უკიდურესი სიღატაკის ზღვარს ქვემოთ მყოფი ოჯახებისთვის პრობლემის მოგვარება, მოსახლეობა თვეში, სავარაუდოდ, 55-60 ლარს მიიღებს, ანუ მარტოხელა პენსიონერი, რომელიც იღებს 20 ლარს, დამატებით 40 ლარსაც მიიღებს.

ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტად მთავრობა სახელფასო და საპენსიო დავალიანებების დაფარვას მიიჩნევს. პრემიერ-მინისტრის თქმით, მთავრობა ასრულებს იმ დანაპირებს, რომელიც მან ჯერ კიდევ წინა ხელისუფლებაში ყოფნისას დადო და სახელმწიფო სტრუქტურებში ხელფასებს 115 ლარამდე ზრდის.

ამასთან, პრიორიტეტად რჩება ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის განმტკიცება.

რაც შეეხება საგადასახადო კოდექსს - საქართველოს პრემიერ-მინისტრის ზურაბ ჟვანიას განცხადებით, ახალ საგადასახადო კოდექსში გადასახადების განაკვეთები და ადმინისტრირების მეთოდები არ შეიცვლება და კოდექსის არსებულ ვარიანტში მხოლოდ დაბეგვრის მექანიზმები გადაიხედება; მაგალითად ის, თუ რამდენი კვადრატული მეტრი და როდის აშენებული ბინები შეიძლება დაიბეგროს.

პრემიერ-მინისტრის შეფასებით, ევროპაში ყველაზე ლიბერალური საგადასახადო კოდექსის მიმართ გამოთქმული შენიშვნები ტენდენციური და არაკომპეტენტურია.

**"კოდექსის მიმართ შენიშვნებს ისეთი ადამიანები გამოთქვამენ, რომლებსაც არ სურთ ქვეყანაში სოციალური სტაბილურობის დამყარება. ახალი კოდექსი არ არის გათვლილი მაღალშემოსავლიანი ფენებისათვის შეღავათების გაკეთებაზე. ძვირადღირებული სახლების და ავტომანქანების შეძენის შესაძლებლობის მქონე მოქალაქეები მეტად დაიბეგრებიან"**,

# მეცხრე ბლოკი ჩაირთო

## "რაო ეეს როსიისთან" საქართველოს ხელისუფლებას სრული კონსენსუსი აქვს

*გუშინ თბილისს რუსული ენერგოგიგანტის "რაო ეეს როსიის" გამგეობის წევრი, "თელასის" სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე ანდრეი რაპაპორტი ეწვია. ვიზიტის მიზანი შემოდგომა-ზამთრის პერიოდში საქართველოს ელექტრომომარაგების უზრუნველყოფის მიზნით საქართველოს მთავრობასა და "რაო ეეს როსიის" შორის საგანგებო მემორანდუმის გაფორმება იყო. რაპაპორტმა თავისი ვიზიტი ქართული მხარისთვის ერთობ ღირსშესანიშნავ თარიღს - "თბილსრესის" მე-9 ენერგობლოკის ჩართვის დღეს დაამთხვია.*

ნიკა მარიამიძე

გუშინ საქართველოს პრემიერ-მინისტრ ზურაბ ჟვანიასა და ანდრეი რაპაპორტს შორის გაფორმებული მემორანდუმის მიხედვით, რუსულმა მხარემ შემოდგომა-ზამთრის პერიოდში საქართველოში არსებული საკუთარი კომპანიების ("თელასი" და "მტკვარი-ენერგეტიკა" ("თბილსრესის" მე-9 ენერგობლოკი) მუშაობა და, საჭიროების (ანუ ელექტროენერგიის დეფიციტის) შემთხვევაში, რუსეთიდან და სომხეთიდან დენის იმპორტირების ვალდებულება აიღო. სემეკ-მა სომხეთიდან და რუსეთიდან ელექტროენერგიის იმპორტის ლიცენზია "თელასს" ამ ორი დღის წინ მისცა.

როგორც "რაო ეეს როსიის" თავკაცმა მემორანდუმის ხელმოწერის შემდეგ ჟურნალისტებს განუცხადა, **"თუ მემორანდუმი შესრულდება, საქართველო მართლაც ნორმალურად გამოიზამთრებს. ტექნიკური თვალსაზრისით ამისთვის ყველაფერი მზად არის."**

**"საუბარია თბილისის 24 საათით ელექტროენერგიით მომარაგებაზე, ხოლო საქართველოს რეგიონებში ნორმალური გრაფიკი უნდა დაწესდეს, რათა ადამიანებს მართლაც ნორმალური ცხოვრების საშუალება ჰქონდეთ,"** - დასძინა პრემიერ-მინისტრმა ზურაბ ჟვანიამ. მისი შეფასებით, მეცხრე ენერგობლოკის პირველ ოქტომბერს ჩართვა უპრეცედენტო მოვლენაა, რადგან ასეთი რამ ბოლო 5 წლის განმავლობაში არ მომხდარა. **"ბლოკის ჩართვა "ენგურჰესზე" წყლის რესურსების დაზოგვის შესაძლებლობას მოგვცემს,"** - განაცხადა პრემიერმა.

სანაცვლოდ, ქართულმა მხარემ "რაოს" ქართული შვილობილებისთვის ფინანსური პრობლემების მოხსნა იკისრა. კერძოდ კი, მემორანდუმის თანახმად, საბითუმო ბაზარმა "მტკვარი-ენერგეტიკის" ფუნქციონირებას **"ფინანსური პრობლემები არ უნდა შეუქმნას."**

ამავე მემორანდუმით, "რაო ეეს როსიი" მზადაა, "თელასის" გარდა დენი "საქართველოს სხვა ელექტროგამანაწილებელ კომპანიებსაც" (ანუ საქართველოს რეგიონებში მოქმედ "საქართველოს გაერთიანებულ სადისტრიბუციო ენერგოკომპანიას", "კახეთის ენერგოდისტრიბუციას" და "აჭარის ენერგოკომპანიას") მიაწოდოს. რასაკვირველია, იმ შემთხვევაში, თუ მათ ამისათვის საჭირო თანხები აღმოაჩნდებათ.

სამაგიეროდ, რაპაპორტის თქმით, "რაო" საქართველოს ზამთრის პერიოდში პრობლემებს არ შეუქმნის და 1 იანვრიდან "ხრამი-2"-ის ელექტროსადგურსაც აამოქმედებს. მანამდე კი კომპანიამ ამ სადგურზე სარეაბილიტაციო სამუშაოები უნდა დაასრულოს.

ერთი სიტყვით, ახლა, ახალი მემორანდუმის გაფორმების შემდეგ, ყველაფერი კარგადაა. მაგრამ, არსებობს კიდევ ერთი გარემოება, რომელიც გვაფიქრებინებს, რომ შესაძლოა, რუსეთიდან იმპორტს "სხვა ობიექტურმა გარემოებებმა" (კერძოდ კი, საქართველო-რუსეთის ერთობლივი საწარმო "საქრუსენერგოს" ტექნიკურმა მდგომარეობამ) შეუშალოს ხელი. "საქრუსენერგოს" გენერალური დირექტორის შოთა მაისურაძის განცხადებით, რუსეთიდან ელექტროენერგიის შემომტანი გამანაწილებელი ენერგოკომპანიები (მათ შორის, "თელასი") "საქრუსენერგოს" მომსახურების საფასურს არ უხდიან, რის გამოც კომპანია ზამთარში რუსეთიდან იმპორტის განხორციელებაზე პასუხისმგებლობის აღებას არ აპირებს.

რაც შეეხება ზემოთ ნახსენებ "ფინანსურ პრობლემებს", რომელთა გამოც "რაოსთან" საგანგებო მემორანდუმის გაფორმება გახდა საჭირო და "რაოს" მაღალჩინოსანს თბილისში ჩამოსვლა უკვე მერამდენედ მოუწია: "24 საათი" უკვე წერდა, რომ ელექტროენერგიის საბითუმო ბაზარს "თელასის" მიმართ 53-მილიონ ლარიანი დავალიანება აქვს, საიდანაც 23 მილიონამდე დარიცხული საურავია. სწორედ ამ თანხას სთხოვს "რაო ეეს როსიი" საქართველოს საბითუმო ბაზარს. ამ დავალიანების გამო სექტემბრის დასაწყისში "თელასის" გენერალური დირექტორი დანგირას მიკალაიუნასი მეცხრე ბლოკის ჩართვის საკითხს ეჭვქვეშაც კი აყენებდა.

"თელასს" ამ თანხების იმ 46 მილიონ დოლარში გაქვითვა სურს, რომელიც "რაოს" მიმართ საქართველოს აფხაზეთის ომის პერიოდში რუსეთიდან იმპორტირებული დენის საფასურის სახით დაუგროვდა. საქართველოს მთავრობა კი ამ ვალს არ აღიარებს. როგორც ენერგეტიკის მინისტრი ნიკა გილაური აცხადებს, ამ თანხიდან 29 მილიონი დოლარის ღირებულების ელექტროენერგიის იმპორტზე კონტრაქტი გაფორმებული არ არის, 8 მილიონი დოლარი კი კომპანია "ენერგოკონტრაქტის" კერძო ვალია, რომელიც საბითუმო ბაზარმა კი არა, "საქენერგოს" სამართალმემკვიდრე "საქენერგო 2000"-მა უნდა დაფაროს.

ამასთან, საქართველოში ისიც ახსოვთ, რომ "რაოს" "საქრუსენერგოს" საწესდებო კაპიტალის შესავსებად 23 მილიონ ლარამდე ჯერ კიდევ გადასახდელი აქვს.

# იტალიელებმა რუსთავის მეტალურგიული კომბინატის სამეთვალყურეო საბჭო სამუშაო ოთახიდან განდევნეს

გუშინ რუსთავის მეტალურგიული კომბინატის რეაბილიტაციის მმართველმა ბენო ქაშაკაშვილმა რუსთავის დრამატული თეატრის შენობაში საგანგებო პრესკონფერენცია გამართა და შეკრებილ ჟურნალისტებს ამცნო, რომ ამიერიდან კომბინატის სამკაციანი სამეთვალყურეო საბჭო თავის მოღვაწეობას თეატრის შენობაში განაგრძობს.

ბენო ქაშაკაშვილის განცხადებით, ამ რამდენიმე დღის წინ, იტალიელი ინვესტორების ბრძანებით, ქარხნის სამეთვალყურეო საბჭოს სამუშაო კაბინეტის კარს საკეტი გამოუცვალეს, რის გამოც საბჭოს წევრები - შალვა მარგალატიძე, გიორგი ფრუიძე და ომარ მიქაძე იძულებული გახდნენ, სამუშაოდ სხვა ადგილი მოეძებნათ და მათ გადაწყვიტეს, კაბინეტი რუსთავის დრამატული თეატრის შენობაში მოეწყოთ.

ბენო ქაშაკაშვილის განცხადებით, ამ გაწამაწიაში დაიკარგა ქარხნის ფინანსური დოკუმენტაცია, თუმცა კომბინატის რეაბილიტაციის მმართველი დარწმუნებულია, რომ ამ დოკუმენტაციის აღდგენა შესაძლებელი იქნება.

*24 საათი*

# "საქართველოს რკინიგზამ" სადგურების გარემონტება დაიწყო

*სენაკელებს დასავლეთ საქართველოში ყველაზე ახალი და ლამაზი რკინიგზის სადგური აქვთ. სადგურის პრეზენტაცია წითელი ლენტებითა და ეროვნული ცეკვის თანხლებით გაიმართა. წითელი ლენტი სენაკში გავლით მყოფმა პრემიერ-მინისტრმა ზურაბ ჟვანიამ გადაჭრა. სენაკის სადგურის პომპეზურ გახსნას, პრემიერ-მინისტრთან ერთად, შპს "საქართველოს რკინიგზის" ხელმძღვანელი დავით ონოფრიშვილი და ადგილობრივი სადგურების უფროსებიც ესწრებოდნენ.*

სოფიკო ოხანაშვილი

სენაკის სადგური სამოქალაქო არეულობის დროს დაზიანდა, მას შემდეგ სადგური ზერელედ ერთხელ შეაკეთეს. ახლა კი, სენაკის სადგურის კაპიტალური რემონტი და გვერდითი ფასადის აშენება "საქართველოს რკინიგზის" ბიუჯეტს 140 ათასი ლარი დაუჯდა. ამ თანხაში არ შედის სადგურის ინვენტარი, რომელიც სენაკის სადგურისთვის სამტრედიის სამმართველომ შეიძინა.

დავით ონოფრიშვილის თქმით, ყოველწლიურად კაპიტალურად შეკეთდება რამდენიმე სადგური. მისივე განმარტებით, სისტემატური რემონტის შედეგად სულ მალე აღარ იქნება საჭირო ასეთი ინტენსიური სამუშაოების ჩატარება და, საბოლოო ჯამში, საქართველოში კეთილმოწყობილი და სუფთა სადგურები იქნება.

წელს რკინიგზის სადგურების შესაკეთებლად "საქართველოს რკინიგზის" ბიუჯეტში ორი მილიონი ლარი იყო გათვალისწინებული. სამოქალაქო ნაგებობათა ექსპლუატაციისა და სამშენებლო-სარემონტო სამსახურის უფროსის პაატა კავკასიძის ინფორმაციით, ამ დროისთვის უკვე გახარჯულია მილიონ ნახევარი ლარი, რომელიც 60 დიდი და პატარა სადგურის შეკეთებასა და კაპიტალურ რემონტს მოხმარდა. წლის ბოლომდე "საქართველოს რკინიგზის" ხელმძღვანელობა ნახევარი მილიონის დახარჯვას გეგმავს რამდენიმე სადგურის კაპიტალურ რემონტსა და შეკეთებაში. წელს შესაკეთებელ სადგურთა სიაში ბაკურიანისა და ბორჯომის რკინიგზის სადგურებიც მოხვდა.

ცნობისთვის, სადგურების შესაკეთებლად და რემონტისთვის განკუთვნილი თანხები ბიუჯეტში ყოველწლიურად იყო გათვალისწინებული, მაგრამ არამიზნობრივად იხარჯებოდა. ონოფრიშვილის მტკიცებით, ამას ახლა ბოლო მოეღო.

"საქართველოს რკინიგზის" უფროსი დასავლეთ საქართველოს რკინიგზის სადგურების მონახულებით და სამტრედიის ტერიტორიული მართვის სამსახურის უფროსის კოტე ნინიძის ერთთვიანი მუშაობით კმაყოფილი დარჩა.

სენაკის კაპიტალურად გარემონტებული სადგური, გასუფთავებული ლიანდაგები, შეკეთებული ბაქნები, ფოთი-ქალადიდის 15 კილომეტრიან გადასარბენზე დაწყებული სარემონტო სამუშაოები, სალოკომოტივო დეპოების ტექნიკური გადაიარაღება - ეს იმ სამუშაოების ჩამონათვალია, რითიც კოტე ნინიძე უფროსის წინაშე იწონებდა თავს. თუმცა, იქვე ისიც აღიარა, რომ ჯერ კიდევ ძალიან ბევრი რამაა გასაკეთებელი. **"სადაც ჩვენ ვდგავართ, ეს არის სამტრედიის რკინიგზის ბაქანი, გაუზვიადებლად გეტყვით, აქ ერთი თვის წინ პირუტყვი ბალახს ძოვდა. ახლა კი, თავად ხედავთ შედეგს. თუმცა, ჯერ ბევრი რამ გვაქვს გასაკეთებელი. სერიოზული სამუშაოებია ჩასატარებელი ფოთში. სადგურ "სამტრედია 2"-ში კატასტროფული მდგომარეობაა, ამიტომ ამ ობიექტს ბოლოსთვის შემოვიტოვებთ და ერთობლივი ძალით შევესევით ამ მონსტრს"**, - განაცხადა ნინიძემ.

კიდევ ერთი საკითხი, რომელზეც ონოფრიშვილმა სამტრედიის სალოკომოტივო დეპოს მონახულებისას გააკეთა აქცენტი, რკინიგზის ტერიტორიაზე წლობით დაგროვილი ჯართია, რომელიც ყოველდღიურად იძარცვება. **"ათასობით ტონა ჯართი რკინიგზის კუთვნილ ტერიტორიაზეა მიმოფანტული. ჩვენ ვაპირებთ ერთ ადგილზე შეგროვებას და შემდეგ მის რეალიზაციას. ამაში კი ეკონომიკისა და ფინანსთა სამინისტროს დახმარება გვჭირდება."**, - განაცხადა ონოფრიშვილმა. ჯართის ექსპორტიდან მიღებული სოლიდური თანხით "საქართველოს რკინიგზის" შეფი ახალი ვაგონების და სხვა საჭირო მასალის შესყიდვას გეგმავს. უპატრონოდ დაყრილი და ჩამოწერილი ვაგონები ყოველდღიურად იძარცვება. ადგილობრივი ხელმძღვანელების თქმით, რამდენიმე დღის წინ 35 ცალი 100-კილოიანი ნაწილი მოიპარეს. ონოფრიშვილი ძალოვანი სტრქტურებისგან - ორგანიზებული დანაშაულის გამოძიებას, ხოლო ეკონომიკური პროფილის სამინისტროებისგან ჯართის საკითხის დროულად გადაწყვეტას მოითხოვს.

# ახალი "გრძელი ტელეგრამა"?

## ღია წერილი პუტინის პოლიტიკის წინააღმდეგ

*1946 წლის 22 თებერვალს აშშ-ს ელჩმა საბჭოთა კავშირში, ჯორჯ კენანმა ვაშინგტონში ტელეგრამა გაგზავნა გრიფით "სრულიად საიდუმლო". ეს დოკუმენტი მე-20 საუკუნის ისტორიაში "გრძელი ტელეგრამის" სახელწოდებით შევიდა და ცივი ომის დასაწყისის მაუწყებლად ითვლება. რამდენიმე დღის წინ იგივე პათოსის დოკუმენტი შეიქმნა. ადრესატი ამჟამადაც აშშ-ს პირველი პირია, თუმცა მასთან ერთად წერილის ავტორები ნატო-სა და ევროკავშირის სახელმწიფოთა სხვა ლიდერებსაც მიმართავენ. დაახლოებით ნახევარი საუკუნის წინანდელ დოკუმენტს ამჟამინდელისგან ის განასხვავებს, რომ დღეს მის ავტორად რამდენიმე, უფრო ზუსტად 115, აშშ-ს და ევროპის გავლენიანი მოქმედი თუ ყოფილი პოლიტიკოსი და პოლიტოლოგი გვევლინება. ისინი ღია წერილით ერთხმად მოუწოდებენ მსოფლიოს ლიდერებს რუსეთთან ურთიერთობის გადახედვისკენ...*

*ღია წერილის ნაწყვეტებს, სადაც, სხვათა შორის, საკმაოდ მკაცრ გამონათქვამებს შეხვდებით რუსეთის ამჟამინდელი ხელისუფლების მიმართ, რამდენიმე დღის წინ გაზეთები - "ფაინენშლ თაიმს დოიჩლანდ" და "ვაშინგტონ პოსტ" ავრცელებდა. წერილის ავტორები ცდილობენ, "თვალი აუხილონ" ჯორჯ ბუშსა და დასავლეთის სხვა ლიდერებს. "პუტინი წყალში ყრის საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ დაწყებული დემოკრატიული რეფორმების 14 წელიწადს," - აღნიშნულია წერილში.*

დოკუმენტის ხელმომწერთა აზრით, ყველაზე მეტად აღმაშფოთებულია ის, თუ როგორ ხსნის კრემლი რეფორმების აუცილებლობას. რბილად რომ ვთქვათ, მკრეხელობაა ბესლანის ტრაგედიის გამოყენება საკუთარი ძალაუფლების კონსოლიდაციისთვის, - მიიჩნევენ ექსპერტები. **"რუსეთის ახლანდელი ხელმძღვანელობა შორდება ევროატლანტიკური თანამეგობრობის ძირითად დემოკრატიულ ფასეულობებს,"** - ამბობენ დასავლელი პოლიტიკოს-პოლიტოლოგები.

აღსანიშნავია, რომ რუსეთში მიმდინარე პროცესებში წერილის ავტორები არა მარტო პუტინს, არამედ დასავლეთის ლიდერებსაც ადანაშაულებენ. **"ბოლო წლების განმავლობაში დასავლეთი ხშირად დუმდა იმ იმედით, რომ პრეზიდენტ პუტინის არასწორი მიმართულებით მოძრაობა მხოლოდ დროებითი მოვლენაა,"** - აღნიშნულია წერილში. მისი ავტორების აზრით, **"დასავლელმა პოლიტიკოსებმა უნდა აღიარონ, რომ რუსეთის მიმართ ჩვენი სტრატეგია ჩაიფუშა"** და იგი გადახედვას მოითხოვს.

წერილის ავტორები შემაშფოთებელ სიმპტომებს შორის აღნიშნავენ მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა დამოუკიდებლობის შეზღუდვას, ჩეჩნეთში ადამიანის უფლებების დარღვევას და პრეზიდენტ პუტინის მიერ გუბერნატორების პირდაპირი არჩევნების გაუქმებას. პუტინი **"ზღუდავს პრესის თავისუფლებას, სპობს რუსეთის ფედერაციულ სისტემას, თვითნებურად ციხეში სვამს რეალურ და წარმოსახვით პოლიტიკურ მოწინააღმდეგეებს, არჩევნებში მონაწილეობის საშუალებას არ აძლევს ლეგიტიმურ კანდიდატებს, აშინებს და აპატიმრებს არასამთავრობო ორგანიზაციების ლიდერებს და ასუსტებს პოლიტიკურ პარტიებს,"** - ეს ყოეველივე კი, ავტორთა აზრით, დასავლეთის ზოგჯერ გულგრილი, ზოგჯერ კი მეტისმეტად ლმობიერი დამოკიდებულების ბრალიცაა.

გარდა ამისა, საერთაშორისო პოლიტიკის ექსპერტებს არ გამორჩენიათ რუსეთის აგრესიულობა მეზობელ ქვეყნებთან მიმართებაში. **"პრეზიდენტ პუტინის საგარეო პოლიტიკისთვის სულ უფრო ხშირადაა დამახასიათებელი მუქარის ტონი მეზობელი ქვეყნების და ევროპის ენერგეტიკული უსაფრთხოების მიმართ, მილიტარისტულ და იმპერიულ რიტორიკაზე დაბრუნება და რუსეთის მიერ აღებული საერთაშორისო ვალდებულებების შეუსრულებლობა."**

წერილის მთავარი აზრი შემდეგია - სახეზეა დემოკრატიულ რეფორმებზე უარის თქმა. **"რუსეთის დემოკრატიული ინსტიტუტები ყოველთვის სუსტი და მყიფე იყო, მაგრამ პუტინის ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ ისინი კიდევ უფრო დასუსტდნენ,"** - აღნიშნავენ ავტორები.

წერილის ხელმომწერთა შორის არიან ამერიკელი და ევროპელი პოლიტიკოსები, ყოფილი პრემიერ-მინისტრები, მოქმედი პარლამენტარები და ავტორიტეტული პოლიტოლოგები. მათ შორის, ჩეხეთის ყოფილი პრეზიდენტი ვაცლავ ჰაველი, შვედეთის ყოფილი პრემიერ-მინისტრი კარლ ბილდტი და იტალიის ყოფილი პრემიერი ჯულიანო ამატო. გერმანელი პოლიტიკოსები გერმანიის "მწვანეთა პარტიის" ლიდერის რაინჰარდ ბიუტიკოფერის სახით არის წარმოდგენილი. ცნობილია, რომ უკანასკნელს არცთუ თბილი დამოკიდებულება აქვს გერმანიის კანცლერ გერჰარდ შრიოდერთან, რომელიც ოფიციალურ დონეზე რუსეთს მხარდაჭერას უცხადებს.

საინტერესოა წერილის ხელმომწერი ოკეანესგაღმელ პოლტიკოსების სიაც. საგულისხმოა, რომ აღნიშნულ დოკუმენტს ხელი მოაწერეს როგორც გავლენიანმა რესპუბლიკელებმა, ასევე დემოკრატებმა. აქ ნახავთ ამერიკის სენატის ყველაზე გავლენიან საგარეო პოლიტიკურ მოღვაწეებს - დემოკრატ ჯოზეფ ბაიდენს და რესპუბლიკელ ჯონ მაკკეინს. რუსეთს აკრიტიკებს აშშ-ს ყოფილი სახელმწიფო მდივანი მადლენ ოლბრაითი და აშშ-ს ყოფილი ელჩი გაერო-ში რიჩარდ ჰოლბრუკიც. აღსანიშნავია, რომ უკანასკნელს პრეზიდენტობის კანდიდატი ჯონ კერი გამარჯვების შემთხვევაში, სავარაუდოდ, ამერიკის სახელმწიფო მდივნის პოსტს შესთავაზებს.

წერილის ხელისმომწერთა შორის მრავლად არიან ცნობილი პოლიტოლოგებიც, და რაც ყველაზე საინტერესოა, აქ ნახავთ ლიბერალებსაც ("Brookings Institution") და ნეოკონსერვატორებსაც ("New American Century").

რა შეიძლება ამ ვითარებაში გაკეთდეს? წერილი რამდენიმე მოსაზრებას აყალიბებს. დასავლეთის ქვეყნებმა უნდა "გადახედონ როგორი და რა დონის დამოკიდებულება არსებობს პუტინის რუსეთზე", და შემდეგ აუცილებლად "ცალსახად უნდა დავდგეთ დემოკრატიული ძალების მხარეზე". უფრო მეტიც, ლიდერებმა თავი უნდა დაანებონ ორმაგ სტანდარტებს, რომელთა მიხედვითაც, ერთი მხრივ, ახლო აღმოსავლეთში დემოკრატიის პროგრესისთვის იბრძვიან, ხოლო ამავდროულად, გულგრილები არიან დსთ-ს სივრცეში მისი შესუსტების მიმართ. **"ჩვენ უნდა ვთქვათ სიმართლე იმის შესახებ, თუ რა ხდება რუსეთში,"** - მოუწოდებენ დასავლელ ლიდერებს წერილის ავტორები. პირველ რიგში კი, ჯორჯ ბუშისგან მოითხოვენ ამას - მათი ღრმა რწმენით, მხოლოდ ამ შემთხვევაში იქნება რაიმე შედეგი.

# ბევრის აზრით, ფრე დაფიქსირდა

ლია თოფურია
*ვაშინგტონიდან*

30 სექტემბერს ამერიკის საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილე კანდიდატთა დებატები გაიმართა. მანამდე ორი დღით ადრე საპრეზიდენტო წყვილი ცნობილ შოუში "დოქტორი ფილი" გამოჩნდა, სადაც ცოლ-ქმარი მხარზემხარმიტყუპული მყუდროდ მოკალათებულიყო საკუთარ რანჩოში და ოჯახზე საუბრობდა, კერიმ კი ამომრჩევლების წინაშე ისეთი აღაჟღაჟებული სახით გაიელვა, რომ ის იყო, დაბნეულები პულტს ვეცით, - ამ ტელევიზორს რაღა დაემართაო, და წამყვანის ხმაც გაისმა: ნუ შეშფოთდებით და ტელევიზორს ნუ დააბრალებთ, კერი, უბრალოდ, ასე გარუჯულიაო. ბოლო რამდენიმე დღის განმავლობაში სატელევიზიო არხები განუწყვეტლივ, ყოველ ათ წუთში შეგვახსენებდნენ დებატების შესახებ. ეს ყველას ძალიან მნიშვნელოვნად მიაჩნდა, ვინაიდან როგორც ტელეკომპანია "ფოქსი" აცხადებდა, "ვინც მოიგებს პირველ დებატებს, მოიგებს საპრეზიდენტო არჩევნებს."

და აი, მოვიდა ხუთშაბათი. საღამოს 9 საათისათვის მთელი ქვეყანა სულგანაბული მოკალათდა ტელევიზორთან. დებატებს პირდაპირ ეთერში ყველა წამყვანი არხი გადმოსცემდა. ორივე კანდიდატი საკმაოდ თავდაჯერებულად გამოიყურებოდა - უზადო მანერები, შესანიშნავი მაკიაჟი (ორივეს "მეიქ-აფ"-ის საკუთარი ოსტატი და ათასი სხვა პერსონალი წინასწარ ჩავიდა მაიამიში. ეს ყველაფერი ტელევიზიით დეტალურად შუქდებოდა). ასე რომ, კერის სახეზე მზით დამწვრობის კვალიც აღარ ჩანდა. თუმცა, იყო კაზუსიც. რუსეთის შესახებ საუბრისას, კერიმ თქვა: "მე სხვაზე კარგად ვიცნობ რუსეთს. საბჭოთა კავშირის დანგრევისთანავე, მე ვიყავი სწორედ ის პირველი სენატორი, ვინც ტრებლინკის მოედანზე, კგბ-ს არქივებში ჩავედი." ვის-ვის და, წარმოშობით ებრაელ კერის (მისი ბაბუა, ფრიც კოენი - ჩეხეთიდან ამერიკაში ემიგრირებული ებრაელი) გერმანელების მიერ ებრაელებისთვის შექმნილი ტრებლინკის საკონცენტრაციო ბანაკი არ უნდა არეოდა ლუბიანკაში. საერთოდ, პუტინისა და რუსეთის ბოლოდროინდელი მოვლენების შესახებ ბუშის განცხადებები უფრო მოზომილი და ფრთხილი იყო, ხოლო კერისა - საკმაოდ მკვეთრი და მკაცრი. ეს გასაგებიცაა - პასუხისმგებლობაა სხვადასხვა. კერი ბუშს ძირითადად ერაყის კამპანიის გამო აკრიტიკებდა და ამბობდა, რომ ერაყის ომმა ყურადღება ალ ქაიდადან ჰუსეინზე გადაიტანა. შეკითხვაზე, რას გააკეთებდა თვითონ ამჟამად, მან თქვა, რომ მოიწვევდა საერთაშორისო კონფერენციას. ამაზე ბუშმა უპასუხა, რომ კონფერენცია მოწვეულიადა იგი ორ კვირაში გაიმართება. მოკავშირეების შესახებ კერი ამბობდა, რომ რეალურად აშშ-ს ერთი მოკავშირე ჰყავს - ბრიტანეთი, დანარჩენი "წვრილფეხობა" სათვალავში ჩასაგდები არ არის. ამაზე ბუშის პასუხი იყო: მოკავშირეები ვერ გეყოლება, თუ მათ პატივს არ სცემ. გამოსვლების დასრულების შემდეგ კანდიდატებმა ერთმანეთს მხურვალე ხელისჩამორთმევით მიულოცეს და სცენაზე მათი ოჯახის წევრები ავიდნენ - ბუშის მეუღლე და ქალიშვილები (ერთნაირი ვარცხნილობით) და კერის მეუღლე (მათ საერთო შვილები არ ჰყავთ. ორივეს თავ-თავიანთ ყოფილ პირველ ნახევრებთან ჰყავთ შვილები). ქალბატონები ერთმანეთს გადაეხვივნენ და აღმოჩნდა, რომ ორივე ერთნაირ ფერებში იყო გამოწყობილი. დებატების შემდეგ, "ცხლად" გაკეთებულ კომენტარებში სხვადასხვა არხის ანალიტიკოსები აღნიშნავდნენ, რომ კერის გამოსვლა - გაცილებით უკეთესი, ხოლო ბუშისა - გაცილებით უარესი აღმოჩნდა, ვიდრე ელოდნენ. მაგრამ კერის მსჯელობა ზოგადი ფრაზებით შემოიფარგლებოდა და კონკრეტული პრობლემების გადაჭრის კონკრეტულ გეგმას არ შეიცავდა. ბუში კი უფრო პირდაპირი და კონკრეტული იყო, თუმცა ცოტა დაღლილი და ზოგჯერ გაღიზიანებულიც ჩანდა.

აი, რამდენიმე ცნობილი ანალიტიკოსის გამოსვლა.

**რუდი ჯულიანი,** *ნიუ იორკის ყოფილი მერი, რესპუბლიკელი:* "კიდევ ერთხელ გამოჩნდა, რომ კერი აზრს ხშირად იცვლის. ყველას ახსოვს მისი ურთიერთსაწინააღმდეგო გამოსვლები. ბუში შეიძლება მოგწონდეს ან არ მოგწონდეს, მაგრამ იგი პრინციპულია და აღებული კურსისთვის არ გადაუხვევია."

**სკოტ სიგალი,** *ცნობილი ანალიტიკოსი, დემოკრატი:* "კერიმ ძლიერი მოკამათის რეპუტაცია შეინარჩუნა, თუმცა ბუშმა საკუთარი პოზიციების დაცვა მოახერხა."

**ჯო ტუმანი,** *სან-ფრანცისკოს უნივერსიტეტის პროფესორი, საპრეზიდენტო რიტორიკის და დებატების სპეციალისტი:* "როგორც წესი, კანდიდატთა დებატებიდან აშკარა გამარჯვებული არ გამოიკვეთება ხოლმე. მაგრამ ზოგჯერ კარგად ჩანს დამარცხებული. ამ შემთხვევაში არც ერთი მონაწილე არ ჩაჭრილა. ჩემი აზრით, კონკრეტული საკითხების მიხედვით, კერი უკეთ გამოჩნდა, მაგრამ რეალური სიტუაციის გათვალისწინებით, პრეზიდენტს არ წაუგია."

"ვაშინგტონ ტაიმსში" დემოკრატმა კონსულტანტმა, რომელმაც ანონიმურად დარჩენა ისურვა, აღიარა, რომ "სამწუხაროდ, პრეზიდენტი საკმაოდ კარგად გამოვიდა. ერთგული დემოკრატები იმედოვნებდნენ, რომ დებატების შემდეგ "პრეზიდენტის თავი დაგორდებოდა", მაგრამ იმედი გაუცრუვდათ."

**ბობ მორანი,** *ცნობილი რესპუბლიკელი კონსულტანტი:* "ორივეს სტილი ზუსტად შეესატყვისება მათი მომხრეების სტილს. ბუში, ისევე როგორც მისი მომხრე შტატების მოსახლეობა - პირდაპირი, მარტივი, პრინციპული და რიგითი ადამიანისთვის გასაგებია. კერის გამოსვლა კი ინტელექტუალების აუდიტორიაზე გათვლილი უფრო იყო (ე. წ. კოლეჯის სტილი). შედარებისთვის, ბუშმა იქადაგა კეთილისა და ბოროტის შერკინებაზე მსოფლიოში, ხოლო კერიმ წაიკითხა ლექცია რუსეთში პლუტონიუმის მარაგის შესახებ."

მოკლედ, ანალიტიკოსების დიდი უმრავლესობა იმ აზრისაა, რომ დებატები ფრედ დამთავრდა. თუმცა, როგორც ფეხბურთშია - ფრე ზოგისთვის მოგებაა (ამ შემთხვევაში - ბუშისთვის), ზოგს კი მხოლოდ მოგება უშველიდა...

# წინასაარჩევნო დებატების პირველი რაუნდი



*ბუში, ძირითადად, საკუთარ პიროვნულ მახასიათებლებზე, კერძოდ, სიმამაცეზე აკეთებდა აქცენტს, იმ დროს, როცა მისი მეტოქე პოლიტიკურ შედეგებზე საუბრობდა*

ხათუნა გაბიევი

წინასაარჩევნო დებატების პირველი რაუნდის უპირობო გამარჯვებულები დემოკრატები აღმოჩნდნენ. მიუხედავად იმისა, რომ რესპუბლიკელები იმედოვნებდნენ მნიშვნელოვანი ქულების დაგროვებას, ამ ეტაპზე დემოკრატებმა მათ ამის საშუალება არ მისცეს. ბუში, ძირითადად, საკუთარ პიროვნულ მახასიათებლებზე, კერძოდ, სიმამაცეზე აკეთებდა აქცენტს, იმ დროს, როცა მისი მეტოქე პოლიტიკურ შედეგებზე საუბრობდა.

90 წუთიან სატელევიზიო დებატებში ძირითადი აქცენტები საგარეო პოლიტიკაზე გაკეთდა, რომელშიც ორი უმნიშვნელოვანესი საკითხი ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლა და ეროვნული უსაფრთხოება იყო. განსაკუთრებით მწვავე რესპუბლიკელთა კანდიდატისთვის, აშშ-ს ამჟამინდელი პრეზიდენტისთვის სწორედ ერაყის თემა გამოდგა, რადგან ოპონენტის მიერ წაყენებული არგუმენტების გაბათილება ერაყის ომის მართებულობასთან დაკავშირებით მან დამაჯერებლად ვერ შეძლო.

კერიმ ბუში "კოლოსალური შეცდომის" დაშვებაში დაადანაშაულა. კერის შეფასებით, ბუშს არ სურს ერაყში არსებული რეალობის ცოდნა. ბუშმა, თავის მხრივ, დემოკრატ კანდიდატს ტერორიზმის წინააღმდეგ ომში აშშ-ს უუნარიანობის ეჭვქვეშ დაყენება წაუყენა ბრალდებად - ერაყული კამპანიის "მცდარ ომად" შეფასების გამო. "მსოფლიო უკეთესია სადამ ჰუსეინის გარეშე," - განაცხადა ბუშმა. კერის განცხადებით, მას აქვს გეგმა ერაყთან დაკავშირებით და დარწმუნებულია კიდეც წარმატებაში. "მე არ ვგულისხმობ დათმობას, მე გამარჯვებაზე ვლაპარაკობ. ჩვენ გვიჭირდება ახალი მიდგომა, ახალი რწმენა, პრეზიდენტი, რომელიც მოკავშირეების გამოძებნას შეძლებს," - განაცხადა კერიმ. ამაზე კი ბუშის პასუხი იყო: "მე ვერ ვხვდები, როგორ გესახებათ ერაყში გამარჯვების მიღწევა მაშინ, როცა ერაყულ კამპანიას მცდარ ომს, შეუფერებელ დროსა და მცდარ ადგილზე წამოწყებულად ახასიათებთ. როგორი დასკვნა შეიძლება გამოიტანონ აქედან ჩვენმა სამხედროებმა, მოკავშირეებმა და ბოლოს ერაყმა? ერთადერთი გზა გამარჯვებისკენ ჩემი პოზიციის გაზიარებაა." მაშინ, როცა კერიმ გააკიცხა ბუში აშშ-ს მოკავშირეების შემცირებისა და საერთაშორისო ასპარეზზე ქვეყნის რენომეს შელახვაში, ბუშმა განაცხადა, რომ კერის მსოფლიო მასშტაბით აშშ-ს რეიტინგი უფრო აღელვებს, ვიდრე საკუთარი მოქალაქეების უსაფრთხოება.

თუ დებატების დასაწყისში ბუშს უფრო თავდაცვითი პოზიცია ეკავა, მის სიტყვებს სიმწვავე საგარეოპოლიტიკური კურსის ღირებულებებზე საუბრისას შეემატა. კერის პოზიცია კი ბუშთან შედარებით გაცილებით ხელსაყრელი იყო და ამიტომ მისი გამოსვლა უფრო წარმატებული აღმოჩნდა. კერის აზრით, ერაყის სტაბილურობის მიღწევა და მძიმე ტვირთის შესამსუბუქებლად სხვა ქვეყნების მხარდაჭერის მოპოვება მხოლოდ ხელისუფლების შეცვლის მეშვეობით იქნება შესაძლებელი. ამასთანავე, დემოკრატი კანდიდატი ამერიკელებს დაჰპირდა, რომ ტერორიზმის წინააღმდეგ იგი არანაკლებ შეუვალი იქნება, ვიდრე ბუშია, თუმცა ოცდამეერთე საუკუნის ამ უსაშინლესი მტრის - საერთაშორისო ტერორიზმის დამარცხებას სხვა გზით შეეცდება. კერის თავდაჯერებულობას აორმაგებდა ისიც, რომ ბუშის საარჩევნო კამპანიის მესვეურების დიდი მცდელობის მიუხედავად, მის რეპუტაციას ბევრი არაფერი დაკლებია. მისი ქცევის მანერა დაეხმარა მას, შეეცვალა ის სურათი, რომელსაც მას ბუშის საარჩევნო რეკლამები უქმნიდა.

ცხადია, განსხვავებული იყო ორი საპრეზიდენტო კანდიდატის შეფასებები და დამოკიდებულებები არა მარტო ერაყის ომთან, არამედ სხვა საგარეოპოლიტიკურ საკითხებთან - ჩრდილოეთ კორეასა და ირანთან მიმართებაშიც. კერის განცხადებით, იგი ბირთვული იარაღის გავრცელების საკითხს, ბუშისგან განსხვავებით, მეტი ყურადღებით მოეკიდებოდა. პრეზიდენტმა კი განაცხადა, რომ ამ სფეროში ბიუჯეტი ისედაც 35 პროცენტით გაზარდა. ბირთვული იარაღის გაუვრცელებლობის საკითხთან დაკავშირებით ჯორჯ ბუშმა განაცხადა, რომ აშშ ისედაც ჩართული იყო ექვსმხრივ მოლაპარაკებებში ჩინეთთან, რუსეთთან, ჩრდილოეთ კორეასთან, სამხრეთ კორეასა და იაპონიასთან ერთად, რაზეც კერიმ მიუგო, რომ იგი ამჯობინებდა პირდაპირ ჩრდილოეთ კორეასთან მოლაპარაკებების წარმოებას.

ოპონენტებმა დრო დაუთმეს ასევე სუდანის საკითხსაც, სადაც დარფურის ვითარება "გენოციდად" შეაფასეს. კერის განცხადებით, აშშ მოახერხებდა დაეტოვებინა სამხედრო არჩევანი სუდანთან დაკავშირებით, რომ არა ბუშის მიერ ერაყული კამპანიის წამოწყება. ბუშმა კი განაცხადა, რომ მაინც არ გაგზავნიდა ამერიკულ სამხედრო ძალებს სუდანში.

დებატებში არც ერთი კანდიდატი არ შეხებია ისრაელი-პალესტინის კონფლიქტს, ახლო აღმოსავლეთის ნავთობის, საუდის არაბეთისა და პაკისტანის საკითხებს.

დებატებამდე რესპუბლიკელთა განწყობა გაცილებით ოპტიმისტური იყო, ისინი იმედოვნებდნენ, რომ ბუში შეძლებდა თავისი ოპონენტისთვის ღირსეული მეტოქეობის გაწევას, თუმცა ექსპერტთა შეფასებით, პირველი რაუნდი აშკარად დემოკრატთა უდავო უპირატესობით დასრულდა. ელექტორატის აზრი კი, თავისთავად ცხადია, ორად გაიყო, თუ კერის მომხრეები კმაყოფილნი იყვნენ თავიანთი ფავორიტის გამოსვლით, ბუშის მხარდამჭერები აცხადებდნენ, რომ რაც უფრო დიდხანს გაგრძელდება დებატების დარჩენილ რაუნდებში საგარეო პოლიტიკაზე ყურადღების კონცენტრირება, ამით უფრო მოიგებს აშშ-ს ამჟამინდელი პრეზიდენტი. ზოგადად დებატებმა კი ენამახვილობის, შეცდომებისა და პოპულისტური განცხადებების შთაბეჭდილება დატოვა.

არიზონელი რესპუბლიკელი სენატორის ჯონ მაკკეინის შეფასებით, კერი შეუდარებელი იყო დებატებში, თუმცა იქვე აღნიშნა, რომ ბუშს შეეძლო დარტყმა მიეყენებინა კერისთვის ერაყთან დაკავშირებით სამიტის მოწვევისა და ჩრდილოეთ კორეასთან ორმხრივი ურთიერთობების აღდგენის ინიციატივით გამოსვლის გამო. "სამიტი ვერ მოიტანს მშვიდობას... დაუჯერებელია, რომ გერმანიამ და საფრანგეთმა დახმარების სურვილი გამოთქვან," - თქვა მაკკეინმა. დემოკრატიული ეროვნული კომიტეტის ხელმძღვანელის ტერი მაკოლიფის შეფასებით, კერი ნამდვილად პოლიტიკური ლიდერის ამპლუაში წარდგა მაყურებლის წინაშე, ხოლო ბუში "ქვიშაში თავწარგულ სირაქლემას" ჰგავდა.

არჩევნებამდე დარჩენილ ორ რაუნდს კი გადამწყვეტი მნიშვნელობა ექნება ორივე კანდიდატისთვის, რადგან მთლიანად მათი გამოსვლის ეფექტურობაზე იქნება დამოკიდებული ელექტორატის იმ ნაწილის მიზიდვა, რომელსაც ჯერ კიდევ ვერ გადაუწყვეტია, ვის სასარგებლოდ გააკეთოს არჩევანი.

დებატების მეორე რაუნდი 8 ოქტომბერს მისურის შტატში, სენტ ლუისში გაიმართება, ხოლო მესამე 13 ოქტომბერს არიზონას შტატშია დაგეგმილი, რომელიც მთლიანად შიდა პოლიტიკის საკითხების განხილვას დაეთმობა.

# თიბისი ბანკის საკრედიტო პორტფელმა 200 მილიონ ლარს გადააჭარბა

## ფინანსური მაჩვენებლების მიხედვით, თიბისი ბანკი ბაზარზე სტაბილურად ლიდერობს

***2004 წლის 9 თვეში თიბისი ბანკის მთლიანი საკრედიტო პორტფელის მოცულობა, წინა წელთან შედარებით, 31%-ით გაიზარდა და 200 მილიონ ლარს გადააჭარბა. დღეისათვის თიბისი ბანკი წარმოადგენს საქართველოში ყველაზე მსხვილ და კავკასიის რეგიონში ერთ-ერთ უმსხვილეს ბანკს, რომელიც 3 წელია სტაბილურად ინარჩუნებს ლიდერის პოზიციას ადგილობრივ ბაზარზე ყველა ძირითადი ფინანსური მაჩვენებლის და, მათ შორის, საკრედიტო პორტფელის პარამეტრების მიხედვით.***




2004 წლის განმავლობაში სტაბილურად გაგრძელდა თიბისი ბანკის საკრედიტო პორტფელის დინამიური ზრდა და, ამავე დროს, გაუმჯობესდა პორტფელის ხარისხობრივი მაჩვენებლები. საკრედიტო პორტფელი კვლავ რჩება თიბისი ბანკის შემოსავლის ძირითად წყაროდ, შესაბამისად, საკრედიტო საქმიანობა - ბანკის სტრატეგიულ მიმართულებად.

საგულისხმოა, რომ 2003 წლის ბოლოს ქვეყანაში განვითარებული პოლიტიკური კატაკლიზმების ფონზე, თიბისი ბანკის საკრედიტო პორტფელში მნიშვნელოვანი პრობლემები არ დაფიქსირებულა, რაც თიბისი ბანკის საკრედიტო პოლიტიკისა და საკრედიტო საქმიანობის მართებულებაზე მეტყველებს.

წელს შესამჩნევი იყო სესხებზე საპროცენტო განაკვეთების შემცირების ტენდენცია. თიბისი ბანკის საშუალო პროცენტი სესხებზე 18.9%-დან 16.7%-მდე შემცირდა.

შარშან თიბისი ბანკში მნიშვნელოვანი სამუშაოები ჩატარდა საკრედიტო პოლიტიკის და დაკრედიტების მეთოდოლოგიის დახვეწის მიმართულებით. სერიოზული ყურადღება მიექცა სამომხმარებლო ტიპის პროდუქტების განვითარებას და დაკრედიტების მოქნილი მეთოდოლოგიის შემუშავებას. თიბისი ბანკი ცდილობს მაქსიმალურად უზრუნველყოს სტრატეგიული სეგმენტების მოთხოვნები. დაიხვეწა და შეიცვალა იპოთეკური დაკრედიტების, სამომხმარებლო სესხების გაცემის პრინციპები. ბანკის პოლიტიკა უფრო მეტად მოქნილი, ხოლო სესხის აღება შეძლებული ფიზიკური პირების მიერ - უფრო ხელსაყრელი გახდა. ამავე პერიოდში განვითარდა სამომხმარებლო ოვერდრაფტების გაცემის ტექნოლოგია, დაიხვეწა დაკრედიტების პრინციპები.

ეს ყველაფერი სამომხმარებლო სექტორში თიბისი ბანკის პორტფელის მაჩვენებლებზეც აისახა. 2004 წლის 9 თვეში ფიზიკურ პირებზე გაცემული სესხების მოცულობა 6 მილიონი ლარით გაიზარდა, რაც წინა პერიოდთან შედარებით 43%-იან ზრდას ნიშნავს. ამავდროულად, 36%-ით გაიზარდა გაცემული სესხების რაოდენობა. თიბისი ბანკისთვის სამომხმარებლო სექტორის დაკრედიტება ერთ-ერთ პრიორიტეტად რჩება.

თიბისი ბანკის საკრედიტო საქმიანობის ძირითადი მიმართულება მაინც მცირე და საშუალო ბიზნესის დაფინანსებაა. ეს სექტორი ბანკის საკრედიტო პორტფელის 69%-ს შეადგენს. 2004 წლის იანვარ-სექტემბერში მარტო მცირე და საშუალო ბიზნესზე გაცემული სესხების პორტფელი 121 მილიონი ლარიდან 158 მილიონ ლარამდე, ანუ 31%-ით გაიზარდა.

მცირე და საშუალო ბიზნესის დაფინანსების განვითარების მიზნით, თიბისი ბანკის მიერ ბოლო პერიოდში განხორციელდა ღონისძიებები, რომლებიც მიზნად ისახავდა კომპანიების საკრედიტო მომსახურების ხარისხის ამაღლებას, გადაწყვეტილებების მიღების სისწრაფეს და მსესხებლების მოთხოვნათა მაქსიმალურ დაკმაყოფილებას. ამ ღონისძიებების საფუძველი საკრედიტო ანალიზის ტექნოლოგიის დახვეწა გახდა. შემუშავდა დასაკრედიტებელი ბიზნესის ანალიზისა და მისი ფინანსური მაჩვენებლების შეფასების ახალი სტანდარტები. თიბისი ბანკში დაინერგა კომპანიების რეიტინგული შეფასების მოდელი, რაც დაკრედიტებაზე გადაწყვეტილებების სისწრაფისა და სწორი, რისკიანობის ადექვატური ფასდადების საფუძველს იძლევა.

## როცა განაჩენი საბოლოოა

*საზოგადოების მცირე ნაწილმა თუ იცის, რას წარმოადგენს კერძო საარბიტრაჟო სასამართლო, რომლის საქმიანობა კანონით არის განსაზღვრული, მის მიერ გადაწყვეტილი დავა გასაჩივრებას აღარ ექვემდებარება და საბოლოოა. კერძო საარბიტრაჟო სასამართლო ჩვეულებრივ შპს-ს წარმოადგენს, რომლის წევრი შეიძლება იყოს საქართველოს და უცხოეთის მოქალაქე, პატიმრის, გონებრივი შეზღუდვების მქონე ადამიანისა და პოლიტიკოსის გარდა.*

ნინო ბერელიძე

ამ ტიპის სასამართლო საქართველოში რამდენიმეა. კერძო საარბიტრაჟო სასამართლოს შესახებ კანონი პარლამენტმა 1997 წლის აპრილში მიიღო და მას დიდი უფლებამოსილება მიანიჭა. საარბიტრაჟო სასამართლო, ორი მხარის შეთანხმების საფუძველზე, განიხილავს სადავო საქმეს და საბოლოო განაჩენს გამოიტანს. ადვოკატი ნუგზარ ჩილვინაძე, რომელმაც გუშინ ერთ-ერთ გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით პრესკონფერენცია გამართა, ამბობს: **"რამდენი წელიწადია, რაც ადვოკატად ვმუშაობ და ასეთი შპს-ს შესახებ იქამდე არაფერი ვიცოდი, ვიდრე ერთ-ერთმა დაზარალებულმა დახმარება არ მთხოვა. ჩემი დაცვის ქვეშ მყოფმა პიროვნებამ საცხოვრებელი ბინა დაკარგა, კერძო საარბიტრაჟო სასამართლოს უკანონო განაჩენის გამო. საქმეს ისე ამხვევენ, რომ გადაწყვეტილება გასაჩივრებას არც ერთ ინსტანციაში აღარ ექვემდებარება. ეს ორგანო დაუდევრად არღვევს და ლახავს ადამიანის უფლებებს. რაც ჩემს კლიენტს დაემართა, ამისაგან არავინაა დაცული. მინდა, გითხრათ, რომ საქართველოში მოქმედებს დანაშაულებრივი ჯგუფი ფირმების, კერძო საარბიტრაჟო სასამართლოსა და ზოგიერთი მოსამართლის სახით, რომლებიც ქრთამის აღებით გამოუსწორებელ დანაშაულს სჩადიან".**

დაზარალებული ლამარა ირემაძე: **"დღეს უმეტესობას უჭირს და გამონაკლისი არც ჩემი ოჯახია. ამიტომ, გადავწყვიტეთ, სამოთახიანი ბინა გაგვეყიდა, რომელიც ჯავახიშვილის 90 ნომერში მდებარეობს. ამ მიზნით ჩვენს ოჯახში სიარული დაიწყეს საშუამავლო ფირმის წარმომადგენლებმა, რომლებიც თითქოს გვეხმარებოდნენ ბინის გაყიდვაში, საბოლოოდ კი მოგვევლინენ კრედიტორები, რომლებიც იპოთეკურ სესხს - 7000 დოლარს გვაძლევდნენ ბინის გირაოთი. ეს თანხა ორ თვეში უნდა დაგვებრუნებინა. ხელშეკრულება ნოტარიუსმა დაამოწმა. სესხს პატიოსნად ვფარავდით, მაგრამ ეს დაფიქსირებული არსად არ იყო. ბოლოს ვიჩივლეთ და აღმოჩნდა, რომ კერძო საარბიტრაჟო სასამართლომ ბინა მიაკუთვნა კრედიტორებს, რომლებმაც გაყიდეს ჩვენი ხელმოწერა და სასამართლოს აღმასრულებლებმა 24 სექტემბერს ქუჩაში გაგვყარა".**

რაც შეეხება კერძო საარბიტრაჟო სასამართლოს, მისმა თავმჯდომარემ ხათუნა დარჩიაშვილმა ჩვენთან საუბარში შემდეგი განაცხადა: **"ვერ ვიხსენებ ამ კონკრეტულ საქმეს, მაგრამ მინდა, გითხრათ, რომ ჩვენ მიერ გამოტანილი განაჩენი კანონიერია. უამრავი ადამიანი მოგვმართავს, დავიცვათ მათი კანონიერი ინტერესები. ესეც ანალოგიურია - კრედიტორს სურს თავისი თანხის დაბრუნება, რომელზედაც უარს სახლის მეპატრონე ეუბნება. არა მგონია, ჩვენი გადაწყვეტილება უსამართლო ყოფილიყო".**

## შეხვედრა მოსწავლეებსა და მთავრობას შორის

გუშინ ფონდ "ღია საზოგადოება-საქართველოს" საკონფერენციო დარბაზში შედგა საქართველოს იუსტიციის მინისტრის გიორგი პაპუაშვილის შეხვედრა თბილისის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების უფროსკლასელებთან.

შეხვედრა შედგა პროექტის "მოსწავლეთა შეკითხვები მთავრობას" ფარგლებში, რომელსაც ახორციელებს ფონდი "ღია საზოგადოება საქართველო" და გაზეთი "24 საათი" განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან თანამშრომლობით.

პროექტი მეორე წელია მიმდინარეობს ფონდის ფინანსური მხარდაჭერით. გაზეთ "24 საათში" 2003 წლის მაისიდან ორ კვირაში ერთხელ იბეჭდება საგაზეთო ჩანართი "წერილები მთავრობას", რომელშიც მოსწავლეები საჭირბოროტო საკითხებზე წერენ და მთავრობისა და ხელისუფლების წარმომადგენლები პასუხობენ, იმართება მრგვალი მაგიდები და დისკუსიები. პროექტში მონაწილეობენ თბილისის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მერვეკლასელები, რომლებიც სწავლობენ საგანს "კანონიერების კულტურა" სამოქალაქო განათლების ფორმატით. საქართველოს მთავრობის წარმომადგენელთა და სკოლის მოსწავლეთა შორის ინტერაქციის ახალი ფორმატის პრაქტიკაში დამკვიდრება ხელს შეუწყობს მოზარდთა სამოქალაქო აქტიურობასა და საქართველოს მთავრობის ანგარიშვალდებულების გაზრდას.

გუშინდელი შეხვედრა საინტერესოდ ჩატარდა. დაიგეგმა მოზარდთა და იუსტიციის სამინისტროს საერთო ინიციატივებიც. შეხვედრის შესახებ დაწვრილებით მოგითხრობთ 5 ოქტომბრის "24 საათში", გვერდზე "წერილები მთავრობას".

*ანა დავითური*

## მიზნობრივი საუბრები "დამოუკიდებელი ცხოვრებისთვის"

*29-30 სექტემბერს ჰემოფილიისა და დონორობის ასოციაციის შენობაში, ყაზბეგის გამზირზე შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა და ვეტერანთა არასამთავრობო ორგანიზაციების კოალიციამ ჩაატარა სემინარი - "დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის".*

**"როგორც კი გამოცხადდება რომელიმე ღონისძიების მზადების შესახებ, სადაც ნახსენებია სიტყვა "ინვალიდი", რატომღაც, ყველას ჰგონია, რომ ან "დახმარებები" უნდა დარიგდეს ან ინვალიდთა დასაქმება უნდა მოხდეს. სემინარი, რომელიც ჩვენმა კოალიციამ ჩაატარა, საგანმანათლებლო ხასიათის იყო",** - ამბობს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა და ვეტერანთა არასამთავრობო ორგანიზაციების კოალიციის ხელმძღვანელი კობა ნადირაძე.

კოალიციამ პროგრამა "დამოუკიდებელი ცხოვრებისთვის" ფარგლებში, ინვალიდობის თემაზე შექმნილი ორი სოციალური კლიპისა და ერთი ფილმისათვის სცენარების კონკურსი გამოაცხადა. დაინტერესებულმა პირებმა და ორგანიზაციებმა კოალიციის ადმინისტრაციას სცენარები 15 ოქტომბრამდე უნდა მიაწოდონ. გამარჯვებული სცენარის ავტორებს კლიპებისა და ფილმის გადასაღებად კოალიცია ხელშეკრულებას გაუფორმებს. პროექტს ეუთო და ბელგიის მთავრობა აფინანსებს. კლიპები და ფილმი ნაჩვენები იქნება სხვადასხვა სატელევიზიო არხზე. კინოთეატრ "რუსთაველის" ადმინისტრაციამ კი გადაწყვიტა, კლიპები და ფილმი მაყურებელს კინოსეანსების წინ, ანონსებთან ერთად უჩვენოს. ამჟამად ამავე კინოთეატრში მიმდინარეობს საადაპტაციო სამუშაოები, რათა შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებმა კინოთეატრში სტუმრობა მეურვის გარეშეც შეძლონ.

შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა და ვეტერანთა არასამთავრობო ორგანიზაციების კოალიციის ხელმძღვანელის კობა ნადირაძის თქმით, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები და ვეტერანები იმედგაცრუებული არიან, რადგან ქალაქის სატრანსპორტო სამსახურის მიერ ჰოლანდიიდან ჩამოყვანილი ავტობუსები მათი გადაადგილებისთვის მოუხერხებელი და არაადაპტირებული აღმოჩნდა. **"სამწუხაროა, რომ ჩვენი კანონიერი მოთხოვნები ისევ და ისევ რჩება "ხმად მღაღადებლისა უდაბნოსა შინა". ადაპტირებული ტრანსპორტის შესახებ არსებობს საერთაშორისო ნორმები, ამაზე წერია შესაბამის კანონში, მაგრამ - რა? საქართველოში ინვალიდთა ყველა საკითხს და მასთან დაკავშირებულ პოლიტიკას საზღვრავს და ახორციელებს ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, რომელიც, ძირითადად, დაკომპლექტებულია ექიმებით. ექიმები, თავის მხრივ, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებს განიხილავენ, როგორც პაციენტებს, რომლებსაც მხოლოდ მკურნალობა და ფიზიკური ზემოქმედება სჭირდებათ. ეს მცდარი მიდგომაა. ჯანდაცვის სამინისტროს ინვალიდთა "მეურვეობა" პირადი მიზნებისთვის სჭირდება",** - ამბობს კობა ნადირაძე. მისი აზრით, ვიდრე არ შეიქმნება ცალკე სამთავრობო სტრუქტურა, სადაც დასაქმებული შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირები თავად მოაგვარებენ საკუთარ პრობლემებს და განსაზღვრავენ მოქმედების პოლიტიკას, ინვალიდთათვის შესაფერისი საცხოვრებელი და სამუშაო გარემო-პირობები არ შეიქმნება.

*თამთა გრძელიშვილი*

# მეტრეველი გადადგა

### დასრულდა უნივერსიტეტის ისტორიაში ყველაზე ხანგრძლივი რექტორობის ეპოპეა

ნინო ცინცაძე

*დასრულდა უნივერსიტეტის ისტორიაში ყველაზე ხანგრძლივი რექტორობის - როინ მეტრეველის რექტორობის 13-წლიანი ეპოპეა. 1991 წელს იგი ამ თანამდებობაზე საქართველოს მაშინდელმა პრეზიდენტმა ზვიად გამსახურდიამ დანიშნა, 1992 წელს კი ის უკვე რექტორად აირჩია უნივერსიტეტის სამეცნიერო საბჭომ; მას შემდეგ რექტორად კიდევ ორჯერ იქნა არჩეული - 1997 და 2003 წელს, მაგრამ ეს უკანასკნელი არჩევნები დიდ სკანდალთან იყო დაკავშირებული.*



*13-წლიანი ეპოპეის დასასრული.*

ვახო ბესელიას ფოტო

უნივერსიტეტის წესდების მიხედვით, რექტორს სამეცნიერო საბჭო ხუთ წელიწადში ერთხელ ირჩევდა. ამ წესით, უნივერსიტეტში ახალი არჩევნები 2002 წლის გაზაფხულზე უნდა გამართულიყო. მაგრამ, ამავე წლის გაზაფხულზე წესდება, გაურკვეველი მიზეზების გამო, შეიცვალა და რექტორის არჩევნები 2003 წლის გაზაფხულისთვის გადაიდო. რადგან იმ დიდი საბჭოს წევრების უმრავლესობა, რომელიც რექტორს ირჩევდა, სხვადასხვა ფაკულტეტის კათედრის გამგეები არიან, რექტორის არჩევნების გადადებას, ბუნებრივად, კათედრის გამგეთა სააარჩევნო დროის გადადებაც მოჰყვა, რამაც კათედრის გამგეთა, ანუ საბჭოს წევრთა კმაყოფილი დუმილი გამოიწვია. თუმცა, ამ ფაქტს დუმილით არ შეხვედრია ახლად გამოჩეკილი "კმარა", რომელმაც მანამდეც და ამის შემდეგაც უნივერსიტეტის რექტორატს ბევრი თავსატეხი გაუჩინა. როინ მეტრეველის რექტორად მესამედ არჩევნის პროცესმა ხმაურის გარეშე ვერ ჩაიარა. სხვადასხვა სატელევიზიო არხი რამდენიმე დღის განმავლობაში ატრიალებდა კადრებს, სადაც ჟურნალისტები და სტუდენტები დარბაზში შეღწევას უშედეგოდ ცდილობდნენ. გარეთ დარჩენილმა სტუდენტებმა სასამართლოში იჩივლეს. მაშინ ისინი ამბობდნენ, რომ არჩევნები არაუფლებამოსილმა რექტორმა დანიშნა, რადგან როინ მეტრეველის რექტორად მეორედ არჩევა 1997 წელს, 1993 წლის დებულების საფუძველზე მოხდა. ეს კი ნიშნავს, რომ რექტორის შემდგომი არჩევნები 2002 წელს უნდა ჩატარებულიყო. მაგრამ, უცებ დებულება შეიცვალა. ამ დებულების მიხედვით, უნივერსიტეტი რექტორს, ხუთი წლის ვადის მაგივრად, ექვსი წლით ირჩევს. საქმე ისაა, რომ ეს ექვსწლიანი უფლებამოსილება უნდა შეხებოდა ახლად არჩეულ რექტორს და არა 1997 წელს არჩეულ როინ მეტრეველს. აქედან გამომდინარე, რექტორის არჩევნების ერთი წლით გადადებას კანონიერი საფუძველი არ ჰქონია და მეტრეველი ერთი წლის განმავლობაში უნივერსიტეტს უკანონოდ მართავდა. სასამართლო პროცესი, შევარდნაძის ეპოქის შესაბამისად, ხანგრძლივად და უშედეგოდ გაიწელა. ამ ხნის განმავლობაში სტუდენტები სხვა მხრივაც იბრძოდნენ - აქვეყნებდნენ კონტროლის პალატისა და მსოფლიო ბანკის დასკვნებს, სადაც უნივერსიტეტის ადმინისტრაცია კორუფციასა და სხვადასხვა დანაშაულში იყო მხილებული, მაგრამ მათი არგუმენტები მაშინდელი მთავრობისა და ძალოვნების მიერ გაზიარებული არ ყოფილა.

ამასობაში ვარდების რევოლუციაც მოხდა და სტუდენტებმა იფიქრეს, რომ ეშველათ. თუმცა, ცოტა ადრე მოუვიდათ. რექტორატში მათ შეჭრას უნივერსიტეტის ადმინისტრაციის მხარდამჭერების მასობრივი პროტესტი მოჰყვა. უნივერსიტეტის ეზოში შეიკრიბა ყველა, ვისაც რამდენიმე დღის მოსული მთავრობის კრახი გაახარებდა. მაშინ მიხეილ სააკაშვილმა ჩათვალა, რომ სიტუაციის გამწვავება არ ღირდა და უნივერსიტეტში მისულმა "კმარელებს" სულ "ცოცხით გასახვეტები" ეძახა. მაშინ როინ მეტრეველისა და ნუგზარ ფოფხაძის მიერ აგორებულმა აქციამ, რომელსაც, სავარაუდოდ, მხარს სხვა ძალებიც უჭერდნენ, გაამართლა. მეტრეველი რექტორად დარჩა. დამოუკიდებელ საქართველოში მან პოსტი იმაზე მეტ ხანს შეინარჩუნა, ვიდრე შევარდნაძემ პრეზიდენტობა.

ამასობაში რვა თვეც გავიდა. საქართველოს პრეზიდენტმა თავისი პოზიციები სერიოზულად გაიმყარა. ახლა მას უნივერსიტეტის საბჭოსა და მისი მხარდამჭერების პროტესტი ველარ შეაშინებდა. თუმცა, ალბათ, ასე არ ფიქრობდნენ თავიანთ ძალაში ერთხელ უკვე დარწმუნებული პროფესორები, რომლებიც უმაღლესების რეფორმის კანონპროექტს ერთსულოვნად აკრიტიკებდნენ, მისი განხილვის შეჩერებას კატეგორიულად მოითხოვდნენ და ბატონ როინს სრულ მხარდაჭერას უცხადებდნენ. მათ ჯერ კიდევ არ იცოდნენ, რომ მიხეილ სააკაშვილსა და როინ მეტრეველს შორის, ამ უკანასკნელის გადადგომის თაობაზე, შეთანხმება უკვე მოხდა. მეტრეველმა ამის შესახებ ფაკულტეტების დეკანებს მხოლოდ სხდომის დასრულების შემდეგ აცნობა და პრემიერ-მინისტრ ზურაბ ჟვანიასთან გაემგზავრა. იქიდან გამოსულ რექტორს აშკარად ეტყობოდა, რომ უკან დასახევი გზა დიდად არ ჰქონდა, მაგრამ ძალების მოსინჯვას კიდევ ერთხელ მაინც აპირებდა. მეორე დილას გავრცელდა კიდეც ხმები, რომ ის და მისი მხარდამჭერები სტუდენტების გამოყვანას აპირებდნენ. თუმცა, ამჯერად მათ დანაპირების განხორციელება ვერ მოახერხეს. პრეზიდენტის რეაქცია მყისიერი და კატეგორიული იყო - მას მარქსიზმ-ლენინიზმის პროფესორებისაგან ჭკუის სწავლება არ სჭირდება. ამას სასწრაფოდ მოჰყვა უნივერსიტეტის პროფესურის ტონის დაგდება და დიალოგისაკენ მოწოდება. პრეზიდენტი, მართალია, გუშინ უნივერსიტეტში მივიდა, მაგრამ უმაღლესი სასწავლებლის მესვეურებთან ღრმა დიალოგი არ გაუმართავს. სამეცნიერო საბჭოს მან რექტორობის ახალი კანდიდატი, ქალბატონი რუსუდან ლორთქიფანიძე წარუდგინა.

**"ჩემი რექტორობის 13 წელი შესრულდა. როგორც იცით, ამ უკანასკნელი თვეების მანძილზე გათავისუფლება რამოდენიმეჯერ ვითხოვე, მაგრამ ანგარიში გავუწიე თქვენს - სტუდენტებისა და ბატონი მიხეილის თხოვნას და ცოტა ხნით კიდევ დავრჩი. ახლა კი ბატონი მიხეილის დიდად მადლობელი ვარ, რომ ჩემი თხოვნა შეიწყნარა. რა თქმა უნდა, ჩემი სურვილით მივდივარ. ბატონ მიხეილს მადლობა უნდა გადავუხადო იმისთვისაც, რომ დღეს აქ მობრძანდა. ეს აშკარა გამოხატულებაა იმისა, რომ მისთვის უნივერსიტეტი რიგითი დაწესებულება არ არის. ამ წლების მანძილზე ჩვენი უნივერსიტეტის ცხოვრებაში მრავალი რამ მოხდა; ნაკლიც ბევრი იყო, მაგრამ ნება მომეცით, ძალიან ცოტა ხნით თქვენი ყურადღება პოზიტივზე შევაჩერო"**, - განაცხადა გუშინ თავის გამოსვლაში უნივერსიტეტის აწ უკვე ყოფილმა რექტორმა და შემდეგ ამ ბოლო წლებში მიღწეული წარმატებების შესახებ ისაუბრა. საბჭოს წევრებმა როინ მეტრეველი ხანგრძლივი ტაშით გააცილეს, რის შემდეგაც ექს-რექტორი ტრიბუნაზე დაბრუნდა და თქვა, რომ მან გუშინ პროფესორი რუსუდან ლორთქიფანიძე უნივერსიტეტის პრორექტორად დანიშნა და რომ უახლოეს მომავალში გათვალისწინებულია დიდი საბჭოს კიდევ ერთხელ შეხვედრა, რომელზეც ქალბატონი რუსუდანის კანდიდატურა რექტორობის ერთ-ერთ პრეტენდენტად დასახელდება. თუმცა, ნაკლებად სავარაუდოა, რომ რექტორობის კანდიდატს კონკურენტი გამოუჩნდეს.

ამის შემდეგ ტრიბუნა საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა დაიკავა. პირველ რიგში, მან საბჭოს წევრები დააწყნარა. **"ნუ დაუჯერებთ ზღაპრებს, რომ ყველას სახლში გაყრიან. ჩვენ სახლში გასაშვები მეცნიერები არა გვყავს"**, - განაცხადა მან. თუმცა, არც რეფორმის იდეისათვის უღალატია და იქვე დაამატა, რომ სამეცნიერო ინსტიტუტებისა და უმაღლესების ცალ-ცალკე არსებობა მხოლოდ ძალიან მდიდარი ქვეყნების ფუფუნებაა. საქართველოში საბოლოოდ ინსტიტუტების გაერთიანება საუნივერსიტეტო ბაზაზე უნდა მოხდეს. შემდეგ კი, როინ მეტრეველისა არ იყოს, თავისი სიტყვა პრეზიდენტმაც პოზიტივზე ააგო და იმ წარმატებების შესახებ ისაუბრა, რასაც ამ 7-8 თვის განმავლობაში მიაღწიეს: **"ვიცი, დღესაც ბევრი ბუზღუნებს, რომ ყველაფერი კარგად ვერ არის; რომ უფრო მეტს ელოდნენ, მაგრამ, აბა, დაფიქრდით, სულ 7-8 თვეში რამდენს მივაღწიეთ"**.

რექტორობის ახალი კანდიდატის ჩამოყვანა იტალიიდან იმდენად ფორსირებულად მოხდა, რომ მას ჯერ რაიმე კონკრეტული პროგრამა არ გააჩნია. ორშაბათიდან იგი უნივერსიტეტში სიარულსა და იქაური პრობლემების გაცნობას დაიწყებს; თვლის, რომ სააკაშვილის მხარდაჭერა თავისი წარსული საქმიანობის გამო დაიმსახურა და ფიქრობს, რომ პრეზიდენტის იმედებს გაამართლებს.

# საქართველოში ყოველ წელს 18 ჩვილი იღუპება

ოთარ ქირია

*გაერო-ს მოსახლეობის ფონდის ყოველწლიური ანგარიშის მიხედვით, საქართველოში სიცოცხლის ხანგრძლივობის მაჩვენებელი მამაკაცებში - 69.5, ხოლო ქალებისთვის 77.6 წელია, ყოფილ საბჭოთა ქვეყნებს შორის ეს ყველაზე მაღალი მაჩვენებელია. ამავე ქვეყნებთან შედარებით, საქართველოში ყველაზე დაბალია მაჩვენებელი დედათა სიკვდილიანობის კოეფიციენტის მიხედვით.*



*საქართველოში დედათა სიკვდილიანობა დაბალია.*

"საქართველოში გაერო-ს მოსახლეობის ფონდის საქმიანობის ანგარიში და პერსპექტივები" - ამ თემას მიეძღვნა გუშინ "თბილისი მარიოტში" გამართული კონფერენცია, რომელშიც მონაწილეობა მიიღო საქართველოში ვიზიტად მყოფმა გაერო-ს მოსახლეობის ფონდის რეგიონულმა დირექტორმა ანა ბირგით ალბრეხსტენმა.

ალბრეხსტენმა მოისმინა ყველა იმ პროექტისა და პროგრამის ანგარიში, რომლებიც საქართველოში მოღვაწეობის მანძილზე გაერო-ს მოსახლეობის ფონდმა დააფინანსა. კონკრეტულად, საუბარია მოსახლეობის განვითარების, რეპროდუქციული ჯანმრთელობის, უსაფრთხო დედობის, შიდსის დაავადებების პრევენციისა და ახალგაზრდობის ჯანმრთელობის საკითხებზე. ალბრეხსტენი პროექტების დღევანდელი მუშაობით კმაყოფილია და აცხადებს, რომ **"აღნიშნული პროექტები ყველაზე წარმატებულად საქართველოში განხორციელდა; გაცილებით მცირე დანახარჯებით, ვიდრე თურქეთში, აზერბაიჯანსა და სომხეთში. ბევრად უფრო დიდი შედეგი იქნა მიღწეული საქართველოში. ჩემთვის რთულია იმაზე საუბარი, რამ გამოიწვია ეს, თუმცა დანამდვილებით ვიცი, რომ საქართველოში პროექტები ყველაზე იაფი დაჯდა და ამასთან ყველაზე მეტი საქმე აქ გაკეთდა. ეს მე მაძლევს იმის უფლებას, რომ ვაწარმოო მოლაპარაკებები კოლეგებთან და სხვა დონორ ფონდებთან, პროექტების მასშტაბებისა და რაოდენობის გაზრდის თაობაზე. არ ვგულისხმობ რაიმე ახალი პროექტის წამოწყებას დამატებით. უბრალოდ, არსებული პროექტები გაცილებით უფრო გაფართოვდება, ვიდრე აქამდე"**.

ამავდროულად, კონფერენციაზე საპრეზენტაციოდ წარადგინეს ფონდის ახალი სახელმძღვანელო "მსოფლიოს მოსახლეობა 2004 წელს", სადაც საქართველოს შესახებაც ბევრი რამ არის თქმული.

ამ სახელმძღვანელოს მიხედვით, რომელსაც გაერო-ს მოსახლეობის ფონდი წელიწადის მანძილზე ამუშავებდა, 2004 წელს საქართველოს მოსახლეობის საერთო რაოდენობა 5.1 მილიონია, 2050 წლისათვის მოსახლეობის პროგნოზირებადი რაოდენობა 3.5 მილიონი იქნება, რაც ნიშნავს იმას, რომ წლიური ზრდის ტემპი მინუსი ნიშნით მოქმედებს და 0.9 პროცენტს შეადგენს. გარდა უშუალოდ სტატისტიკური მონაცემებისა, მოსახლეობის რიცხოვნობისა და ბუნებრივი მოძრაობისა, სახელმძღვანელოში მოცემულია სხვადასხვა სპეციფიკური კვლევის შედეგები.

საქართველოს შესახებ ასეთ ინფორმაციას ვიგებთ: წელიწადში ქვეყანაში 18 ჩვილი იღუპება; დედათა გარდაცვალების კოეფიციენტი 32 პროცენტს შეადგენს; დაწყებითი განათლების მიღების საშუალება აქვს ბავშვების 92 პროცენტს, როგორც ქალებში, ისე მამაკაცებში; იმ ბავშვთა რაოდენობა, რომლებიც დაწყებით სკოლას ბოლომდე ამთავრებენ, შეადგენს 94 პროცენტს ორივე სქესის მიხედვით; საშუალო სკოლაში განათლების მიღების საშუალება აქვს 76 პროცენტს მამაკაცებში და 82 პროცენტს ქალებში; ყოველ ათას ქალზე (15-19 წლის ასაკობრივ ჯგუფებში) იბადება 33 ბავშვი წლიურად; კონტრაცეპტივების მოხმარების თვალსაზრისით, ყოველი ათასი ადამინიდან 41 სარგებლობს ნებისმიერი მეთოდით, ხოლო 20 პროცენტი თანამედროვე კონტრაცეპტიული მეთოდებით; შიდსის გავრცელების თვალსაზრისით კი, საქართველოში 15-24 წლის ასაკობრივ ჯგუფში (ყველაზე აქტიური ასაკი შიდსის შეძენის თვალსაზრისით) 0.3 პროცენტია მამაკაცებში, ხოლო - 0.1 პროცენტი ქალებში. აღსანიშნავია, რომ ეს უკანასკნელი მაჩვენებელი, ისევე, როგორც სიკვდილიანობის კოეფიციენტები, საქართველოში ერთ-ერთი ყველაზე დაბალია, როგორც ყოფილი საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე, ისე მსოფლიოს მასშტაბითაც.

# №43 სკოლაში მომხდარი ინციდენტი მოსწავლის "ხუმრობას" მოჰყვა

*გუშინ თბილისის №43 სკოლა მთელი დღის განმავლობაში ყურადღების ცენტრში მოექცა. მიზეზი, სკოლაში გაშვებული ცრემლსადენი გაზი იყო, რასაც რამდენიმე ბავშვის მოწამვლა, სკოლის ევაკუირება და, თავისთავად ცხადია, პანიკა მოჰყვა.*



ინტერპრესი

*მოწამლული ბავშვები საავადმყოფოში საპატრულო პოლიციამაც გადაიყვანა.*

სკოლასთან მაშინვე იქნა მობილიზებული სასწრაფო დახმარების მანქანები და მოწამლული ბავშვები საავადმყოფოში გადაიყვანეს.

**"გაზი მთელ შენობაში იყო გაშვებული, რადგან მოწამლულები ყველა კლასში არიან",** - ამბობდნენ თავდაპირველად შეშინებული პედაგოგები.

პირველად გავრცელებული ინფომაციით, სკოლაში ბუნებრივმა აირმა გაჟონა. კომპანია "თბილგაზის" საავარიო სამსახური მაშინვე გავიდა შემთხვევის ადგილზე და, უსაფრთხოების მიზნით, სკოლის ახლოს მცხოვრებ "თბილგაზის" აბონენტებს ბუნებრივი აირის მიწოდება დროებით შეუწყვიტა. თუმცა, მოგვიანებით დადგინდა, რომ N43 საშუალო სკოლაში ბუნებრივი აირის გაჟონვა არ მომხდარა.

სკოლის ერთ-ერთმა თანამშრომელმა კი იმის მტკიცება დაიწყო, რომ სკოლის სპორტდარბაზში უცნობი მამაკაცი შევიდა და რაღაც ბალონი დააგდო. ცოტა ხანში ეს ვერსიაც გამოირიცხა და სამართალდამცველებმა საბოლოოდ დაადგინეს, რომ სკოლაში ცრემლსადენი ბალონი ერთ-ერთმა მოსწავლემ მიიტანა და გაზი ბალონიდან თამაშის დროს გაეპარათ.

როგორც პოლიციელები აცხადებენ, აღნიშნული გაზის ბალონი ნებისმიერ იარაღის მაღაზიაში იყიდება და 15 ლარი ღირს.

საბოლოო მონაცემებით, სკოლაში სულ 12 მოსწავლე მოიწამლა, რომლებიც იაშვილის სახელობის ბავშვთა ცენტრალურ კლინიკურ საავადმყოფოში ერთად მოათავსეს. ბავშვებს გაუკეთდათ ანალიზები. მათ თითქმის ერთნაირი სიმპტომები აღენიშნებოდათ - ხველა, თავბრუსხვევა, ხელფეხის დაბუჟება.

როგორც ჯანმრთელობის საქალაქო სამსახურის უფროსმა ზაზა გოროზიამ განაცხადა, სერიოზულად მოწამლულია მხოლოდ ერთი მოსწავლე - ირა აგაჯანოვა, რომელიც საავადმყოფოს ტოქსიკოლოგიის განყოფილებაშია გადაყვანილი.

**"სტაციონარში მხოლოდ ერთი ბავშვი დარჩება, დანარჩენებს კი სათანადო მითითებების შემდეგ გავწერთ. ბავშვების ჯანმრთელობას საფრთხე არ ემუქრება. მათი უმეტესობა ფსიქოლოგიური სტრესის ქვეშ იმყოფება,"** - აღნიშნა იაშვილის სახელობის ბავშვთა ცენტრალური კლინიკური საავადმყოფოს გადაუდებელი სამედიცინო დახმარების განყოფილების გამგემ ნანა ქიქოძემ.

ერთი სიტყვით, სამართალდამცველთა ბოლო ვერსიით, ბავშვების მოწამვლა ერთ-ერთი მოსწავლის გაუთვალისწინებელ "ხუმრობას" მოჰყვა. ამ ეტაპზე ცნობილია ბავშვის ვინაობაც, სხვათა შორის, მოწამლულთა შორის ისიც იყო. მიუხედავად "დანაშაულის ფაქტობრივი გახსნისა", მთაწმინდა-კრწანისის რაიონის პოლიციის საგამოძიებო ნაწილში მოკვლევა მაინც მიმდინარეობს. ჩვენი ინფორმაციით, დანიშნულია ექსპერტიზა, თუ რა სახის აირი გაიჟონა.

გუშინვე მოწამლულები მოინახულეს ქალაქის პრემიერმა ბიძინა ბრეგაძემ და საკრებულოს თავმჯდომარემ ზაზა ბეგაშვილმა. თბილისის პრემიერის ბიძინა ბრეგაძის განცხადებით, N43 საშუალო სკოლაში დაზარალებულ მოსწავლეებს დახმარებას დედაქალაქის მუნიციპალიტეტი გაუწევს.

# თბილისში მანიაკის არსებობას შსს კატეგორიულად უარყოფს

*ბოლო დღეებში თბილისში გავრცელებულ სკანდალურ ინფორმაციას თბილისის ქუჩებში მოსიარულე მანიაკის შესახებ, რომელიც თავს ესხმის ახალგაზრდა ქალებს, შინაგან საქმეთა სამინისტრო კატეგორიულად უარყოფს.*

**"სამწუხაროდ, ზოგიერთმა საინფორმაციო საშუალებამ უმალ აიტაცა გავრცელებული ხმები და არაკომპეტენტური რესპონდენტების კომენტარებით მათი გამყარებაც სცადა,"** - ნათქვამია შსს-ს განცხადებაში. სამინისტრო მოსახლეობას მოუწოდებს, არ აჰყვეს ჭორებს, რომელიც საზოგადოებაში არსებულ პანიკას უფრო გააღრმავებს.

შსს-ს მიერ გავრცელებულ განცხადებას ახალი სკანდალური ინფორმაცია მოჰყვა. სააგენტო "ინტერ-პრესის" მიერ გავრცელებული ინფორმაციით, გუშინ, დილით, ალმაშენებელის გამზირზე 44 წლის ქალბატონს დაახლოებით 20 წლის ახალგაზრდა მამაკაცი დაესხა თავს. "ინტერ-პრესთან" საუბრისას ქალბატონმა განაცხადა, რომ გამხდარი, ქერათმიანი მამაკაცი, რომელიც სამართებლით იყო შეიარაღებული, მას მიკროავტობუსიდან ჩამოსვლის დროს დაესხა თავს. თავდამსხმელს ჯინსის ქურთუკი ეცვა და დაბნეული გამომეტყველება ჰქონდა. როგორც ქალბატონმა განაცხადა, მან გაქცევით უშველა თავს.

მომხდარი ფაქტის შესახებ არანაირ ინფორმაციას არ ფლობენ დიდუბე-ჩუღურეთის პროკურატურისა და პოლიციის თანამშრომლები, რადგან შემთხვევის ადგილზე სამართალდამცველები არ ყოფილან, ქალბატონს კი, რომელსაც თავს დაესხნენ, სამართალდამცველებისთვის არ მიუმართავს.

მანიაკთან დაკავშირებით გუშინ კიდევ ერთი ინფორმაცია გავრცელდა, რომლის მიხედვითაც, ანალოგიური აღწერილობის ახალგაზრდა მამაკაცი, გუშინ, შუადღისას, 53-ე საშუალო სკოლის მიმდებარე ტერიტორიაზე 14 წლის გოგონას გაეკიდა. გოგონამ დახმარებისთვის საპატრულო პოლიციას მიმართა, თუმცა პატრულმა თავდამსხმელი ვერ დაიჭირა. სამართალდამცველებმა ეს ფაქტიც კატეგორიულად უარყვეს. **"ყველა გავრცელებულ ინფორმაციას დეტალურად ვამოწმებ. შემოვიარე თბილისის ყველა საავადმყოფო, მაგრამ მსგავსი თავდასხმის ფაქტს ვერსად მივაგენი, რადგან მსგავსი არაფერი მომხდარა. არაფერი მსმენია 53-ე სკოლასთან მომხდარ შემთხვევაზე,"** - ჩვენთან საუბრისას განაცხადა ვაკე-საბურთალოს პროკურორმა მამუკა გვარამიამ.

სამართალდამცველთა განცხადებით, შემთხვევა, რომელმაც თბილისში პანიკა გამოიწვია, ცოტა ხნის წინ ვაკის პარკის მიმდებარე ტერიტორიაზე მოხდა. ჯერჯერობით დაუდგენელმა ახალგაზრდა მამაკაცმა გოგონას ყელის არეში დანა ჩაარტყა. გოგონა გადარჩა, მაგრამ თავდამსხმელი სამართალდამცველებმა ვერ დაიჭირეს. მართალია, სამართალდამცველები თავდამსხმელის შესახებ დარწმუნებით ვერ აცხადებენ, რომ ის მანიაკი არ არის, მაგრამ კატეგორიულად უარყოფენ თბილისში სერიული მკვლელობების ფაქტებს.

*24 საათი*

# საქართველოს ფინანსურ პოლიციას ჰოლანდიელები ეხმარებიან

ჰოლანდიის ფინანსურმა პოლიციამ საქართველოს ფინანსური პოლიციის დახმარების სურვილი გამოთქვა. საქართველოში უკვე იმყოფებოდა მისი წარმომადგენელი. იგი ფინანსური პოლიციის სტრუქტურას გაეცნო, მოგვიანებით კი ჰოლანდიაში ქართველი კოლეგები მიიწვიეს. შესაბამისად, მოხდა შეთანხმება და ჰოლანდია საქართველოს ფინანსურ პოლიციას ტრენინგებითა და ტექნიკური დახმარებით დაუდგება გვერდში.

30 სექტემბერს ამ დახმარების პროგრამის პირველი ეტაპი დასრულდა. ბათუმსა და თბილისში საქართველოს ფინანსური პოლიციის თანამშრომლებს ორ-ორდღიანი სემინარები ჩაუტარდათ. ამისათვის კი ჩვენს ქვეყანაში იმყოფებიან ჰოლანდიის ფინანსური პოლიციის საერთაშორისო საგამოძიებო ცენტრის უფროსი ედუარდ ტიმერსი და უფროსი გამომძიებელი მარტინ ხრინბერგერი.

სემინარებზე ჰოლანდიელებმა ქართველ კოლეგებს ოპერატიულ და საგამოძიებო სფეროში მუშაობის მეთოდიკა გააცნეს როგორც საერთაშორისო, ასევე ქვეყნის დონეზე.

დახმარების პროგრამის მეორე ეტაპი რამდენიმე კვირის შემდეგ გაგრძელდება. ამის შემდეგ გაცვლითი პროგრამა დაიწყება.

საქართველოსგან განსხვავებით, ჰოლანდიის ფინანსურ პოლიციას არ ეხება თაღლითობის და სხვა მსგავსი, ადამიანთა კერძო დავებთან დაკავშირებული დანაშაული. ისინი მხოლოდ ბიუჯეტისა და სახელმწიფოს კუთვნილ ქონებასთან დაკავშირებულ დანაშაულზე მუშაობენ.

*მედია-ნიუსი*

## უფასო იურიდიული კონსულტაციის ქვითარი

ა ნ კ ე ტ ა

სახელი, გვარი ...........................................

ასაკი, პროფესია, სამუშაო ადგილი ...........................................

საკონტაქტო ტელეფონი ...........................................

იურიდიული ოფისი "გაპი" - წერეთლის გამზ. 77. ტელ/ფაქსი: 34-76-58. www.gapi.ge

# სამეგრელო-ზემო სვანეთში ყოფილი მაღალჩინოსნების დაპატიმრებები დაიწყო

*სამეგრელო-ზემო სვანეთში ახალი გუბერნატორის ჩასვლა პირველ დღესვე საგრძნობი გახდა. გიგი უგულავა მხოლოდ გუშინ შეუდგა პრეზიდენტის რწმუნებულის უფლება-მოვალეობის შესრულებას და გუშინვე საზოგადოებას ორი ყოფილი მაღალჩინოსნის დაკავების შესახებ ეცნობა.*

სამეგრელო-ზემო სვანეთის პროკურორმა როლანდ ახალაიამ გუშინ სპეციალური პრესკონფერენცია მიუძღვნა ფოთის ყოფილი მერის აკაკი დარჯანიასა და ზუგდიდის რაიონის ყოფილი გამგებლის მოადგილის იგორ ქობალია დაკავების ფაქტს. ასევე ჟურნალისტებს ისიც ამცნო, რომ ძებნაა გამოცხადებული ზუგდიდის რაიონის ყოფილ გამგებელ ნუგზარ ანთელავაზე და მის დასაკავებლად შესაბამისი ღონისძიებები ტარდება.

ყველა მათგანს სამოხელეო დანაშაულის ჩადენა, კონკრეტულად კი, თანამდებობრივი უფლებამოსილების არაერთგზის გადამეტება ბრალდება.

რაც შეეხება დაკავებულთათვის წარდგენილ კონკრეტულ ბრალდებებს: ფოთის ყოფილ მერს სამხარეო პროკურატურა თანამდებობრივი უფლებამოსილების არაერთგზის გადამეტებით სახელმწიფო ბიუჯეტისათვის დიდი ოდენობით ზარალის მიყენებაში ედავება.

კერძოდ, სამხარეო პროკურორის როლანდ ახალაიას თქმით, 2000-2002 წლების განმავლობაში, ანუ იმ პერიოდში, როცა აკაკი დარჯანიას ფოთის მერის თანამდებობა ეკავა, ფოთის მერია სხვადასხვა შეზღუდული პასუხისმგებლობის საწარმოებს ბანკში გარანტად დაუდგა და მათ სესხის აღებაში დაეხმარა. ამ საწარმოებს აღებული სესხი ჯერაც არ დაუბრუნებიათ, რის გამოც თანხა ადგილობრივ ბიუჯეტს ჩამოაწერეს. შედეგად კი ბიუჯეტმა 500 ათასი აშშ დოლარით იზარალა.

როგორც ახალაია აღნიშნავს, გარანტის პასუხისმგებლობის აღება მხოლოდ პრეზიდენტის ნებართვით ხდება, რითაც ფოთის მერმა აშკარად გადაამეტა თავის უფლებამოსილებას.

აღნიშნულ შემთხვევაშიც, კანონის შესაბამისად, დარჯანიასათვის წაყენებული ბრალი 3-დან 8 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

ფოთის ყოფილი მერი პროკურატურის გამომძიებლებმა უკვე დაკითხეს. მანამდე კი დარჯანია აცხადებდა, რომ თავს დამნაშავედ არ ცნობს და ბრალდების უსუსურობაში საზოგადოება მალე დარწმუნდება.

სხვა ბრალდება აქვს წაყენებული ზუგდიდის ყოფილ გამგებელს იგორ ქობალიას. მას სამართალდამცველები არასასოფლო-სამეურნეო მიწების მრავალგზის უკანონოდ გასხვისებაში ადანაშაულებენ. ამავე ბრალდებით იძებნება ზუგდიდის რაიონის ყოფილი გამგებელი ნუგზარ ანთელავაც.

მათ მიერ ჩადენილი დანაშაულიც, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, 3-დან 8 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

დაკავებულები ამჟამად ზუგდიდის წინასწარი დაკავების იზოლატორში იმყოფებიან და მათთვის აღმკვეთი ღონისძიების შეფარდების საკითხს ზუგდიდისა და ფოთის სასამართლოები უახლოეს ორ დღეში განიხილავენ.

*24 საათი*

## მოკლედ

### სამაჩაბლოში სროლები გრძელდება

უშიშროების სამინისტროს სამხედრო კონტრდაზვერვის შიდა ქართლის თანამშრომლებმა დიდი ლიახვის ხეობის სოფელ თამარაშენში, ერთ-ერთ ხეხილის ბაღში, ოსური მხრიდან ნასროლი 6 ნაღმი აღმოაჩინეს. უშიშროების რეგიონული სამმართველოს წინასწარი ინფორმაციით, ნაღმები 82-მილიმეტრიანი ნაღმმტყორცნის მეშვეობით ოსური პოზიციებიდან არის ნასროლი.

მათივე ინფორმაციით, ნაღმების აფეთქება გრუნტიანი ნიადაგის წყალობით არ მოხდა. თავდაცვის სამინისტრომ ნაღმები უკვე გააუვნებელყო. ამასთან, გუშინდელი ღამის განმავლობაში სოფელ თამარაშენის მიმართულებით ტყვიამფრქვევებიდან და ავტომატური იარაღებიდან დაფიქსირდა სროლები, რომლებიც რამდენიმე წუთის განმავლობაში გრძელდებოდა. **პრაიმ-ნიუსი**

### აფეთქებულმა მანქანამ ხუთი ადამიანი დააზიანა

თბილისში, კაიროს ქუჩაზე (ვარკეთილი) გუშინ დილით, ბენზინგასამართ სადგურთან ავტომანქანა "ფორდ-სკორპიო" მაშინ აფეთქდა, როდესაც მის ავზს ავსებდნენ. როგორც ხანძარსაწინააღმდეგო რაზმის უფროსმა ტიტე ჯიქონაიამ განაცხადა, აფეთქება მანქანაში ჩამონტაჟებული ბალონების გაუმართაობამ გამოიწვია. აფეთქებამ გვერდით მდგომი მანქანის მგზავრებიც დააზიანა.

ხანძარსაწინააღმდეგო სამსახურის ინფორმაციით, ხანძრის ლოკალიზება პირველი საათისათვის მოხერხდა. დაშავებულია ხუთი ადამიანი, რომლებიც საავადმყოფოში გადაიყვანეს. ექიმთა განცხადები, რამდენიმე მათგანს მიღებული აქვს მძიმე ხარისხის დამწვრობა. მათ სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრება.

ავტომანქანის აფეთქება, სავარაუდოდ, მისი გაუმართაობის შედეგი იყო. თუმცა, სამართალდამცველები არ გამორიცხავენ, რომ უსაფრთხოების ზომები დაცული არ იყო ბენზინგასამართ სადგურშიც. ამ ფაქტზე მოკვლევა დაიწყო თბილისის ისანი-სამგორის რაიონის საგამოძიებო სამსახურმა. **მედია-ნიუსი**

### ფინანსური პოლიცია - უაქციზო სიგარეტის და კონტრაბანდული დიზელის წინააღმდეგ

ფინანსური პოლიციის იმერეთის განყოფილების თანამშრომლებმა და თბილისიდან ჩასული სპეცრაზმის წევრებმა ქუთაისში ბაზრებსა და ბაზრობებში ერთობლივი რეიდები ჩაატარეს, სადაც უაქციზო საქონლით მოვაჭრეები გამოავლინეს. რეიდის შედეგად პოლიციამ ე.წ. "კეჭის" ბაზრობაზე უაქციზო სიგარეტის ერთ-ერთი მსხვილი შემომტანი ნოდარ კუპრავა დააპატიმრა. იმერეთის ფინანსურ პოლიციაში, ჯერჯერობით, არ აზუსტებენ, რა რაოდენობის უაქციზო სიგარეტი ამოიღეს ქუთაისში. თუმცა, წინასწარი ინფორმაციით, საუბარია ათი ათასობით კოლოფზე.

გამორიცხული არ არის, რეიდების შედეგებიდან გამოდინარე, სავაჭრო ობიექტების ხელმძღვანელების პასუხისმგებლობის საკითხიც დადგეს.

კანონდამრღვევები გამოავლინა კახეთის ფინანსურმა პოლიციამაც. მათ ლაგოდეხის სასაზღვრო გამშვებ პუნქტზე ხუთი მსუბუქი ავტომანქანა დააკავეს, რომელთა მფლობელებს საბარგულში სპეციალურად დამონტაჟებული რკინის ავზებით 7 ტონამდე კონტრაბანდული დიზელის საწვავი აზერბაიჯანიდან გადმოჰქონდათ. ფინანსური პოლიცია საბაჟოზე ამგვარ დარღვევებს სასაზღვრო რაზმის დაუდევრობას უკავშირებს და ამ ფაქტთან დაკავშირებით შესაბამის მიმართვას ამზადებს. დაკავებული ავტომანქანები კახეთის ფინანსურ პოლიციაში გადაიყვანეს. მოსახლეობის ის ნაწილი, რომელიც დღეში რამდენჯერმე გადადის აზერბაიჯანის ტერიტორიაზე და იქიდან შემოტანილი საწვავის რეალიზაციას ახდენს, ფინანსური პოლიციის და საბაჟოს მიერ საწვავის შემოტანის აკრძალვას აპროტესტებს. **24 საათი**

### საპატრულო პოლიციამ ბოროტმოქმედი დააკავა

აჭარის შინაგან საქმეთა სამინისტროსა და საპატრულო პოლიციის თანამშრომლებმა გეგუთის კოლონიიდან გაქცეული, რამდენიმე მძიმე კატეგორიის დანაშაულის ჩადენაში ეჭვმიტანილი მამუკა სარჯველაძე დააკავეს.

როგორც აჭარის შს სამინისტროში აცხადებენ, საპატრულო პოლიციის თანამშრომლებმა ბათუმის ერთ-ერთ ქუჩაზე, გვიან ღამით პატრულირებისას ხუთი საეჭვო პირი შენიშნეს და მათ პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტების წარმოდგენა მოსთხოვეს, თუმცა ბოროტმოქმედები მოთხოვნას არ დაემორჩილნენ და ცეცხლსასროლი იარაღებიდან სროლა ატეხეს. მათ შეძლეს საპატრულო პოლიციის მანქანის გატაცება და მიმალვა. საპატრულო პოლიციის მიერ განხორციელებული დევნისას ერთი ბოროტმოქმედის დაკავება სამტრედიაში მოხერხდა. დაკავებული მამუკა სარჯველაძე დაჭრილია და იგი ამჟამად ბათუმის საავადმყოფოშია გადაყვანილი, დანარჩენმა ოთხმა კი მიმალვა შეძლო. "შემთხვევის ადგილიდან ამოღებულია ორი ნიღაბი და ცეცხლსასროლი იარაღები, რაც იმაზე მეტყველებს, რომ ჯგუფი ყაჩაღური თავდასხმის განხორციელებას გეგმავდა," -აღნიშნეს აჭარის შს სამინისტროში. **პრაიმ-ნიუსი**

## ორი სიტყვით

**თბილისი.** ე.წ. კანონიერი ქურდი, 79 წლის გოგი ჩიქოვანი სასამართლოს გადაწყვეტილებით პატიმრობიდან გათავისუფლდა. თბილისის კრწანის-მთაწმინდის რაიონულმა სასამართლომ მას იარაღის უკანონოდ შენახვის ბრალდებით ცხრათვიანი პირობითი სასჯელი შეუფარდა და პატიმრობიდან გაათავისუფლა. გოგი ჩიქოვანი მიმდინარე წლის 9 მაისს საკუთარ სახლში დააკავეს. მის საცხოვრებელ ბინაში, გამოძიების მტკიცებით, ცეცხლსასროლი იარაღი აღმოჩნდა. როგორც ჩიქოვანის ადვოკატმა შალვა შავგულიძემ განაცხადა, მისი დაცვის ქვეშ მყოფისთვის პირობითი სასჯელის შეფარდება თავად პროკურატურამ მოითხოვა. სასამართლომ ჩიქოვანის ჯანმრთელობის მძიმე მდგომარეობა გაითვალისწინა და თბილისის N1 კლინიკურ საავადმყოფოში მყოფი პატიმარი გაათავისუფლა ბადრაგის ყურადღებისაგან. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** თბილისის გლდანი-ნაძალადევის რაიონის შს სამმართველოს მე-2 განყოფილების თანამშრომლებმა დააკავეს სოფელ თეთრწყლებში მცხოვრები ვეფხო გ., რომელმაც სოფელ გლდანში დანით კისერში და ხელში დაჭრა სტუმრად მყოფი, საგარეჯოს რაიონის სოფელ ჩაილურში მცხოვრები კახა ღვინაშვილი და დანის მუქარით გასტაცა 500 აშშ დოლარი და მობილური ტელეფონი. **მედია-ნიუსი**

# დაუმთავრებელი რევოლუციის შუქ-ჩრდილები

ირაკლი მელაშვილი

*ვარდების რევოლუციიდან თითქმის ერთი წელი გავიდა. ნელ-ნელა იკვეთება პოსტრევოლუციური ხელისუფლების პოლიტიკის კონტურები, ქვეყნის ახალი სახე. შევარდნაძის პერიოდში ცვლილებებს მონატრებული მედიის, არასამთავრობო სექტორისა და საზოგადოების დიდი ნაწილი კარგა ხნის განმავლობაში სააკაშვილსა და მის მთავრობას, ფაქტობრივად, უპირობოდ უჭერდა მხარს. "ქვეყანაში დაჩქარებული რეფორმები მიმდინარეობს", "სააკაშვილი მოვლენაა ქართულ პოლიტიკაში", "ის ყველაზე პროგრესულად მოაზროვნე ლიდერია პოსტსაბჭოთა სივრცეში" - მსგავსი შეფასებები ხშირად გვესმის პოპულარული წამყვანების, პოლიტიკოსების და საზოგადოების წარმომადგენელთა მხრიდან. ამის მიუხედავად, იქნებ ზედმეტი ემოციების გარეშე ვცადოთ რევოლუციის შემდგომ პერიოდში ხელისუფლების მიერ გადადგმული ნაბიჯებისა და უკვე გამოკვეთილი ტენდენციების გაანალიზება.*

## საკონსტიტუციო ცვლილებები და კანონმდებლობა

ჩვენ სულ ცოტა ხნის წინ მკაცრად ვაკრიტიკებდით შევარდნაძეს ერთპიროვნული მმართველობის სტილის გამო. რა მოგვიტანა სააკაშვილის საკონსტიტუციო ცვლილებებმა?

*1. პარლამენტი* - 2004 წლის 2 თებერვლის საკონსტიტუციო ცვლილებების შედეგად, როცა პრეზიდენტმა მიიღო უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს დათხოვნის ძალიან ფართო უფლებამოსილებები (მუხლები - 80; 81), ამ ორგანოს თავისი უფლებებით პრეზიდენტის მიერ შემუშავებული კანონების დამადასტურებელი სანოტარო კანტორის ფუნქციაღა დარჩა;

*2. თვითმმართველობა* - შევარდნაძის წინააღმდეგ მრავალწლიანი ბრძოლა იმით მაინც დამთავრდა, რომ რაიონის გამგებლები ხალხის მიერ არჩეული ასოცირებული საკრებულოს რიგებიდან ინიშნებოდნენ და ადგილებზე თვითონ განკარგავდნენ საკუთარ ბიუჯეტს. მთავრობის მიერ შემოტანილ კანონპროექტში კი პრეზიდენტი კვლავ იბრუნებს გამგებლების ერთპიროვნულად დანიშვნის უფლებას, ხოლო რაიონებისათვის განკუთვნილი საბიუჯეტო ტრანსფერტების განკარგვა პრეზიდენტის მიერ დანიშნული გუბერნატორების ხელში გადადის. საზოგადოების პროტესტის შედეგად ეს კანონპროექტი მთავრობამ უკან გაიწვია, მაგრამ 1 ივლისს პარლამენტის მიერ მიღებულმა აჭარის სტატუსმა კიდევ ერთხელ დაადასტურა პრეზიდენტის მხრიდან დემოკრატიული სახელმწიფოს ერთ-ერთი უმთავრესი - ხელისუფლების დეცენტრალიზაციის პრინციპის - აბსოლუტური უგულებელყოფა. **ამ კანონით, ფაქტობრივად, თბილისიდან ინიშნება ყველა თანამდებობის პირი; პარლამენტარებმა პრეზიდენტი, რომელსაც კონსტიტუციით რაიონის საკრებულოს დათხოვნის უფლებაც კი მხოლოდ მათთან შეთანხმებით აქვს, აღჭურვეს აჭარის უზენაესი საბჭოს დათხოვნის, (მუხლი 12. 2.), აგრეთვე, აჭარის მთავრობის გამოცემული ნებისმიერი აქტის გაუქმების ერთპიროვნული უფლებით (მუხლი 15. 5). თუმცა, ჩვენი კანონმდებლობით, ეს უკანასკნელი უფლება, როგორც ყველა ცივილიზებულ ქვეყანაში, სასამართლოს ექსკლუზიურ კომპეტენციაში შედიოდა;**

*3. სასამართლო* - ახალი კონსტიტუციური ცვლილებებით, პრეზიდენტი ერთპიროვნულად ნიშნავს და ათავისუფლებს მოსამართლეებს (მუხლი 73; "ჟ" პუნქტი), **რაც სასამართლო ხელისუფლების ერთი პიროვნებისადმი სრული დამორჩილების, ანუ დამოუკიდებლობის დაკარგვის დამადასტურებელი უტყუარი ნიშანია;** შედეგად, თუ უზენაესი სასამართლოს ახალი თავმჯდომარის, ბატონ კემულარიას სატელევიზიო ინტერვიუს დავუჯერებთ, თურმე, "მოსამართლეებს, ვისაც უნდა და რომელ კაბინეტშიც უნდათ, იქ იბარებენ". საინტერესოა, აქამდე სად იყო სახელისუფლებო პარტიის ერთ-ერთი ლიდერი? საერთოდ, ამ უმნიშვნელოვანეს პოსტზე რეკორდულად მრავალფეროვანი და მდიდარი პოლიტიკური ბიოგრაფიის ადამიანის, კოტე კემულარიას დანიშვნა აშკარად მიუთითებს, თუ რა პატიოსნების, პრინციპულობისა და მიუკერძოებლობის სასამართლოზე აკეთებს აქცენტს დღევანდელი ხელისუფლება. შეგახსენებთ, რომ ბატონი კოტე გახლდათ:

1992-1993 წლებში - იუსტიციის მინისტრი შევარდნაძის მთავრობაში;

1995 წელი - პატიაშვილის საარჩევნო შტაბის ხელმძღვანელი;

1998 წელი - თბილისის საკრებულოს წევრი "აღორძინების" პარტიიდან; იურიდიული კომისიის თავმჯდომარე;

1999 წელი - "მოქკავშირის" მხარდაჭერით ხობის მაჟორიტარი დეპუტატი და საპარლამენტო უმრავლესობის წევრი;

2002 წელი - უკვე "ნაციონალური მოძრაობის" ფრაქციის თავმჯდომარე;

ამას ემატება პოლიტსაქმიანობაში პაუზის დროს "ინვალიდთა ლიგაში" მიტაცებულ თანხებზე პროკურატურის მიერ მის მიმართ აღძრული სისხლის სამართლის საქმე და სხვა. დასკვნები მკითხველისთვის მიმინდვია.

## არჩევნები

სააკაშვილის მაღალი რეიტინგიდან გამომდინარე, ხელისუფლებისათვის ყველაზე ადვილი და უმტკივნეულო გზა საპრეზიდენტო, საპარლამენტო და აჭარის არჩევნების დემოკრატიულად ჩატარება უნდა ყოფილიყო. მაგრამ სრულიად მოულოდნელად, ამ სამი არჩევნებიდან ყოველი მომდევნო წინა არჩევნებზე უარესი აღმოჩნდა, რაც გარკვეული ტენდენციის მანიშნებელია. საინტერესოა, რომ იგივე საპარლამენტო არჩევნების ოფიციალური შედეგები მნიშვნელოვნად განსხვავდება თავად ხელისუფლების შეკვეთით, მათივე მხარდამჭერი სოციოლოგიური ჯგუფების მიერ ჩატარებული ეგზიტპოლების მონაცემებისაგან. ჩემს ხელთ არსებული ინფორმაციით, ეგზიტპოლის მონაცემებსა და ოფიციალურად ნაჩვენებ ციფრებს შორის განსაკუთრებით დიდი სხვაობა არჩევნებზე მოსულ ამომრჩეველთა რაოდენობაში დაფიქსირდა (მილიონნახევარ ამომრჩეველში რამდენიმე ასეულათასი კაცი). თუ ეგზიტპოლში დაფიქსირებულ მოსულ ამომრჩეველთა რიცხვს და საარჩევნო სუბიექტების მიერ მიღებულ ხმების რაოდენობას გადავხედავთ, აღმოვაჩენთ, რომ 7%-იანი ბარიერი "ნაციონალ-დემოკრატებთან" და "მემარჯვენეებთან" ერთად, შესაძლოა, კიდევ სამ პოლიტიკურ ძალას - "ლეიბორისტს", "აღორძინებასა" და "თავისუფლებას" გადაელახა, რაც მთლიანად შეცვლიდა პარლამენტში პოლიტიკურ ძალთა განლაგებას. **ამ ეჭვს ისიც აძლიერებს, რომ ზემოაღნიშნულმა სოციოლოგებმა მოულოდნელად უარი განაცხადეს არჩევნების მეორე დღეს დანიშნული დასკვნითი პრესკონფერენციის ჩატარებასა და ეგზიტპოლის ოფიციალური შედეგების გამოქვეყნებაზე** (სხვათა შორის, ფონდ "სამართლიანი არჩევნების" პარალელური დათვლის შედეგებისგან განსხვავებით, ამ ეგზიტპოლით პარლამენტში მხოლოდ "ნაციონალები" გავიდნენ). **განსაკუთრებით მინდა ხაზი გავუსვა იმ ფაქტს, რომ ხელისუფლებას, არაერთი საჯარო დაპირების მიუხედავად, 28 მარტის საპარლამენტო არჩევნების დროს ქვემო ქართლში დაფიქსირებული მასობრივი გაყალბებების (მარნეულის უმეტესი საარჩევნო უბნის შედეგები საერთოდ გაუქმდა) გამო არც ერთი თანამდეობის პირის პასუხისმგებლობის საკითხი არ დაუყენებია.**

ტრაგიკომიკური იყო აჭარის არჩევნებზე შექმნილი მდგომარეობა, სადაც "ნაციონალურმა მოძრაობამ" თბილისიდან მიავლინა ყველა საოლქო კომისიის თავმჯდომარე, სააგიტაციო კამპანიას აწარმოებდნენ თავად პრეზიდენტი, აღმასრულებელი ხელისუფლებისა და საპარლამენტო უმრავლესობის წარმომადგენლები. პრეზიდენტის მომხრეებმა მობილიზაცია გამოაცხადეს ერთადერთი მიზნით - აჭარის უზენაეს საბჭოში არ შეეშვათ არც ერთი პარტია, ფაქტობრივად კი, "რესპუბლიკელები". დამკვირვებელთა მიერ აღმოჩენილი მრავალი დარღვევის ფონზე, გაოცებას იწვევს ხელისუფლების რეაქცია ეუთო-ს მისიის საკმაოდ ცინიკურ დაკვნაზე - "ეს არჩევნები უკეთესი იყო, ვიდრე აბაშიძის მიერ 2001 წელს ჩატარებული არჩევნები." ეუთო-ს მიერ ამ კრიტერიუმით აჭარის არჩევნების შეფასება საკუთარ დემოკრატიულ იმიჯზე მზრუნველი ხელისუფლებისთვის სილის გაწვნის ტოლფასი უნდა ყოფილიყო, მაგრამ "ნაციონალების" ერთ-ერთმა ლიდერმა და აჭარის არჩევნების "მთავარმა შემოქმედმა", ბატონმა არველაძემ ამაყად განგვიცხადა - აღნიშნული დასკვნა საერთაშორისო ორგანიზაციების მხრიდან აჭარის არჩევნების დადებით შეფასებას ნიშნავსო! რაც, **ჩემი აზრით, ან განმცხადებლის უტიფარი ცინიზმის, ან მისი უკიდურესი არაადეკვატურობის ნიშანია.**

## ადამიანის უფლებები

სფერო, რომელიც ყოველთვის შევარდნაძის მმართველობის აქილევსის ქუსლად ითვლებოდა. რა ხდება დღეს? მასობრივი დაპატიმრებები ერთი და იგივე ნაცნობი სცენარით - ეჭვმიტანილთათვის ნარკოტიკის ან იარაღის "აღმოჩენა". თავიდან განსაკუთრებით პოპულარული იყო "ლიმონკის", ავტომატის ან ასაფეთქებელი ნივთიერებების "პოვნა" ბავშვის საწოლში (!), ფეხსაცმლის კარადაში, საძინებელ ოთახში და ა. შ; საქმე იქამდეც მივიდა, რომ პარლამენტის დეპუტატს (რომელსაც, პოლიცია თუ მოინდომებდა, ისედაც უამრავ კანონდარღვევას უპოვიდა) ღამით, მეუღლესთან ერთად ლოგინში მწოლიარეს აკავებენ. ვინაიდან სამართალდამცავებს დეპუტატის დაკავების უფლება მხოლოდ დანაშაულის ფაქტზე წასწრების შემთხვევაში ჰქონდათ, შსს-ს წარმომადგენლებმა წარბშეუხრელად განაცხადეს, რომ მათ დეპუტატს სწორედაც რომ დანაშაულის ფაქტზე წაასწრეს!

*წინასწარი დაკავება* - ნაცვლად ეჭვმიტანილის მიმალვის თავიდან აცილებისა, ეს პროცესუალური მოქმედება მასობრივად გამოიყენება ეჭვმიტანილებზე (წინა ხელისუფლების მომხრეებზე) ფიზიკური, ფსიქოლოგიური და მორალური ზეწოლის ინსტრუმენტად, რომლის მიზანიც, ფაქტობრივად, თანხის გამოძალვაა. უკვე საყოველთაო განსჯის საგანია ოფიციალურად დეკლარირებულთან ერთად, ის არაოფიციალური თანხები, რომლებიც ყოფილ ჩინოვნიკებსა და ბიზნესმენებს ჩაატანინეს პროკურატურასა თუ შსს-ში. ადვოკატები და უფლებადაცვითი ორგანიზაციები მუდმივად აფიქსირებენ დაკავებულთა შეუარცხყოფისა თუ წამების ფაქტებს. ამის ნათელი მაგალითები მირცხულავასა და მოლაშვილის გარშემო ატეხილი სკანდალებია. **თბილისსა და ზოგიერთ რეგიონში უკვე გაიგონებთ ისტორიებს, როცა ესა თუ ის "ნაციონალი" ჩინოვნიკი, სხვისი ქონების მითვისების მიზნით, ძალოვანების დახმარებით ქონების მეპატრონეს წამლის ან იარაღის ჩადებით წინასწარი პატიმრობის ადგილებში მიაბრძანებს. პატიმრობიდან ოფიციალური საპროცესო მორიგებით თავის დახსნის არაოფიციალურ პირობად დაკავებულის ქონების დაინტერესებულ ჩინოვნიკზე ან მის ახლობელზე გადაფორმება სახელდება. მსგავსი პრაქტიკის გაგრძელების შემთხვევაში შევარდნაძის რეჟიმის ყველაზე ოდიოზურ და კორუმპირებულ მოხელეებსაც კი, ხელისუფლების მხრიდან უსამართლოდ დაჩაგრულთა და წამებულთა იმიჯი ჩამოუყალიბდებათ, ხოლო საქართველოში კიდევ ერთხელ დადასტურდება ცნობილი ფრაზის სიმართლე - "რევოლუციას იწყებენ იდეალისტები, ხოლო მისი შედეგებით სარგებლობენ ნაძირლები".**

*დარბევები* - პრეზიდენტის გარემოცვა ამ მეთოდს ქვეყანაში "წესრიგის დამყარების" მოტივით იყენებს. ყველა აღაშფოთა მლებრიშვილის სპეცრაზმის მიერ მერიის წინ მცირერიცხოვან, ხანშიშესულ მომიტინგეთა მხეცურმა დარბევამ. დამნაშავეების დასჯას ვინ ჩივის, ხელისუფლებაში მოსულმა "ლიბერალებმა" აღნიშნულ ფაქტს მორალური შეფასებაც კი არ მისცეს. განსაკუთრებით მიუღებელია არასამთავრობო სექტორის ერთ-ერთი ყოფილი ლიდერის, ქალაქის მერის, ბატონი ზურაბ ჭიაბერაშვილის დუმილი მისი კაბინეტის ფანჯრების წინ მომხდარ აბსოლუტურად ვანდალურ ფაქტზე. არადა, საზოგადოებაში არსებობდა ილუზია, რომ საკუთარი წარსულიდან გამომდინარე, ხელისუფლებაში აღმოჩენილი ყოფილი "ენჯეოშნიკები" მსგავს ფაქტებზე ადეკვატურ რეაგირებას პირველ რიგში მოახდენდნენ…

*სიტუაცია მასმედიაში* (*მხოლოდ მოკლე ჩამონათვალი კომენტარის გარეშე*) - **უკვე დაიხურა გაზეთები: "დილის გაზეთი", "ტრიბუნა", "მთავარი გაზეთი", ჟურნალი "ომეგა". ტელევიზიები: "მე-9 არხი", "აჭარის ტელევიზია" და "იბერია". პოლიტიკური თოქ-შოუები: "ღამის კურიერი" - რუსთავი 2-ზე; "რა ხდება" - "პირველ არხზე"; "ღამის მზერა" - "მზე"-ზე; "თემა" - "იმედზე". სერიოზული პრობლემები ექმნებათ საგამომცემლო სახლ "ჯორჯიან თაიმსს", ტელეკომპანია "კავკასიას", რეგიონულ მედიას.** მზადდება საგადასახადო ცვლილებები, რომლებმაც, შესაძლოა, დაასამაროს თავისუფალი ბეჭდვითი მედია. ქვეყანაში იქმნება ისეთი საზოგადოებრივ-პოლიტიკური კლიმატი, როცა მედიასაშუალებების მფლობელები, ხელისუფლებასთან ზედმეტი გართულებების თავიდან ასაცილებლად, იძულებული ხდებიან, თვითცენზურის ელემენტები შემოიღონ.

> *იმ ადამიანთა უმრავლესობა, რომელიც ათი წლის წინ შევარდნაძეს გუნდრუკს უკმევდა, 2003 წლის შემოდგომაზე პრეზიდენტს დიდ პოლიტიკოსს კი არა, მატყუარას, ქვეყნის მტერსა თუ საქართველოს დამაქცევარს ეძახდა და მის გადადგომას მოითხოვდა.*

## აწმყო შობილი წარსულისაგან…

დღეს ჩვენი საზოგადოების უმეტესობა ამ ფაქტებზე დუმილს ამჯობინებს. ზოგს ეშინია, ზოგს ჯერ კიდევ სჯერა, რომ დიდ ამოცანებს შეჭიდებულ ხელისუფლებას "უნდა ვაცალოთ". როგორც ჩანს, ჩვენ არ გვყოფნის გაბედულება, პირუთვნელად გავაანალიზოთ შევარდნაძის მმართველობის თორმეტწლიანი ციკლი. ქვეყანაში გამეფებულია აზრი, რომ ბოლო ათწლეულის განმავლობაში საქართველოში დატრიალებულ ყველა უბედურებაში დამნაშავე მხოლოდ შევარდნაძე და მისი გარემოცვაა. მათ ჩამოაყალიბეს გახრწნილი, კორუმპირებული სისტემა, დანერგეს კანონებისადმი ნიჰილიზმი და ა. შ. დღეს აღარავის სურს, გაიხსენოს განცხადებები: "ვაცალოთ შევარდნაძეს, მას მსოფლიო იცნობს!", "მისი მეგობრები არიან ბუში და ბეიკერი!", "იგი მსოფლიო მნიშვნელობის პოლიტიკოსია!", "მან დაანგრია ბერლინის კედელი!", "მის გამო მიგვიღეს გაეროში!" და ა. შ. პრესაში მთელი სერიოზულობით იწერებოდა, რომ თურმე შევარდნაძე 50-იან წლებში იმიტომ შევიდა კომკავშირში, რომ სსრკ-დან საქართველოს გამოყოფა ჰქონდა განზრახული, რომ სწორედ ამ მიზნის მისაღწევად გამართლებული კი არა, აუცილებელიც (!) კი იყო მისი ცნობილი გამოსვლა სკკპ XXV ყრილობაზე - "საქართველოში მზე ჩრდილოეთიდან ამოდის". დღეს ეს გამონათქვამები პირფერობად და უზნეობად გვეჩვენება, მაგრამ ნუ დაგვავიწყდება, რომ სულ ცოტა ხნის წინ ამას ვისმენდით ტელევიზორების ეკრანებიდან, ვკითხულობდით გაზეთების ფურცლებიდან და ამ პანეგირიკის ავტორები ჩვენი თანამემამულეები იყვნენ. ქართული საზოგადოებისათვის აბსოლუტურად მისაღები აღმოჩნდა შევარდნაძის მიერ შემოთავაზებული უზნეო ფორმულა - "მაშინ ასე იყო საჭირო." ამით ჩვენი ობივატელი ამართლებდა არა მარტო შევარდნაძის პოლიტიკურ წარსულს, არამედ საკუთარ კონფორმიზმსა და საბჭოურ პერიოდში ქართულ საზოგადოებაში გამეფებულ ზნედაცემულ წესებს. საქართველო შეეგუა 90-იანი წლების დასაწყისში ხელისუფლების ოპონენტთა მიტინგების დარბევასა და დახვრეტას, მათი მასობრივი წამების ფაქტებს. იწერებოდა კოლექტიურ წერილები, სადაც ავტორები საქართველოს პარლამენტს მიმართავდნენ და შევარდნაძის ოპოზიციის პარლამენტიდან გაძევებას მოითხოვდნენ (სხვათა შორის, წერილი 1994 წელს პარლამენტის სესიაზე 2003 წლის "ანტიშევარდნაძისტული რევოლუციის" ერთ-ერთმა გმირმა, ელდარ შენგელაიამ წაიკითხა); ლტოლვილთა ჯგუფი, რომელიც 1993 წელს პარლამენტის სესიაზე შემოიყვანეს, ოპოზიციის ჩაქოლვას მოითხოვდა იმიტომ, რომ, თურმე, ოპოზიციონერები ხელს უშლიდნენ შევარდნაძეს ლტოლვილების აფხაზეთში დაბრუნებაში! პარლამენტის სესიაზე მოსულმა ქალბატონმა ლტოლვილი მოსახლეობის სახელით მოითხოვა საქართველოს მხსნელის, შევარდნაძის ოპონენტების დაჭერა და თან საქვეყნოდ განაცხადა, რომ ოპოზიციონერმა დეპუტატმა პაატა თედოშვილმა შვილი მოუკლა (სახელმწიფოს მეთაურის ერთგულების მტკიცებაში გართულ "გულდამწვარ" დედას "შვილის მკვლელის" სახელი და გვარი, თედო პაატაშვილი სწორად აღარ დაამახსოვრდა). შევარდნაძისადმი ბრმა მხარდაჭერის ეს მაგალითები ჩვენი უახლოესი წარსულის ნაწილია, რამაც შევარდნაძის კორუმპირებული რეჟიმის ჩამოყალიბებამდე, მის საბოლოო გახრწნამდე და 2003 წლის რევოლუციამდე მიგვიყვანა. **დარწმუნებული ვარ, რომ იმ ადამიანთა უმრავლესობა, რომელიც ათი წლის წინ შევარდნაძეს გუნდრუკს უკმევდა, 2003 წლის შემოდგომაზე პრეზიდენტს დიდ პოლიტიკოსს კი არა, მატყუარას, ქვეყნის მტერსა თუ საქართველოს დამაქცევარს ეძახდა და მის გადადგომას მოითხოვდა.**

შევეშვათ წარსულს და დავფიქრდეთ, კი მაგრამ, რით განსხვავდება სექტემბრის საპარლამენტო სესიაზე გამართული პოლიტიკური დებატების დროს საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერების გამოსვლები შევარდნაძის მაშინდელ მხარდამჭერთა მოქმედებისაგან? **ის, რაც ოპოზიციის მოსაწონი თუ არმოსაწონი პოლიტიკური არგუმენტების საპასუხოდ ბატონმა ბესო ჯუღელმა და განსაკუთრებით კი, "ნაციონალების" გენერალურმა მდივანმა, ბატონმა არველაძემ იკადრეს, იყო სამარცხვინო ფურცელი ქართული პარლამენტარიზმის ისტორიაში. უკაცრავად ბატონებო, მაგრამ ასეთი საქციელისათვის სკოლის ასაკში სცემენ, თქვენი ასაკის ხალხს კი ხელს აღარ ართმევენ! სავალალოა ის ფაქტი, რომ პრეზიდენტმა და საპარლამენტო უმრავლესობის არც ერთმა წარმომადგენელმა არც მორალური და არც პრაგმატული მოსაზრებით, საჭიროდ არ ჩათვალა, პროტესტი გამოეხატა არველაძის მიერ მათი სახელითაც გაკეთებული უმსგავსო განცხადებების გამო. როგორც ჩანს, PR-ზე გადამკვდარი ხელისუფლება ფიქრობს, რომ მსგავსი უზნეობა (ისევე, როგორც მინისტრების საჯარო ბილწსიტყვაობა) ჩვენი ხალხისათვის მოსაწონია(!) და საზოგადოებრივი აზრი მათ მხარეზეა. თუ სააკაშვილსა და მის გუნდს ქართულ საზოგადოებაზე მართლა ასეთი წარმოდგენა აქვთ, ისინი ძალიან საშიში ილუზიების ტყვეობაში ყოფილან!**

> *განსაკუთრებით მინდა ხაზი გავუსვა იმ ფაქტს, რომ ხელისუფლებას არაერთი საჯარო დაპირების მიუხედავად, 28 მარტის საპარლამენტო არჩევნების დროს ქვემო ქართლში დაფიქსირებული მასობრივი გაყალბებების გამო არც ერთი თანამდეობის პირის პასუხისმგებლობის საკითხი არ დაუყენებია.*

საერთოდ, ხალხის დიდი მხარდაჭერა გამარჯვებულ პოლიტიკოსებში ადვილად წარმოშობს თვითკმაყოფილებას, განდიდების მანიას, საკუთარი უშეცდომობის ილუზიას, ხელისუფლებაში მუდმივად ყოფნის მოთხოვნილებას, შესაბამისად კი, საკუთარი უფლებების ბოროტად გამოყენების ცდუნებას. **სწორედ ამიტომაც, "მიშა, მიშა"-ს ძახილი და სიტყვები - "აცალეთ მიშას და ის მიხედავს ჩვენ პრობლემებს" - ძალზე სახიფათოა როგორც თავად ამ სკანდირების ადრესატისთვის, აგრეთვე საზოგადოებისათვისაც, რომელიც ისევე შორდება ნორმალურ ქართულ სახელმწიფოს, როგორც ათი წლის წინ ედუარდ შევარდნაძის მიმართ მსგავსი სიტყვების წარმოთქმისას შორდებოდა.**

> *ქართველებს სიტყვით ევროკავშირში გვინდა, მაგრამ საქმით, სამწუხაროდ, არც მაინცდამაინც ევროპელობისა გვცხია რამე და არც ბელადომანიის სინდრომიდან გათავისუფლებას ვაპირებთ.*

## ევროპული არჩევანი, თუ დაუმთავრებელი რევოლუცია და ბელადომანია?

იქნებ ღირს დაფიქრება იმაზე, თუ რატომ მიაღწიეს ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებს შორის ყველაზე დიდ პროგრესს ბალტიისპირეთის რესპუბლიკებმა? ამ ქვეყნებში ძლიერი, დემოკრატიული სახელმწიფოს შექმნის ამოცანა ერთ ლიდერზე არასდროს გადაუბარებიათ და სხვა დანარჩენი თორმეტი რესპუბლიკისგან განსხვავებით, თავიდანვე უარი განაცხადეს ნებისმიერი მოტივით თავიანთი პოპულარული ლიდერების (ლანდსბერგისი, რუიტელი და გარბუნოვსი) გაზრდილი უფლებამოსილებით აღჭურვაზე. **ნებისმიერი პოპულარობისა და რანგის პოლიტიკოსმა კარგად იცოდა, რომ მათ ერთ, თუნდაც მორალურად გაუმართლებელ ნაბიჯს, საზოგადოების დაუყოვნებელი რეაქცია და სასჯელი მოჰყვებოდა.** 1991 წელს პოპულარობის ზენიტში მყოფი ლიტვის პირველი პრემიერ-მინისტრი კაზიმირა პრუნსკენე გადააყენეს და საჯარო პოლიტიკას ჩამოაშორეს იმის გამო, რომ მან დამალა თავისი წარსული სამეცნიერო საქმიანობის დროს სსრკ-ს უშიშროების სტრუქტურებთან არა თანამშრომლობის, არამედ ერთ-ერთი კონფერენციის წინ ამ ორგანიზაციის წარმომადგენელთან საეჭვო შეხვედრის ფაქტი. შეგვიძლია გავიხსენოთ ლიტვის პრეზიდენტის შარშანდელი იმპიჩმენტიც, რომლის საფუძველიც მხოლოდ და მხოლოდ პრეზიდენტის საარჩევნო კამპანიის ფონდის არასაკმარისი გამჭვირვალეობა და მისი ერთ-ერთი დამფინანსებლის, ლიტვის მოქალაქე რუსი ეროვნების ბიზნესმენის არასაიმედო იმიჯი გახდა! **ბალტიისპირეთის ქვეყნების წარმატების უმთავრესი მიზეზი სწორედ ის არის, რომ საზოგადოება ხელისუფლებას "არ აცლის" და არასდროს აძლევს კანონის უგულვებელყოფის თუ დანაშაულებების ჩადენის უფლებას. შედეგად, ეს ქვეყნები უკვე ევროკავშირის წევრები არიან, იქ მცხოვრები რუსები ამ ქვეყნების მოქალაქეობას იხვეწებიან, ჩვენ კი აფხაზებსა და ოსებს უკან დაბრუნებას ვთხოვთ. ქართველებს სიტყვით ევროკავშირში გვინდა, მაგრამ საქმით, სამწუხაროდ, არც მაინცდამაინც ევროპელობისა გვცხია რამე და არც ბელადომანიის სინდრომიდან გათავისუფლებას ვაპირებთ.**

მე არ მივეკუთვნები იმ ადამიანთა რიცხვს, რომლებიც საქართველოს შექმნილ რეალობას მხოლოდ მუქ ფერებში ხედავენ. თუ ამ ხელისუფლებამაც ისეთივე კატასტროფული მარცხი განიცადა, როგორც წინა ორმა, ჩვენი სახელმწიფო უმძიმესი პრობლემების წინაშე აღმოჩნდება. სწორედ ამიტომ, დღეს, როცა ჩვენი ქვეყანა კიდევ ერთხელ გაივსო პრეზიდენტის მეხოტბეებით, აუცილებლად მიმაჩნია, ყურადღება გავამახვილო იმ პრობლემებსა და ტენდენციებზე, რომელიც დაუმთავრებელ "ვარდების რევოლუციას" თან ახლავს. რა თქმა უნდა, ერთ სტატიაში ყველა პრობლემის განხილვა შეუძლებელია. ცვლილებები საზოგადოებრივი ცხოვრების ძალიან ბევრ ასპექტს, ჩვენს კულტურასა და ტრადიციას შეეხო. **რჩება შთაბეჭდილება, რომ ხელისუფლება ჩქარობს რევოლუციის განგრძობით, ტრადიციული, საუკუნეების მანძილზე ჩამოყალიბებული ფასეულობების ქვეყანაში ახალი, ფსევდოლიბერალური ღირებულებების საზოგადოება შექმნას. ყველას, ვინც კი არ იზიარებს ახალი მთავრობის ადეპტების მიერვე ცუდად ათვისებულ ლიბერალურ პოსტულატებს, ეკეტება ნებისმიერ სფეროში წარმატების მიღწევის საშუალება.** დაუმთავრებელი რევოლუციის სინდრომი ჩვენს ქვეყანაში ყველაფერს ისე მოედო, რომ უკვე ლამის სერიოზულად მიჩნდება შიში - მაგალითად, რევოლუციურ აღტკინებაში ქალაქის მერმა, ბატონმა ჭიაბერაშვილმა, "პლეხანოვის" მიმდებარე ისტორიული უბნებისა და ჩვენი დედაქალაქის ერთ-ერთი სიმბოლოს - სასტუმრო "ივერიის" დანგრევასთან ერთად, თბილისში ოცდათხუთმეტ წელს გადაცილებული ყველა შენობის დანგრევაც არ მოინდომოს. ვინც მსგავს საფრთხეებს ზედმეტი ირონიით უყურებს, გაიხსენოს გასული საუკუნის 20-იან წლებში დედაქალაქში განხორციელებული რევოლუციური ნოვაციები და თბილისის არქიტექტურისა თუ ისტორიისათვის მიყენებული აუნაზღაურებელი ზიანი. ამიტომაც ვფიქრობ, რომ დღეს საზოგადოების მოვალეობა არა მიშასთვის თვალის ცინცინში, არამედ ხელისუფლების ჯანსაღ ოპონირებასა და მათთვის შეცდომების საკმაოდ ხმამაღალ შემოძახებაშია. **გამოცდილება გვიჩვენებს, რომ წაბორძიკებულ ხელისუფლებას ყველა ცოდვას პირველები სწორედ მისი ახლანდელი მეხოტბეები გაახსენებენ და თუ ეს ყველაფერი მაინც ასე მოხდა, ერთ დღეს ჩვენი ხალხი აღმოაჩენს, რომ 2003 წლის ნოემბრის ვარდები ისეთ ეკალ-ბარდებშია გახლართული, რომელსაც უფრო მეტი სისხლი ახლავს, ვიდრე საამო სურნელი, ოღონდაც, ამ შემთხვევაში, დღეს დადუმებულ ქართველთა უმრავლესობას საკუთარი თავის მეტი არავინ გვეყოლება დასადანაშაულებელი.**

აბრეშუმის მუზეუმი



B2

ჩემი გული მუდამ საქართველოშია



B5

ვინ არის სტუმარი და ვინ მასპინძელი?



B7

# გლობალიზაცია, თბილისის მეიდანი და რუსეთის ორმაგი სტანდარტი

*სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია მეორის ინიციატივითა და საქართველოს პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის პატრონაჟით გამართული ორდღიანი საერთაშორისო ფორუმი, სახელწოდებით "გლობალიზაცია და ცივილიზაციათა დიალოგი", დასრულდა. ორი დღის განმავლობაში პოლიტოლოგები, ექსპერტები, სხვადასხვა რელიგიის მაღალი რანგის წარმომადგენლები ისეთ გლობალურ თემებზე ბჭობდნენ, როგორიც არის: ცივილიზაციათა კონფლიქტი, მათ შორის, დიალოგის პერსპექტივები, გლობალიზაცია და მისი საფრთხეები. მართალია, დღის წესრიგში არ იყო შეტანილი შედარებით ლოკალური საკითხები - რუსეთი და სამხრეთ კავკასია, ცივილიზაციათა კონფლიქტის არარსებობა საქართველოში, მაგრამ ამ თემებზე საუბარი "შერატონ მეტეხი პალასში" მაინც გაიმართა. თბილისის დათვალიერების შემდეგ ყველაზე თავშეკავებული პოლიტოლოგები თუ რელიგიური პირებიც კი ერთხმად აღნიშნავდნენ, რომ ის პრობლემები, რომელიც დღეს მთელ მსოფლიოს აწუხებს, საქართველოში თითქმის არ არსებობს.*

თამარ მჭედლიშვილი

ყველა უცხოელ სტუმარზე თბილისის მეიდანი რომ განსაკუთრებულ შთაბეჭდილებას მოახდენდა, თავიდანვე ნათელი იყო. შესაბამისად, ფორუმის ორგანიზატორებმა განსაკუთრებულად იზრუნეს, რომ სტუმრებს კარგად დაეთვალიერებინათ საქართველოს დედაქალაქის ეს ძველი უბანი, სადაც ქართული მართლმადიდებლური ეკლესია, მუსულმანური მეჩეთი, სინაგოგა და სომხური გრეგორიანული ეკლესია ერთმანეთისაგან რამდენიმე ასეული მეტრითაა დაშორებული. ამ ხედის ხილვამ კიდევ ერთხელ დაარწმუნა ფორუმის მონაწილეები, რომ მათი თავყრილობის ადგილი ზუსტად იყო შერჩეული - ჩვენთან საუბარში არაერთი უცხოელი გაოცებით აღნიშნავდა, რომ **"თურმე საქართველოში რელიგიური შემწყნარებლობა და ეთნიკური ტოლერანტობა საუკუნეების წინ ყოფილა დამკვიდრებული, უფრო ზუსტად კი, ცხოვრების სტილად ქცეული. და ეს მაშინ, როდესაც დანარჩენმა მსოფლიომ ამის აუცილებლობა ახლა, ოცდამეერთე საუკუნეში დაინახა."** მოკლედ, სტუმრები საქართველოთი აშკარად აღფრთოვანებულები ჩანდნენ.

"24 საათი" ფორუმის ორ მონაწილეს - პოლონეთის მართლმადიდებლური ეკლესიის დეკანოზს ჰენრიკ პაპროცკის და ბელგიაში გამომავალი ჟურნალის - "ცენტრალური აზია და კავკასიის" მთავარ რედაქტორს მურად ესენოვს გაესაუბრა. თუკი პირველი რესპონდენტი უფრო მეტ ყურადღებას რელიგიათა შორის დიალოგის აუცილებლობაზე ამახვილებდა, ბელგიელ ჟურნალისტთან საუბარი, ძირითადად, საერთაშორისო პოლიტიკას შეეხო.

**ჰენრიკ პაპროცკი: საქართველო ერთადერთი ქვეყანაა, სადაც სხვადასხვა ეროვნებისა და რელიგიის ადამიანებს დიალოგი შეუძლიათ**

**- რამდენად შედეგიანი აღმოჩნდება ეს ორდღიანი ფორუმი, რომლის მონაწილენიც მსოფლიოსათვის უმნიშვნელოვანესი პრობლემის გადაჭრის გზების მოძებნას ცდილობდნენ?**

- რა შედეგს მოიტანს ეს ფორუმი, ალბათ, რამდენიმე თვის შემდეგ გახდება ცნობილი, რადგან საჭიროა მასალების თავმოყრა, გარკვეული დასკვნების გამოტანა.

ამის მიუხედავად, უკვე შემიძლია განვაცხადო: საკმაოდ მნიშვნელოვანია, რომ ამ ფორუმში მონაწილეობას იღებდნენ სხვადასხვა შეხედულებების მქონე ადამიანები, მათ შორის, სხვადასხვა აღმსარებლობისა და ეროვნების წარმომადგენლები. თანაც, ძალზე მნიშვნელოვანია, რომ ასეთი შეხვედრა საქართველოში გაიმართა, რადგან საქართველო ერთადერთი ქვეყანაა, სადაც სხვადასხვა ეროვნებისა და რელიგიის ადამიანებს დიალოგი შეუძლიათ. სხვაგან ასეთ ადგილს ვერ იპოვით. თქვენს ქვეყანას რელიგიური შემწყნარებლობისა და ტოლერანტობის საკმაოდ ძველი ისტორიული ტრადიცია აქვს. თქვენ საკმაოდ მძიმე ისტორია გაქვთ. ვიცი - როდესაც გარეშე მტრები თავს არ გესხმოდნენ, აქ მშვიდობა სუფევდა. მაგრამ თუკი ჩრდილოეთიდან თუ სამხრეთიდან თავს გესხმოდნენ, ქვეყნის შიგნითაც იწყებოდა ბრძოლა. ეს იყო ან ცივილიზაციათა შორის ბრძოლა, ანდა, ერთი სახელმწიფოს მხრიდან კავკასიისა და საქართველოს საკუთარი გავლენის ქვეშ მოქცევის სურვილი. ეს იყო ტრაგედია ყველა იმ ადამიანებისთვის, ვინც ამ ქვეყანაში ცხოვრობდა. ეს გამოცდილება გვაჩვენებს, რომ კაცობრიობის არსებობის პირველი პირობა მშვიდობაა. სიყვარულზე, ურთიერთგაგებაზე დაფუძნებული მშვიდობის გარეშე ვერაფერს გავაკეთებთ.

**- თქვენი აზრით, რა ფუნქცია ენიჭება რელიგიას ცივილიზაციათა შორის დიალოგში?**

- არა მხოლოდ კავკასიაში, არამედ მთელ მსოფლიოში განსაკუთრებულ დატვირთვას იძენს დიალოგი რელიგიათა შორის. მსოფლიო მასშტაბით თუ ვისმჯელებთ, ჩვენ მხოლოდ გზის დასაწყისში ვართ. მაგრამ აქ, კავკასიაში ეს დიალოგი უკვე დიდი ხნის დაწყებულია. ამის მაგალითი თუნდაც მიმდინარე ფორუმია - საქართველოს პატრიარქი შეხვდა კავკასიის მუსულმანთა სულიერ ლიდერს და ეს სრულიად ნორმალური მოვლენაა. ამით იმის თქმა მინდა, რომ აქ თვალნათლივ გამოჩნდა - ეს დიალოგი მიდის. დანარჩენ მსოფლიოში კი იგი მხოლოდ ჩანასახშია. რელიგიათა შორის დიალოგი მხოლოდ საქართველოში არ უნდა მიდიოდეს. იგი უფრო გლობალური უნდა გახდეს, რადგან გლობალიზაცია, გამონაკლისის გარეშე, ყველა რელიგიას ეხება. მეტიც: - ოცდამეერთე საუკუნეში რელიგიათა როლი შეიძლება წამყვანიც კი გახდეს, რადგან რელიგიებმა ამ დიალოგით უნდა შეაღწიონ მსოფლიო კულტურებში, და ცივილიზაციათა დიალოგმა პოზიტიურ შედეგებამდე უნდა მიგვიყვანოს. იმედი მაქვს, რომ ამ ფორუმმა საფუძველი დაუდო ასეთ დიალოგს. და არა მხოლოდ კავკასიის, არამედ მსოფლიო მასშტაბით.

**- არსებობს მოსაზრება, რომ რელიგიური პირები არ უნდა ერეოდნენ პოლიტიკაში. მით უფრო, როცა საკითხები გეოპოლიტიკას ეხება.**

- ასეთი მოსაზრება მართლაც არსებობს. თუმცა, ჩვენ აუცილებლად უნდა ვისაუბროთ ერთმანეთში. ყველა რელიგია ვალდებულია, საერო ცხოვრებაშიც ჩაერიოს, რადგან გლობალიზაცია, ერთი მხრივ, საკმაოდ წარმატებული განვითარების შესაძლებლობას იძლევა, მაგრამ, მეორე მხრივ, იმის საშიშროების განცდას ბადებს, რომ ერები და ცივილიზაციები თვითმყოფადობას დაკარგავენ, რადგან გლობალიზაცია, ჩემი აზრით, მსოფლიო მოწყობის ახალ სისტემას წარმოადგენს, რომელიც კაპიტალიზმს შეცვლის. ისტორიის ასეთ გარდამავალ ეტაპებზე ყოველთვის არსებობდა მომავლის შიში. ასე იყო მაშინაც, როდესაც კაპიტალიზმი მხოლოდ მკვიდრდებოდა.

**- თქვენი აზრით, გლობალიზაციას ალტერნატივა არა აქვს?**

- გლობალიზაცია, ალბათ, გარდაუვალია, მაგრამ იგი ქვეყნების და ერების არათანაბარი განვითარების საშიშროებას ქმნის. უკვე არსებობენ მსოფლიოს პირველი, მეორე, მესამე ქვეყნები. ახლა საუბრობენ მსოფლიოს მეოთხე ქვეყნებზეც კი. თუკი მსოფლიო არათანაბრად განვითარდება, ესეც კონფლიქტების საფრთხეს წარმოქმნის. ასეთი საფრთხის თავიდან ასაცილებლად, რელიგიებმა თავისი როლი და ფუნქცია უნდა შეასრულონ. პირველ რიგში, ჩვენ, სხვადასხვა რელიგიათა წარმომადგენლებმა, ადამიანების გაერთიანებისა და არა მათი გათიშვისათვის უნდა ვიზრუნოთ. ამიტომაც, ჩემი აზრით, ეს ფორუმი, კულტურათა, რელიგიათა, ცივილიზაციათა შორის დიალოგის დასაწყისია.

**- ძალზე ხშირად მოსახლეობას შორის რელიგიურ დაპირისპირებებს პოლიტიკოსები სათავისოდ იყენებენ. მეტიც - კონფლიქტებს ხელოვნურადაც ქმნიან. საიდუმლოს არ წარმოადგენს, რომ ბევრი სექტანტური ორგანიზაცია ამა თუ იმ ქვეყნის სპეცსამსახურების მიერ არის შექმნილი. ამ მხრივ, მხოლოდ რელიგიათა დიალოგი ვერაფერს გახდება, თუკი პოლიტიკა უფრო პატიოსანი არ იქნება**

- სამწუხაროდ ასეა. პოლიტიკოსთა უმრავლესობა, თუნდაც ათეისტები იყვნენ, სიამოვნებით იყენებენ ეთნიკურ თუ რელიგიურ დაპირისპირებებს საკუთარი, ხშირად არაკეთილსინდისიერი მიზნებისათვის. სწორედ ამიტომ იქმნებოდა რელიგიური სექტები. უძველესი მონოთეისტური რელიგიები ერთად უნდა შეებრძოლონ ამ მოვლენას. მხედველობაში მაქვს იუდაიზმი, ქრისტიანობა და მუსულმანობა. სხვა რელიგიებთან დიალოგის დასაწყებად ჩვენ ჯერ არ ვართ მზად. ყველაფრის მიუხედავად, მაინც მგონია, რომ ადამიანები უკანასკნელი წლების განმავლობაში სულ უფრო მეტად ერკვევიან მიმდინარე მოვლენებში. თუკი ცოტა ხნის წინ რიგითი მოქალაქეები უფრო ენდობოდნენ პოლიტიკოსებს, ახლა ჩვენ მათი ნებისმიერი ნაბიჯის ლოგიკურ ახსნას ვცდილობთ. ადამიანებმა გააცნობიერეს, რომ პოლიტიკა ყოველთვის არასაიმედოა. მე ეს საქართველოშიც დავინახე. ამ ქვეყნის მოქალაქეებს სურთ გაერკვნენ, ვისი ხელი ურევია ამა თუ იმ ეთნიკურ თუ რელიგიურ დაპირისპირებაში. ეს კარგია, რადგან კაცობრიობა ნელ-ნელა მწიფდება იმისათვის, რომ გააცნობიეროს, ვის და რატომ სურს დაპირისპირება სხვადასხვა ეთნიკურ და რელიგიურ ჯგუფებს შორის.



ბესო გულაშვილის ფოტო

*ორი დღის განმავლობაში პოლიტოლოგები, ექსპერტები, სხვადასხვა რელიგიის მაღალი რანგის წარმომადგენლები ისეთ გლობალურ თემებზე ბჭობდნენ, როგორიც არის: ცივილიზაციათა კონფლიქტი, მათ შორის, დიალოგის პერსპექტივები, გლობალიზაცია და მისი საფრთხეები.*

**მურად ესენოვი: რუსეთი ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის მცდელობისთვის გებრძვით. ეს ორმაგი სტანდარტია**

**- თქვენ იმ ჟურნალის მთავარი რედაქტორი ხართ, რომელიც პოსტსაბჭოთა სივრცის რეგიონებში მიმდინარე მოვლენებს აშუქებს. როგორ შეაფასებთ საქართველოში მიმდინარე მოვლენებს და რუსეთ-საქართველოს ურთიერთობებს?**

- საქართველო საკუთარი სახელმწიფოებრიობის ჩამოყალიბების გზაზეა. როდესაც ქვეყანა ამ გზას ადგას, პრობლემების გარეშე ვერც ერთი საკითხი ვერ გვარდება. ამიტომაც მიმაჩნია, რომ იმის დრამატიზება, რაც საქართველოში და მის ფარგლებს გარეთ ხდება, არ ღირს. ეს ბუნებრივი პროცესია ისეთი სახელმწიფოსათვის, როგორიც საქართველოა. თბილისში უკვე სამი დღეა, ვიმყოფები და აშკარად ვხედავ, რომ ქალაქში საკმაოდ მშვიდი და სტაბილური ვითარებაა. ამას არ ველოდი, რადგან, როდესაც დასავლეთში საქართველოზე საუბრობენ, ყოველთვის ეთნოკონფლიქტების, ადამიანთა გატაცებების, კორუფციის, კრიმინალის ასოციაცია ჩნდება. როგორც ჩანს, საკმაოდ დიდი როლი ასეთი სტერეოტიპის დამკვიდრებაში იმ ჟურნალისტებს მიუძღვით, რომლებიც საქართველოს თემატიკაზე მუშაობენ. საქართველო საკმაოდ სტაბილური და მშვიდი ქვეყანაა. სიამოვნებით ვეცნობი ქალაქს, ვსეირნობ მის ქუჩებში და მოხიბლული ვარ ადამიანებითა და ქალაქის სილამაზით.

**- საქართველოს უამრავი პრობლემა აქვს. მთავარი, ალბათ, ჩვენი ჩრდილოელი მეზობელია, რომელსაც ლომის წილი მიუძღვის ქვეყნის ტერიტორიულ რღვევაში...**

- საქართველოს ახლა ახალგაზრდა ხელისუფლება ჰყავს. არა მხოლოდ ადგილობრივი მოსახლეობა, არამედ მთელი მსოფლიო იმედოვნებს, რომ საქართველოში ყველაფერი აღმასვლით წავა. რაც შეეხება ეთნიკურ კონფლიქტებს. ეს არის იმ ცვლილებათა შედეგი, რომელიც მთელ მსოფლიოში მიდის. ეს ცვლილებები საბჭოთა კავშირისა და იუგოსლავიის დაშლის შემდეგ დაიწყო. მან იმდენად შეცვალა მსოფლიო წესრიგი, რომ დღემდე გვიჭირს იმაში გარკვევა, თუ რა მოხდა სინამდვილეში. კავკასიაში მიმდინარე კონფლიქტები მსოფლიო სისტემის რღვევის პირდაპირი შედეგია. ასეთი ცვლილებები უკვალოდ არ ქრება. თუმცა მიმაჩნია, რომ ეს კონფლიქტები მალე დამთავრდება. სტრესი, რომელიც მას თან ახლავს, მთელ ერზე მოქმედებს. მიმაჩნია, რომ დაპირისპირებული მხარეები გამოსავალს მოძებნიან.

**- თქვენ არაფერს ამბობთ რუსეთის როლზე ამ ეთნიკურ კონფლიქტებში.**

- რაც შეეხება ქართულ-რუსულ ურთიერთობებს. აბსოლუტურად დარწმუნებული ვიყავი, რომ ახალი ხელისუფლების მოსვლის შემდეგ ამ კუთხით რაღაც შეიცვლებოდა. თავიდან ასეც ჩანდა. მაგრამ უცებ რაღაც მოხდა. ამ შემთხვევაში, ორივე მხარეს ვადანაშაულებ - რუსეთსაც და საქართველოსაც. ერთ მაგალითს მოვიყვან. ერთ-ერთმა ქართულმა ტელეარხმა აჩვენა კადრები, სადაც ასლან მასხადოვი ღიად ამბობდა, რომ საქართველოს თავისუფლად შეეძლო, ჩეჩნების იმედი ჰქონოდა, რადგან მათ რუსეთთან ომის უკვე საკმაო გამოცდილება ჰქონდა. ეს პროვოკაციაა. არ ვიცი, ვისი მოწყობილი იყო იგი, მაგრამ ამ ინტერვიუმ კიდევ ერთი უარყოფითი როლი ითამაშა ორი ქვეყნის ურთიერთობებში.

**- მაგრამ ურთიერთობების გაცივება ხომ გაცილებით ადრე დაიწყო. თანაც, ძალზე სიმპტომატურია, რომ ბესლანის მოვლენების შემდგომ რუსი პოლიტიკოსების უმრავლესობამ თითი საქართველოსკენ გამოიშვირა და ტერაქტში ქართულ კვალზე ალაპარაკდა.**

- გეთანხმებით, რომ ურთიერთობების გაცივება მანამდე დაიწყო. თუმცა, მასხადოვი მაინც სეპარატისტების ლიდერია და მისი გამოჩენა პროვოკაცია იყო, რომელიც არ უნდა მომხდარიყო. ამან რუსეთის გენერალიტეტს საქართველოს მისამართით დაუფარავი აგრესიის გამოხატვის საბაბი მისცა. ალბათ, არ არის საჭირო ამ ეტაპზე დიდი მეზობლის გაღიზიანება. წარმოიდგინეთ, რა მოხდება, ლათინური ამერიკის რომელიმე ქვეყანამ ანტიამერიკული კამპანია რომ დაიწყოს. ყველასათვის ცნობილია, რა შედეგები მოჰყვა ასეთ კამპანიებს პანამასა თუ ნიკარაგუაში. საქართველოს ნიკარაგუას არ ვადარებ. მხოლოდ იმის თქმა მინდა, რომ არ არის სასურველი, დიდი მეზობლის წინააღმდეგ მოუფიქრებელი ნაბიჯების გადადგმა. თუმცა, ეს არ ნიშნავს, რომ რუსული მხარე დამნაშავე არ არის. იგი საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის მცდელობისთვის ებრძვის. თავად კი საკუთარ ტერიტორიაზე იგივეს აკეთებს.

**- ანუ საქმე ორმაგ სტანდარტებთან გვაქვს?**

- რა თქმა უნდა, ეს ორმაგი სტანდარტია. რუსეთი ითხოვს საქართველოსაგან ქვეყნის ტერიტორიაზე განლაგებული ჩეჩნური კულტურის ცენტრების დახურვას, ჩეჩნეთის სეპარატისტული რეჟიმის ლიდერებთან ყოველგვარი კონტაქტის გაწყვეტას, მაშინ, როდესაც მოსკოვში აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის წარმომადგენლობებია გახსნილი. მათთვის ღიაა როგორც რუსეთის მმართველი ელიტის კაბინეტების კარები, ასევე რუსული მედიატრიბუნაც. ბუნებრივია, ეს ძალზე მტკივნეულია საქართველოსთვის. ეს ორმაგი სტანდარტები ძალზე აღიზიანებს საქართველოს. მიმაჩნია, რომ ორივე მხარე მოლაპარაკების მაგიდას უნდა მიუჯდეს, რის აუცილებლობაზე არაერთხელ უსაუბრია თქვენს პრეზიდენტს მიხეილ სააკაშვილს.

**- თქვენ არაფერს ამბობთ საქართველოს საგარეო კურსზე. ქვეყანა ორიენტირებულია დასავლეთზე, ევროატლანტიკურ სტრუქტურებში მჭიდრო ინტეგრაციაზე. ეს კი რუსეთს ძალზე აღიზიანებს, რადგან დასავლეთის მხარდაჭერა მის პოზიციებს კავკასიაში სულ უფრო ასუსტებს.**

- მიმაჩნია, რომ საქართველოს კურსი, მართლაც, დასავლეთია, მაგრამ არა მგონია, ეს რუსეთისთვის გამაღიზიანებელი იყოს, რადგან რუსეთი თავად ისწრაფვის დასავლეთისაკენ.

**- თუმცა ევროკავშირის ქვეყნებში რუსეთის სინდრომი აშკარად სახეზეა. თანაც რუსეთის შიგნით მიმდინარე მოვლენები ნამდვილად არ გვაძლევს იმის დასკვნის უფლებას, რომ ეს სუპერდერჟავა დასავლური დემოკრატიისაკენ მიილტვის.**

- გეთანხმებით, თუმცა რუსეთი მაინც ევროპისაკენ იხედება. ეს დასავლეთსაც ესმის. მეორე მხრივ, რუსეთის სურვილი, რომ საქართველო სწორედ მისი "გავლით" გახდეს ერთიანი ევროპული სივრცის წევრი, აშკარად კონტრპროდუქტიულია. თუკი თქვენ, ან შუა აზიის ქვეყნები ევროპასთან ურთიერთობას მოსკოვის გავლით მოისურვებდით, მაშინ, ლოგიკურად, საბჭოთა კავშირის დაშლას აზრი დაეკარგებოდა. სხვა საქმეა, რომ საბჭოთა კავშირის დაშლის ინიციატორები არა კავშირის პერიფერიები, არამედ მოსკოვის გარკვეული წრეები და პოლიტიკური ფიგურები იყვნენ. ახლა სულ უფრო მეტი დოკუმენტი გამომზეურდა, რომელიც ფარდას ხდის ამ მოვლენებს.

**- თქვენ მიხაილ გორბაჩოვს და მის გარემოცვას გულისხმობთ?**

- დიახ, მაგრამ მოდით, ამ თემას ნუ შევეხებით. საბოლოოდ კი, რუსეთის მმართველ წრეებს ვურჩევდი, რომ დამშვიდდეს. თქვენ კი, ჩემი აზრით, თავი უნდა შეიკავოთ ისეთი პროვოკაციებისაგან, როგორიც იყო, თუნდაც, ინტერვიუ ასლან მასხადოვთან. მხოლოდ ასეთ შემთხვევაში შეიძლება ორ მხარეს შორის დიალოგის დაწყება.

**- შესაძლოა, გვერდიდან ისე ჩანდეს, რომ რუსეთი, მართლაც, ორიენტირებულია დასავლურ დემოკრატიაზე. თუმცა, თავად რუსეთის შიგნით აშკარად იზრდება უკმაყოფილება კრემლის მიმართ და ამის საფუძველს თავად პუტინის ადმინისტრაცია იძლევა. ახლა ღიად გაისმის მოსაზრება, რომ რუსეთი ავტორიტარული მმართველობის საფრთხის ქვეშ დგას. ამის დასტურად კი პუტინის მიერ გადადგმულ ერთ-ერთ ბოლო გადაწყვეტილებას ასახელებენ, რომლის თანახმადაც, გუბერნატორები პირდაპირ პრეზიდენტის მიერ ინიშნებიან.**

- გეთანხმებით. მართლაც, იქმნება იმის შთაბეჭდილება, რომ რუსეთი სწრაფი ტემპებით მიდის ცენტრალური მმართველობისაკენ. მეორე მხრივ, ამაში არაფერი ანტიდემოკრატიული არ არის, რადგან ევროპის ბევრ ქვეყანაში გუბერნატორებს ცენტრალური ხელისუფლება ნიშნავს. თუმცა, არის სხვა მაჩვენებლები, რომელიც თქვენ აზრს ამაგრებს. თუნდაც ის, თუ რა ხდება რუსულ მედიასაშუალებებში. ძალზე აშკარად იგრძნობა რუსეთის ხელისუფლების სურვილი, რომ მედიაზე ღია კონტროლი დააწესოს. იმის გამო, რომ რუსეთში დაიხურა ბევრი ტელეარხი, ამ ქვეყნის მოსახლეობამ არც კი იცის, რა ხდება, რეალურად, ჩრდილოეთ კავკასიაში, ჩეჩნეთში.

**- ვინც იცის, მათ ტრიბუნა არ აქვთ...**

- მართალი ბრძანდებით. ამის მიუხედავად, ძალზე რთულია პუტინის ისეთი ნაბიჯების ჩამოთვლა, რომელიც ღიად ეწინააღმდეგება რუსეთის კონსტიტუციას. რადგანაც რუსეთის პრეზიდენტი, ამა თუ იმ გადაწყვეტილების მიღებამდე, ძალზე კარგად სწავლობს კონსტიტუციას. იგივე გუბერნატორებთან დაკავშირებულ ისტორიას თუ გავიხსენებთ. იმის მიუხედავად, რომ დასავლეთმა ღიად გააკრიტიკა იგი ამ გადაწყვეტილების გამო, მაინც ძნელია მტკიცება, რომ იგი რუსეთის კონსტიტუციას ეწინააღმდეგება. მინდა ვიყო ობიექტური და ამიტომ ვამახვილებ ამ გარემოებაზე ყურადღებას.

**- მოდით, იმასაც ნუ დავივიწყებთ, რომ რუსეთის პრეზიდენტს, სახელმწიფო დუმის ხელით, ნებისმიერ წუთს შეუძლია კანსტიტუციის შეცვლა. შესაბამისად, ნებისმიერი გადაწყვეტილება კონსტიტუციური გახდება**

- დიახ, სახელმწიფო დუმაში ორ მესამედს სწორედ ხელისუფლება აკონტროლებს და მათ შეუძლიათ კონსტიტუციაში ნებისმიერი ცვლილების შეტანა, მაგრამ მათ ჯერ ასეთი ცვლილებები არ განუხორციელებიათ.

**- ეს სულაც არ ნიშნავს, რომ ისინი უახლოეს მომავალში ამას არ გააკეთებენ.**

- შესაძლოა, ასეც იყოს. ეს კი თავად რუსეთში გარკვეულ უსიამოვნო პრობლემებს შექმნის და დასავლეთშიც ძალზე უარყოფითი რეაქცია მოჰყვება.

**- სულ უფრო მეტი რუსი ჟურნალისტი, რომელიც კრემლის პოლიტიკას აკრიტიკებს, სამსახურს კარგავს. თუ გამოუთქვამთ თქვენთან თანამშრომლობის სურვილი "ოპოზიციონერ" ჟურნალისტებს?**

- პირდაპირ გეტყვით - ჩვენ ვართ დამოუკიდებელი გამოცემა, რომელიც აშუქებს რამდენიმე რეგიონში მიმდინარე მოვლენებს. ვცდილობთ, დავდგეთ დაპირისპირებებზე ზემოთ. თუმცა, მაინც გულახდილად ვუპასუხებთ თქვენს კითხვას. დიახ, ჩვენს გამოცემაში უკვე იბეჭდება ოპოზიციურად განწყობილი რუსი ჟურნალისტების სტატიები, რომელიც ჩეჩნეთში მიმდინარე მოვლენებს ეხება. ამ ბოლო დროს ჩვენი ჟურნალის საშუალებით საკუთარ პოზიციას გამოხატავენ ექსპერტები და ანალიტიკოსები გროზნოდან. ისინი სულ სხვაგვარად აფასებენ მოვლენებს, ვიდრე ჩეჩნური წარმოშობის ის ექსპერტები, რომლებიც მოსკოვში ცხოვრობენ. ასე რომ, ჩვენ გვყავს ასეთი ავტორები. აქვე ვიტყვი, რომ ამ მხრივ, ჩვენი გამოცემა მათთვის საკმაოდ მოხერხებულია, რადგან არ არსებობს ცენზურა, პუბლიკაციები იბეჭდება ერთდროულად ორ - რუსულ და ინგლისურ ენებზე. ჟურნალის რუსული ვერსია ვრცელდება დსთ-ს აბსოლუტურად ყველა ქვეყნის ტერიტორიაზე, ხოლო ინგლისური ვერსია - 62 ქვეყანაში. ასე რომ, ეს შესანიშნავი საშუალებაა საკუთარი აზრის გამოსახატავად.

**- როდესაც ეხებით ისეთ პრობლემურ რეგიონს, როგორიც კავკასიაა, რთულია ნეიტრალიტეტის დაცვა?**

- მართლაც რთულია, მაგრამ უკვე რვა წელია, რაც გამოცემა არსებობს და ამ ხნის განმავლობაში ჩვენ შევიმუშავეთ ის მექანიზმები, რომლებიც საშუალებას გვაძლევს, ობიექტურობა შევინარჩუნოთ. როცა შუქდება მთიანი ყარაბახის მოვლენები, ჩვენ ორივე დაპირისპირებულ მხარეს ვაძლევთ აზრის გამოთქმის საშუალებას. ორიოდე წლის წინ გამოგვიგზავნეს ინტერვიუ აფხაზეთის სეპარატისტულ ლიდერთან ვლადისლავ არძინბასთან. ჩვენ დაუყოვნებლივ დავუკავშირდით აფხაზეთის ლეგიტიმური უმაღლესი საბჭოს იმდროინდელ თავმჯდომარეს თამაზ ნადარეიშვილს და ორივე მხარეს თანაბარი ფართობი დავუთმეთ.

**რედაქციისაგან: სხვათა შორის, ამ რედაქტორმა "24 საათის" მმართველი რედაქტორის პაატა ვეშაპიძის წერილი, რომელიც ქართულ-აფხაზურ ურთიერთობებს ეძღვნებოდა, დაახლოებით ერთი მესამედით შეამცირა (თუმცა, წერილის მოცულობა ჟურნალის რედაქციის მიერ იყო შეკვეთილი) და ამოიღო სწორედ ის ადგილები, რომლებიც კონფლიქტში რუსეთის ნეგატიურ როლს ასახავდა.**

სვეტი

# გიგის მაგიდა



ზაალ სამადაშვილი

მოცალეობის ჟამს, ჩემმა მეგობარმა გიგი სულაკაურმა გააკეთა მაგიდა - დაბალ ტაბურეტს დააჭედა მოგრძო, კიდეებმომრგვალებული ხის დაფა და ამ დაფაზე ამოკვეთა წარწერები. მე ეს წარწერები ბლოკნოტში გადავიტანე, მივედი შინ, მოვკალათდი სავარძელში და შევეცადე ამეხსნა თითოეული მათგანი...

■ ■ ■

E.A. Poeზია - საუბარი, რა თქმა უნდა, "ედგარ ალან პოეზეა".

Beatles - იმ დროს, როცა ყველა ჯონ ლენონზე, პოლ მაკარტნიზე, ჯორჯ ჰარისონსა და რინგო სტარზე გიჟდებოდა და მათი ნაბაძვით კოჭსაცდენილ ვიწრო შარვლებსა და ლამის ნიკაპამდე შეკრულ პერანგებს ატარებდა, გიგი Rolling Stones-ის Let it Bleed-ს უსმენდა და პერანგსაც მიკ ჯაგერივით ჭიპამდე იღეღავდა.

ვეზდე - სავარაუდოდ გიგის ამხანაგის მეტსახელი. არიან ადამიანები, რომელთა ყოფნას შენს გვერდით მუდამ გრძნობ, ანდა, სადაც არ უნდა აღმოჩნდე, ყველგან გადააწყდები. ალბათ, ამიტომაც შეარქვეს იმ ვილაცას Везде, რაც ქართულად "ყველგან"-ს ნიშნავს.

Paraoz - "ვეზდესი" არ იყოს, ესეც მეტსახელი მგონია. ადრე, ჯერ კიდევ სკოლაში სწავლისას რამდენიმე "პარაოზას" ვიცნობდი. ყველა "პარაოზა" ლიდერი იყო. Паравоз ხომ ქართულად ორთქლმავალს ნიშნავს, ინჟინერ სტეფენსონის მიერ გამოგონებულ მანქანას, რომელსაც, ლიანდაგებზე შემდგარს, რამდენიმე ვაგონის დაძვრა და წაყვანა შეუძლია გარკვეული მიმართულებით.

ბაზბაზი - ძალღ ზანზიბარის მისაფერებელ სახელთაგან ერთ-ერთი. ზანზიბარი მსხვილი, მოკლეფეხება, ჟღალბეწვიანი ხვადია. გიგის მის შესახებ დაწერილი აქვს ნოველა - "ბოლანდიური ნაგაზი".

თბილისი - თბილისი არ არის დიღმის მასივი, გლდანი, მუხიანი, თემქა, სანზონა, კონიაკის დასახლება, ღრმაღელე, ვაზისუბანი, ნუცუბიძის პლატო და ვარკეთილი. თბილისი ერთი პატარა ქალაქია, გაშენებული მთაწმინდისა და მახათას ფერდობებსა და მდინარე მტკვრის ჩაყოლებაზე. მადათოვის კუნძულის გარდა, ამ ქალაქში გამქრალია უბანი სახელად "ზემელი". ზემელი იყო გერმანელი ფარმაცევტი და ვერის საზღვართან ფლობდა აფთიაქს.

London town - შეეძლო ამოეკვეთა უბრალოდ London, მაგრამ ამოკვეთა London town. ეს გიგის სტილია. სტივენსონის პერსონაჟებზე საუბრისას, ის არავითარ შემთხვევაში არ მოიხსენიებს მათ მხოლოდ გვარებით, მაგ.: ჰუჩი, შელტონი, ანდა სილვერი. იტყვის, თანაც გამოთქმით: ბენეტ ჰეჩი, დიკ შელტონი, ჯონ სილვერი.

Сеиран - გიგის მეზობელი სტომატოლოგი, სომეხი, რომელსაც პარიკმახერი რობერტა, ასევე სომეხი ურჩევს ხოლმე, - გაყიდე რა, ეგ ოროთახიანი, მეეშვი რა, ამ საბურთალოს, გადადი ჩემსავით თემქაში, ფულიც დაგრჩება და რამე... სეირანი სტომატოლოგობით თავს ვერ ირჩენს, ბორმანქანით ხან რას ჩარხავს და ხან რას. ამასწინათ კასტანეტები შეუკვეთა ვილაცამ... თემქაში ვინ შეუკვეთავს კასტანეტებს?! ამიტომაც ვერ ეშვება საბურთალოს...

ლაშა - გიგის ძმა, მხატვარი. შემსწრე ვარ ძმების ასეთი დიალოგისა: ლაშა ამბობს, - ქეთი შემხვდა გუშინ, ვერ ვიცანი, როგორ გასუქებულა, საწყალი... გიგი პასუხობს, - ამ რამ ფეხებს... ლაშა სერიოზულად სევდიანდება, - რა გენაღვლება, რა, შენ მეგობარი ხომ არ არის...

Ser - Ser-ი მებუფეტე იყო. უფრო ჩვენებურად და თბილისურად დახლიდარი, გნებავთ, მედუქნე. მუშაობდა "ლოკომოტივის" სტადიონის სასადილოში, რომლის შემინული ვიტრინიდან სამთავრობო ლოჟის მუდამ დახურული კარი და კუს ტბის ხრიოკი ფერდობები მოჩანდა. სამზარეულოში თვითონ ტრიალებდა, თვითონ ამზადებდა კერძებს. თვალების ვიწრო ჭრილით და დაბერილი ქუთუთოებით გორდონ ბენქსს ჰგავდა, ალფ რამსეის ნაკრების მეკარეს. შევიდოდით მის სამფლობელოში და მივესალმებოდით, - გამარჯობა, სერ! მოგვესალმებოდა, - გამარჯობა, ახალგაზრდა სენიორებო! სანამ დავსხდებოდით, გვკითხავდა, - რას ინებებთ? რას შემოგვთავაზებთ? - ავყვებოდით ჩვენ. გვაქვს ოლიმპიური "საერო" და ნეკნები მეკლენბურგიდან. შევუკვეთავდით. ცოტა ხანში გაგვაგონებდა, - პელე, გაუშვი მეორე ლიანდაგზე ნეკნები და "საერო". პელე, სამოცს გადაცილებული, ბრინჯაოსფერი იეზიდი ქალი, თან დამლაგებელი იყო, თან ოფიციანტი...

John Silver - რთული კაცი, ხისფეხიანი ფლიბუსტიერი "განძთა კუნძულიდან". ბავშვობაში მან და მოწიფულობაში ბორხესმა შემაყვარა სტივენსონი. რობერტ ლუის სტივენსონი... - წარმოთქვა ერთხელ გიგიმ და სანამ რამეს მოაყოლებდა ამ სიტყვებს, მზერა ჭერს მიაპყრო მოზღვავებულ აზრებს შორის საუკეთესოს ამოსარჩევად. ეგ რომელი? საბავშვო მწერალი როა?.. - იკითხა ჩვენთან ერთად მყოფმა ლიტერატორმა. ლიტერატორი რომ არ ყოფილიყო, ავუხსნიდით, მაგრამ რაკი ლიტერატორი იყო, აღარ ავუხსენით, რომ მწერლები საბავშვოებად და სადიდოებად არ იყოფიან.

Paris - პარიზი; ქალაქი, რომლის მკვიდრნი მეთვრამეტე და შემდეგ მეცხრამეტე საუკუნეში ფიქრობდნენ ასე: "დღეს პარიზი უმეფოდ, ხვალ - მთელი სამყარო დესპოტების გარეშე". (იხ. ვ. ჰიუგო. "საბრალონი").

Pele - არა მხოლოდ ედსონ არანტეს დო ნასიმენტო, არამედ აღმატებითი შეფასების უმაღლესი ერთეული გიგის ეპითეტთა სისტემაში.

ზალო - ეს მე ვარ, ზაალ სამადაშვილი და უნდა მოგახსენოთ, რომ დიდ პატივად მივიჩნევ ამ მაგიდაზე ჩემი სახელის ამოკვეთას...

...

რას მივაღწევ ზემოთ ჩამოთვლილი წარწერების ჩემეული განმარტებებით, რა თქმა უნდა, ვერ ვიტყვი. ძალიან კი მინდა, რომ რომელიმე მკითხველმა ჩემი მეგობრის პორტრეტი დაინახოს ამ მოკლე ლექსიკონის დახმარებით...




თბილისის მე-5 საერთაშორისო კინოფესტივალი
5 - 10 ოქტომბერი 2004

კინოთეატრები: „რუსთაველი", „ამირანი", კინოს სახლი, კინომსახიობთა თეატრი

პროგრამაში 80-მდე მხატვრული, დოკუმენტური და მოკლემეტრაჟიანი ფილმი.

კინოფესტივალის ოფიციალური პრიზებია ოქროს და ვერცხლის „პრომეთე".


# აბრეშუმის მუზეუმი

ირინე ქოტორლიშვილი
აბრეშუმის მუზეუმის დირექტორი











მუშტაიდის ბაღის შესასვლელსა და სტადიონ "დინამოს" შორის, გ. ცაბაძის № 6-ში მდებარე ეკლექტური სტილის მე-19 საუკუნის საჩინო ნაგებობა არაერთხელ გამხდარა თანამოქალაქეთა თუ საქართველოს სტუმართა ინტერესის საგანი. ლამაზი შენობით დაინტერესებული ადამიანები თუ არ დაიზარებენ და მის მძიმე, მოჩუქურთმებულ კარს შეაღებენ, ცდუნებას ვერ გაუძლებენ. მარმარილოს მსუბუქი კიბეებით მეორე სართულსაც შეუყვებიან და კმაყოფილებიც დარჩებიან.

მშვენიერი სანახაობით განსაკუთრებით ისინი მოიხიბლებიან, ვის ბავშვობის დროის მოგონებებსაც დღემდე შემორჩენია ბებიას მზრუნველი ხელით მოფენილ თუთის ხასხასა ფოთოლზე მოშარიშურე აბრეშუმის "თეთრი გედები".

ეს აბრეშუმის სამყარო და ის მუზეუმია, ძვირფასი ხისგან დარბაზებშივე აგებულ, მუდმივ ადგილს მორგებული კარადა-ვიტრინების ჰარმონიით და ფერად-ფერადი უნაზესი აბრეშუმის ქსოვილებით შემოსვლისთანავე სულის სიმშვიდეს რომ მოგაპოვებთ. ნიჭიერი მხატვრის ხელით და თემატური თანმიმდევრობით განთავსებული ექსპოზიციები საშუალებას იძლევა, თვალი გაადევნოთ აბრეშუმმხვევიას ნობათის - სამი აბრეშუმის ძაფის ქსოვილად ქცევის პროცესებს. მუზეუმის გულისხმიერ შემოქმედს ბატონ ნიკოლოზ შავროვს არც აბრეშუმის ჭიის ერთადერთი საკვების - თუთის ხის სამყარო გამორჩენია და როგორც "ევროპის ტექსტილის გზების" პრეზიდენტმა, ქალბატონმა ბეატრის შტერკმა ბრძანა, ჩვენი მუზეუმი სწორედ ამ ნიშნით ყოფილა გამორჩეული აბრეშუმის სხვა მუზეუმებისაგან. "აქ ყველაფერია აბრეშუმის შესახებ, თუთის თესლიდან, აბრეშუმის მზა ნაწარმამდე". ქალბატონ ბეატრის შტერკის ინიციატივით აბრეშუმის მუზეუმში, I საერთაშორისო სიმპოზიუმზე მოწვეულმა ექსპერტებმაც ევროპის კულტურული მემკვიდრეობის უნიკალურ ნაწილად აღიქვეს და ევროპის ტექსტილის მუზეუმების და მუდმივი გამოფენების ნუსხაში შეიტანეს, როგორც "საქართველოს აბრეშუმის მუზეუმი".

აბრეშუმის მუზეუმში დღემდე ჩატარებულმა ოთხმა საერთაშორისო სიმპოზიუმმა მსოფლიოს მასშტაბით მრავალრიცხოვანი მხარდამჭერი შეგვძინა. მუზეუმი კი მხარდამჭერებს ყოველთვის საჭიროებს. ხან იმის გამო, რომ დღემდე იმ ვიწრო უწყებრივ დაწესებულებებს ექვემდებარება, რომელთათვის მუზეუმი მეორე თუ მესამე ხარისხოვან ობიექტს წარმოადგენს, ხანაც იმის გამო, რომ არ ილევიან მუზეუმის შენობის მისაკუთრების მსურველნი. მათთვის დიდს არაფერს წარმოადგენს აბრეშუმის მუზეუმი, რომელიც 1887 წელს დაარსდა და რიგით მესამეა საქართველოში დაარსებულ მუზეუმებს შორის.

კავკასიის მეაბრეშუმეობის კრიზისიდან გამოყვანის მიზნით დასავლეთ ევროპის ქვეყნებში მივლინებულ შავროვს აბრეშუმის მუზეუმის დაარსების იდეა ლიონის აბრეშუმის მუზეუმში დაებადა (1885 წ.). ევროპელმა კოლეგებმა ჩანაფიქრი მოუწონეს და მნიშვნელოვანი შემოწირულობებით დიდი როლიც შეასრულეს თბილისის აბრეშუმის მუზეუმის შექმნაში. პირველმა და შემდგომში გზავნილმა კოლექციებმა საერთაშორისო მნიშვნელობები შესძინა კავკასიური უნიკალური მასალით შევსებულ მუზეუმს და მსოფლიოს 60-მდე ქვეყნის უნიკალური კოლექციების საცავად აქცია.

მუზეუმში მრავლადაა წარმოდგენილი კავკასიის ხალხთა საოჯახო რეწვის ნიმუშები, დაზგები, ხელსაწყოები, მაკეტები, საღებავები, სხვადასხვა წესით ამოხვეული ხამი აბრეშუმის ძაფის შეღებილი თუ შეუღებავი კოლექციები. ჯეჯიმის, დარაიას, ხალიჩების, თავსაკრავების, თავსაბურავების, სამშვენისების, აგრეთვე მანუფაქტურული და ფაბრიკული წარმოების ქართული, ჩინური, გერმანული, ინგლისური და ფრანგული ქსოვილების და მაქმანების კოლექციები. აბრეშუმის პარკის მდიდარი კოლექცია 5 ათასამდე ჯიშით და ვარიაციით. ველური აბრეშუმმხვევიას პეპლების კოლექციები, ფოტოარქივი და სხვა.

მუზეუმთან ერთად კავკასიის სააბრეშუმო ბიბლიოთეკაში შავროვის მიერ იმავე სამეგობრო გზებით თავმოყრილია მეტად უნიკალური გამოცემები მეაბრეშუმეობის, აბრეშუმის წარმოების, საბუნებისმეტყველო მეცნიერებისა და ზოგადსაგანმანათლებლო ლიტერატურის იშვიათი ნიმუშები.

კავკასიის სააბრეშუმო სადგურმა 1930 წლამდე იარსება. მის ტექნიკურ-მატერიალურ ბაზაზე ჯერ ამიერკავკასიის, შემდგომ კი საქართველოს მეაბრეშუმეობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი დაფუძნდა. ქართველმა მეცნიერებმა მუზეუმთან მიმართებაში 60-იან წლებამდე ღირსეულად ატარეს შავროვის მემკვიდრის სახელი. ინსტიტუტში თაობათა ცვლამ შეცვალა შეხედულებები, დაკარგა ტრადიციები, გაუფასურდა ღირებულებები, რამაც კინაღამ შეიწირა შავროვის მიერ სასოებით შექმნილი მუზეუმი და მისი რელიქვიური შენობა. სახურავდაზიანებულ შენობაში არავის უზრუნია მუზეუმზე. შეკეთების მოლიდინში მუზეუმის კარი ყველასათვის გამოიკეტა. ლოდინი დაწვიმებულ მუზეუმში ორ ათეულ წლამდე გაგრძელდა... მუზეუმი თანდათან კარგავდა სახეს... მეცნიერებმა ადვილი გამოსავალი იპოვეს. მძიმე ავარიული შენობა "გადაბაზირების" სახელით ჯერ მიატოვეს (1975 წ.), შემდეგ კი მეზობელ სპორტკომიტეტ "დინამოს" გადასცეს ბალანსზე (1986 წ.). ახალმა პატრონმა შენობის გათავისუფლება მოითხოვა. შენობაში გაჯის ნაშალისგან სახედაკარგული მუზეუმის მეტი არაფერი იყო. მეაბრეშუმეობის ინსტიტუტში ლაბორანტთა შორის დაიწყო ძებნა "მუზეუმის პასუხისმგებელი პირის" შეთავსებით გაფორმების მსურველისა. დიდხანს არავინ ჩანდა... ბოლოს გამოჩნდა მსურველი - არა ლაბორანტი, არამედ უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი, სოფლის მეურნეობის მეცნიერების კანდიდატი (ამ სტრიქონების ავტორი), 50-იან წლებში მუზეუმის გამგის თხოვნით ქართული ჯგუფების გიდის მოვალეობის შემსრულებელი... ახლად დანიშნულმა მუზეუმის პასუხისმგებელმა პირმა შეამჩნია, რომ მუზეუმის გადარჩენა ჯერ კიდევ შეიძლებოდა. იგი თავის აზრს უზიარებს მუზეუმის პატრონებს - სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის რექტორს და იმჟამად ე.წ. მეაბრეშუმეობის ფაკულტეტის დეკანს. არავითარი რეაქცია. პასუხისმგებელი პირი მოითხოვს მათგან აქტიურ მოქმედებას - ისინი მუზეუმის დარბაზების გათავისუფლების განკარგულებას იძლევიან. იმ იმედით, რომ დოკუმენტი არ შეიქმნება, პ/პ ითხოვს წერილობით განკარგულებას. განკარგულება იწერება. პ/პ ჯიუტობს, "მავნებლურს" უწოდებს განკარგულებას და არ ასრულებს დავალებას... ფაკულტეტის დეკანი სტუდენტებთან და რამდენიმე მეცნიერთან ერთად იწყებს მუზეუმის რბევას. ისედაც შელახული კოლექციები 1980 წელს გამოთავისუფლებულ ბიბლიოთეკის დარბაზში უწესრიგოდ იყრება. ისმის ჩურჩული - ჩამოწერის ოქმი უკვე მზად არისო. "პასუხისმგებელი პირი" მეცნიერთა შორის ვერ პოულობს თანამოაზრეს და იწყებს ძებნას დედაქალაქის ინტელიგენციაში. ისინი საკმაოდ ბევრნი აღმოჩნდნენ. მაშინდელი რუსთაველის საზოგადოებიდან (ბატონები იოსებ ცისკარიშვილი, არჩილ გოგელია, ქალბატონი ლია ანდღულაძე), ივანე ჯავახიშვილის წმინდა ტაძრიდან (პარმენ მარგველაშვილი, ფიქრია ჩიხრაძე, ლევან ალექსიძე, ნოდარ ამაღლობელი, ზურაბ ჟვანია, ვახტანგ გოგუაძე, პედაგოგ-მასწავლებლები და სტუდენტები), ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტიდან ახალგაზრდა მეცნიერები გიორგი ლეჟავა და ნინო ყიფშიძე.

1988 წლის 29 დეკემბერს უნივერსიტეტის სააქტო დარბაზში შეკრებილმა დედაქალაქის ინტელექტუალურმა ელიტამ მიიღო გადაწყვეტილება მუზეუმის და ბიბლიოთეკის ინსტიტუტისათვის ჩამორთმევისა და შენობის მუზეუმისთვის დაბრუნების შესახებ. მათ მზრუნველ პატრონად მუზეუმის პასუხისმგებელი პირის რჩევით საქართველოს მეაბრეშუმეობის სამმართველოს უფროსი ბატონი გივი ყიფიანი დასახელდა. ფორუმის გადაწყვეტილებამ მინისტრთა საბჭოს 1989 წლის 8 თებერვლის №71 დადგენილებით კანონის ძალა შეიძინა.

ყიფიანმა რეგიონების მეაბრეშუმე სპეციალისტთა დახმარებით მუზეუმს პირველქმნილი სახე დაუბრუნა და უნაკლოდ აღადგინა იგი. ფაკულტეტზე გადატანილი ბიბლიოთეკა 1960 წლამდე გამოცემული ლიტერატურის და მათი თაროების გარეშე (?!) ცოტა მოგვიანებით, ორ საფეხურად დაუბრუნდა მშობლიურ კედლებს.

მუზეუმმა 1990 წლის ოქტომბერში პირველი სტუმრები, აშშ-ს ჯორჯიას შტატის ქალაქ ატლანტას მოქალაქეები, მარგარეტ და ტომას გიბსონები მიიღო.

1994 წლის ნოემბერში პორტუგალიაში გამართულ "ევროპის ტექსტილის გზების" მორიგ სიმპოზიუმზე ხელოვნებათმცოდნე, ქალბატონ ნინო ყიფშიძის მიერ სლაიდების თანხლებით გაკეთებულმა მოხსენებამ ევროპელ ექსპერტებზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. 1995 წლის გაზაფხულზე "ევროპის ტექსტილის გზების" პრეზიდენტი, ჟურნალ ETN-ის რედაქტორთან ერთად, პირადად ეწვია მუზეუმს გასაცნობად. მათი სახით დიდი გულშემატკივრები გამოუჩნდნენ მუზეუმს. მიუხედავად მათი და ჩვენი მცდელობისა, რიგით მეოთხე სიმპოზიუმზე ნათელი გახდა, რომ მუზეუმს კიდევ არა აქვს სტატუსი და არ ირიცხება საქართველოს მუზეუმების ნუსხაში. აქვე დაიწყო ხელმოწერები მთავრობისადმი საშუამდგომლო დეკლარაციაზე, რაც ევროპასა და ამერიკაში კვლავაც გრძელდება. დღეისათვის ევროპიდან მიღებულია 135 ხელმოწერა, ამერიკიდან - 347.

მუზეუმს სტატუსის უქონლობა დიდი პრობლემების წინაშე აყენებს, ძირითადად თავისი შენობის გამო. ერთხანს ყველაზე მეტად შენობის ძველი პატრონი, აგრარული უნივერსიტეტის მეაბრეშუმეობის ინსტიტუტი აქტიურობდა. მინისტრთა კაბინეტის შეცდომაში შეყვანით შეიქმნა კიდეც ო. ფაცაციას მიერ ხელმოწერილი 1994 წლის 31 ოქტომბრის №768 დადგენილება - "საქართველოს აგრარული უნივერსიტეტისათვის ქ. თბილისში ცაბაძის ქ. № 6-ში მდებარე ადმინისტრაციული კორპუსის დაბრუნების შესახებ". მუზეუმიდან წარდგენილი დოკუმენტების წყალობით დადგენილება ძალაში ვერ შევიდა. თუმცა, სხვა "მეგობრების" დახმარებით მაინც მოიპოვეს შენობაში განთავსების უფლება. ეს ის ფართია, რომლის უქონლობის გამო მუზეუმმა უარი თქვა ისეთ საპატიო შეთავაზებაზე, როგორიც ჩინეთის აბრეშუმის ნაციონალური მუზეუმის გამოფენაა.

მუზეუმი ამჟამად სოფლის მეურნეობის სამინისტროს საქვეუწყებო მუზეუმ-ბიბლიოთეკის და მათი შენობის ბაზაზე 1998 წელს დაფუძნებულ მეაბრეშუმეობის საკოორდინაციო ცენტრ "აბრეშუმის სახლის" დაქვემდებარებაშია.

მუზეუმის პრობლემებით დაინტერესებულ პირებს და ორგანიზაციებს, შეუძლიათ დაუკავშირდნენ საინიციატივო ჯგუფს შემდეგ მისამართზე: თბილისი. გ. ცაბაძის ქ. N6.
ტელ.: 34 78 50,
ელ.ფოსტა: iantidze@yahoo.com,
ვებ-მისამართი: http:\\www.opentext.org.ge/textile

# ლიფტში გაჭედილი კაცის ამბავი...

ნია ნუცუბიძე

თეატრმა "ვერიკომ" თავისი მეთვრამეტე სეზონი პრემიერით გახსნა.

ოდესმე თუ გაჭედილხართ ლიფტში, თანაც სრულიად მარტო? ცხოვრებაში ერთხელ მაინც თუ შეგმთხვევიათ მსგავსი რამ, წარმოიდგინეთ და გაიხსენეთ, რა გრძნობებს და ფიქრებს მისცემიხართ ასეთ მომენტში, მითუმეტეს, თუ კლაუსტროფობიით ხართ შეპყრობილი.

სწორედ მსგავს სიტუაციას ეხება თეატრ "ვერიკოში" რეჟისორ გიორგი სიხარულიძის მიერ ოთარ პერტახიას პიესის მიხედვით დადგმული მონოსპექტაკლი, - "ლიფტში", რომელსაც თამამად შეიძლება ითქვას, შესანიშნავად ასრულებს მსახიობი მალხაზ აბულაძე.

მე მოგიყვებით ლიფტში გაჭედილი კაცის ამბავს, რომელიც კულტურის დეპარტამენტის ერთ-ერთი ჩინოვნიკია, საოცრად ეშინია ლიფტის და დახურული სივრცის. ბედად თუ საუბედუროდ, ცოლის დაბადების დღისთვის ნაყიდი სიურპრიზი-საჩუქრით მე-13 სართულზე გაიჭედება... ამგვარად იწყებს მონოლოგს მსახიობი მალხაზ აბულაძე.

თითქმის ყველა ადამიანის, მით უმეტეს, გვარიანად დაკომპლექსებულის და თანაც ჩინოვნიკის ქმედებები, გრძნობები და ემოციები სწორედ ამგვარ კრიტიკულ მომენტებში იჩენს ხოლმე თავს. გაჭირვებული კი, მოგეხსენებათ, ხავსს ეჭიდება და პიესის სასოწარკვეთილი გმირიც ლიფტში არსებულ წარწერებს აკვირდება - "ლიფტი, რომელშიც თქვენ აღმოჩნდით, საფუძვლიანად გაფუჭდა; ნუ მიეცემით პანიკას, შეეცადეთ, გარეთ მყოფებს ხმამაღალი შეძახილით უხმოთ, გისურვებთ წარმატებებს..." სწორედ ამ დამაიმედებელ ინფორმაციას იუწყება წარწერა.

მოკლედ, ლიფტში გაჭედილის ყველა მცდელობა ამაო გამოდგება, ისიც ბედს შეეგუება და ცოლის დაბადების დღისთვის ნაყიდ ძვირფას სასმელს შეექცევა, თან წყევლა-კრულვას უგზავნის იუბილარს. შეზარხოშებული უკვე კარგად გრძნობს თავს, ალკოჰოლი ხომ შესანიშნავი ანტიდეპრესანტია, და წარმოსახვით, საკუთარ სახლში მიმდინარე სადღესასწაულო სუფრას თამადის როლში გაუძღვება.

"ტექნიკური პროგრესის ნაბიჭვარი" - ამ ეპითეტით შემკული ოთხკუთხა, ბინძური ყუთი, მალე პიესის გმირის "მშობლიურ" ადგილად იქცევა. ბავშვობის მოგონებებს, გარდაცვლილ დედას, პირველ სიყვარულს გაიხსენებს და უეცრად, კომპლექსიან ჩინოვნიკში პიროვნება ილვიძებს, ანუ ის დადებითი, რაც მასში აქამდე ღრმად იყო ჩამალული და ცხოვრებისეულ ნიღაბმორგებულს მივიწყებული ჰქონდა.

ბოლოს და ბოლოს, ლიფტის კარი იღება. თანაც, არავინ იცის, გამოდის იქედან პიესის გმირი და ჩვეულ ცხოვრებას უბრუნდება, თუ არა... თქვენ როგორ ფიქრობთ? ამ შეკითხვას სვამს მსახიობი სპექტაკლის ბოლოს.

მთელი წარმოდგენის განმავლობაში მაყურებელი წამითაც არ ამოვარდნილა სანახაობის რიტმიდან, იმდენად რიტმულად, ემოციური დატვირთვით და, ამავე დროს, ხალასი იუმორით მიმდინარეობდა სპექტაკლი.

გიორგი სიხარულიძის კომენტარი კი ასეთია: "ალბათ, ნახეთ, როგორი განწმენდა გაიარა პიესის გმირმა, ეს არის ჩვენი მთავარი სათქმელი. ადამიანში არსებული დადებითი მარცვალი, ბავშვობის ოცნებებია, მთავარი, რასაც შემდეგ ვკარგავთ, მხოლოდ სტრუქტურების მონები ვხდებით და ერთიანად ვიშლებით." აი, ეს არის ამ სპექტაკლის სათქმელი, რაც შესანიშნავად წარმოადგინა მსახიობმა მალხაზ აბულაძემ. ზოგიერთ ჩინოვნიკს კი, ნამდვილად არ აწყენდა ერთი-ორი დღით განმარტოება".

პიესის ავტორი, პროფესიით კინოსცენარისტი, სოხუმელი ოთარ პერტახია კარგად არის ცნობილი თავისი მოთხრობებითა და პიესებით, ხოლო რაც შეეხება მსახიობ მალხაზ აბულაძეს, ის წლების განმავლობაში ბათუმის სახელმწიფო დრამატულ თეატრში მოღვაწეობდა, უახლოეს მომავალში კი, კინომსახიობთა თეატრში იწყებს მუშაობას.

თეატრ "ვერიკოში" კი დრამატურგები - ინგა გარუჩავა და პეტრე ხატიანოვსკი ვერიკო ანჯაფარიძისა და მიხეილ ჭიაურელის მოღვაწეობის ამსახველ პიესაზე მუშაობენ.

# გაიხსნა პარიზის საოპერო სეზონი

დავით გიგინეიშვილი
სპეც. კორ. პარიზი



პარიზის დიდი რენოვაციის გეგმის თანახმად, რომელსაც ბარონი ჰაუსმანი ხელმძღვანელობდა, მსოფლიოს ერთ-ერთი ყველაზე დიდი საოპერო შენობა, პარიზის "გრანდ ოპერა" აგებული იყო ნაპოლეონ III-ს ბრძანებით. 1861 წელს ოპერის შენობისთვის გამოცხადებულ კონკურსში გაიმარჯვა არქიტექტორ ჩარლზ გარნიეს პროექტმა, რომელიც ხასიათდებოდა პომპეზურობითა და იმ დიდებულებით, რაც მეორე იმპერიისთვის იყო დამახასიათებელი. თუმცა, მისი მშენებლობა დიდი ხანი გაგრძელდა და მხოლოდ 1875 წლის იანვარს გაიხსნა. ასეთი დაგვიანება ბევრმა ფაქტორმა განაპირობა, მათ შორის როგორც ფრანკო-პრუსეთის ომმა და პარიზის კომუნამ, ასევე წყლის დიდი რაოდენობით აღმოჩენამ გრუნტის ქვეშ. ყველაფერმა ამან ხელი შეუწყო გასტონ ლერუს გახმაურებული წიგნის "ოპერის მოლანდების" დაწერას, სადაც რეალურ პროტოტიპად პარიზის "გრანდ ოპერა" მოიაზრებოდა. არქიტექტურული სიდიდე და პომპეზურობა ბუნებრივად შეერწყა არა მხოლოდ თეატრის მუსიკალურ ცხოვრებას, არამედ ინტრიგებსა და ჭორებს, რომლებსაც სასურველი ნიადაგი შეექმნა "გრანდ ოპერაში". ვეებერთელა სვეტებიანი დარბაზები და აუარებელი ოთახები მსახიობებისთვის საჭირო მომსახურე პერსონალის დიდ შტატს მოითხოვდა.

ოპერის ისტორია მოიცავს მრავალ ინოვაციებს წარმოდგენების გაფორმებაში: გაზის შუქი სცენაზე და შუქის ეფექტებისათვის ელექტრობის გამოყენება. დამდგმელები ცდილობდნენ სიუჟეტური ხაზის რეალისტურად ასახვას: ვეზუვის ამოფრქვევას და ა.შ... ტრადიციული იყო აგრეთვე მესამე აქტის წინ დიდი საბალეტო სცენები, რათა ზოგიერთ არისტოკრატს დაგვიანებით მოსვლის შემდეგაც მისცემოდა საშუალება დამტკბარიყო ბალეტში მონაწილე ახალგაზრდა ბალერინების მზერით. ეს ყველაფერი გარკვეულ გავლენას ახდენდა მუსიკაზეც. ამიტომაც "გრანდ ოპერისთვის" განსაკუთრებული დადგმები იქმნებოდა – გრანდიოზული და პომპეზური, რაშიდაც დიდი პოტენციალი გამოავლინეს ანტონიო სალიერიმ და ჯაკომო მეიერბერმა. მაგრამ პარიზის ოპერისთვის დაუწერიათ ისეთ კომპოზიტორებს, როგორებიც არიან დონიცეტი, როსინი და ვერდი. 1989 წელს, ბასტილიის ოპერის გახსნის შემდეგ, მთავარმა მუსიკალურმა ცხოვრებამ ახალ შენობაში გადაინაცვლა, თუმცა, იმდროიდან "გარნიეს ოპერაში" (Opera Garnier) იდგმება ოპერები და უმეტესად ბალეტები.

პარიზის ნაციონალური ოპერის კომპანიას 2004-5 წლების სეზონისთვის განზრახული აქვს 19 საოპერო სპექტაკლის დადგმა, რომლიდანაც ხუთი (როსინის "იტალიელი ქალი ალჟირში", ჰენდელის "ჰერკულესი", მონტევერდის "პოპეას მეფედ კურთხევა", მოცარტის "ტიტუსი" და ლეო იანაჩეკის "კატია კაბანოვა") გარნიეს სასახლეში შესრულდება და დანარჩენი კი ბასტილიის ოპერაში. ასევე დაგეგმილია სიმფონიური კონცერტები და ბალეტები. სეზონის გახსნა წილად ერგო გარნიეს სასახლეს როსინის ოპერით "იტალიელი ქალი ალჟირში" (L'Italiana in Algeri). მიუხედავად სექტემბრისათვის საოცრად ცხელი ამინდებისა, პრემიერის დღეს, სპექტაკლის დაწყების წინ ძლიერი წვიმა წამოვიდა. თუმცა, ამას მსმენელთა ნაკადზე არ უმოქმედია. პუბლიკა არაერთგვაროვანი იყო – ახალგაზრდა თაობის წარმომადგენლები საკმაოდ იყვნენ და ჩაცმულობის ეტიკეტიც არ იყო დაცული – გამაოცა ასეთმა "ამერიკულმა" თავისუფლებამ პარიზში. შენობის პომპეზურობა შიგნითაც იგრძნობოდა – ფართოდ მოხატულ ფოიეებს ესადაგებოდა სრული, განიერი დარბაზი. როგორც ჩანს, ამინდმა მაინც შეიტანა გარკვეული კორექტივი და დაგვიანებული მსმენელების გამო, სპექტაკლიც ოდნავ მოგვიანებით დაიწყო.

წარმოდგენის რეჟისურა სავსებით მოიცავდა მოდერნისტულ ტენდენციებს. ეს კომიკური სიუჟეტი უხვად იყო დატვირთული თანამედროვე ელემენტებით: მუსტაფას ფოტოპორტრეტები თანამედროვე არაბული ნავთის მაგნატის ჭრილში, გემის დაღუპვა და ტადეოს გამოჩენა აკვალანგისტის ფორმაში, რომ არაფერი ვთქვათ იზაბელას გარეგნობაზე, რომელიც პარიზის ბულვარებზე მოსეირნე, თავმომწონე ქალბატონს უფრო ესადაგებოდა. პაროდია ყველაფერში იგრძნობოდა, როგორც სიუჟეტში, ასევე თავად გმირებშიც. მიუხედავად სოლო არიებისა და დუეტებისა, მოქმედება დატვირთული იყო მოძრავი უკანა ფონით – ეს ან მუსტაფას სწრაფი და ფართემხრიანი ამალა (50-ანი წლების ამერიკული განგსტერების ტანსაცმელში) იყო, ან ულტრამოდერნისტული ავეჯის ფონზე მოცეკვავე ქალბატონები მუსტაფას ჰარემიდან. მეტიც, მუსტაფას მეუღლე ელვირა, მიღებული "თავისუფლების" შემდეგ გადამეტებულად გამოპრანჭული, გასული საუკუნის 70-ანი წლების იტალიური სალონის მკვიდრის შესაბამისად გამოიყურებოდა. ამგვარი რეჟისორული გადაწყვეტა ახლოს იყო ჩვენ მიერ უკვე ნახსენები ჰენდელის "ქსერქსესთან" (გაზეთის 3 აგვისტოს (N182) პუბლიკაცია), თუმცა, გარკვეულად



ელვირა, იზაბელა, ტადეო, მუსტაფა და ლინდორო.

აჭარბებდა მას და ვინც კარგად არ იცოდა პარტიტურა, შესაძლოა, მხოლოდ ანდრეი სერბანის რეჟისორულ ტრიუკებს გაეტაცებინა.

ოპერის სიუჟეტი მარტივია: ცოლით (ელვირა) გულგატეხილი ალჟირის ბეი მუსტაფა გადაწყვეტს განშორდეს მას. ამისათვის მოიფიქრებს, რომ ცოლი ჯილდოს სახით გაატანოს მონობაში მყოფ იტალიელ ლინდოროს, რომელიც ბეისათვის ქვიდან გამოკვეთავს უცნობი ქალბატონის ფიგურას. ლინდორო ბეის ასეთი საჩუქრით ერთგვარად დაბნეულია, რადგან იგი ჯერ კიდევ ინახავს განშორებული სატრფოს სიყვარულს.

მორიგი პირატული თავდასხმის დროს, ალჟირელი მეკობრეები ხელთ ჩაიგდებენ იტალიელ ქალს იზაბელას და ტადეოს, რომლებიც შეჰფიცავენ ერთმანეთს დაეხმარონ ტყვეობიდან განთავისუფლებაში. ბეი მოიხიბლება იზაბელას სილამაზით, რომელიც აღმოჩნდება, რომ თურმე ლინდოროს სატრფოა. იზაბელა ისარგებლებს ვითარებით და ლინდოროს მოითხოვს თავის მსახურად, რაზედაც ბეი თანხმდება.

მეორე მოქმედება იწყება სასახლის მსახურთა გუნდით – ყველა შეშფოთებულია ბეის ლტოლვით უცნობი იტალიელი ქალის მიმართ. იგი კი სრულად შეპყრობილია ამ გრძნობით. ამ გაურკვეველი მდგომარეობით შეწუხებულია ასევე ბეის ცოლი ელვირა. ლინდორო ერთხანს გაღიზიანებულია იზაბელას კეკლუცობით ბეის მიმართ, მაგრამ შემდგომ საბოლოოდ რწმუნდება თავისი შეყვარებულის ერთგულებაში და ისინი გაქცევას გადაწყვეტენ. მუსტაფა უბოძებს "კაიმაკანის" ტიტულს ტადეოს, რითაც მის გულს მოიგებს. ბეი პატიჟებს იზაბელას, თუმცა იზაბელა, რომელიც მუსტაფამ მიიწვია ყავაზე, ცხადდება მასთან ელვირასთან ერთად უკვე მოფიქრებული გარკვეული გეგმით - მოადუნოს მუსტაფას ყურადღება. ამისათვის იგი აცხადებს, რომ უპრიანია ბეის მიენიჭოს იტალიაში პოპულარული "პაპატაჩი"-ს წოდება, ანუ კაცისა, რომელიც ჭამს, სვამს, სძინავს და ცოტას ლაპარაკობს. ამ იდეით მოხიბლული ბეი, შეუდგება მის განხორციელებას. იზაბელა მიმართავს ტუსაღების პატრიოტული გრძნობების გაღვივებას - არ დაივიწყონ სამშობლო და მოემზადონ დიდი გაქცევისათვის. ტადეო, განაწყენებული იმით, რომ იზაბელამ მოაკლო მას ყურადღება და გადაიტანა ლინდოროზე, ცდილობს ბეის გაღვიძებას, მაგრამ ამაოდ და საბოლოოდ შეუერთდება გაქცეულებს. "პაპატაჩი"-ს წოდებისადმი ერთგული ბეი ვერაფერს ამჩნევს. მარტოდ დარჩენილი, იგი ურიგდება ელვირას.

"იტალიელი ქალი ალჟირში" როსინის პირველი კომიკური ოპერაა, რომელმაც მას დიდი აღიარება მოუტანა (ანჯელო ანელის ლიბრეტო, დაიდგა ვენეციაში 1813 წლის 22 მაისს). ბრწყინვალე არიებითა და დუეტებით წარმოდგენილ ოპერაში უკვე გამოჩნდა როსინის ხელწერა – კვინტეტები და ფინალები, სადაც მკაცრ რითმში ზის ყოველი პერსონაჟი, ამით კონკრეტული გმირი ზუსტად ხასიათდება და კომიზმიც მატულობს, თანაც კომპოზიტორის კალამს არ აკლია ირონია თითოეული გმირის მიმართ. როსინი არნახულ თავისუფლებას აძლევს სასულე ინსტრუმენტებს – ეს ვალტორნის თემაა ლინდოროს პირველ არიაში (Cavatina di Lindoro, No.2 Languir per una bella) და იგი მეორდება იზაბელას პატრიოტული არიის მეორე ნაწილშიც (Rondo di Isabella 'Pensa alla patria). ფლეიტა უკვე უვერტიურიდან იღებს გარკვეულ დომინანტას და ამით იწვევს მთელ ორკესტრს.

აღნიშნულმა სპექტაკლმა საშუალება მომცა ცოცხლად მომესმინა საოპერო სცენის ვარსკვლავები. პირველ რიგში, დიდ ინტერესს იწვევდა იზაბელას პარტიის შემსრულებელი კონტრალტო ვივიკა ჟენო. მან გარკვეული ფურორი მოახდინა თავისი სოლო დისკით, სადაც ფარინელის რეპერტუარი იყო წარმოდგენილი (Harmonia Mundi HMC 901778). ამ ჩანაწერს დირიჟორობდა ბაროკო მუსიკის უბადლო მცოდნე - რენე იაკობსი. დისკმა მთლიანად კარგი რეცენზია დაიმსახურა, ჟენოს ვირტუოზობამ და ტექნიკამ არნახული შთაბეჭდილება მოახდინა მსმენელზე. მაგრამ მის ხმას გარკვეული "დაუვიწყარი" ტემბრალური ელფერი გააჩნია – მშრალი და ოდნავ ხორხისმიერი. შემდეგ ჰენდელის ოპერას "არმინიო"-ს სრულ ჩანაწერში იგი ერთ-ერთი საუკეთესო იყო (Virgin Veritas 5454612). მაგრამ როსინის რეპერტუარში მე მომღერალი არ მომისმენია და ერთგვარად ვეჭვობდი კიდეც, რამდენად დაძლევდა იგი პარტიას. კომიკური ოპერის ცნობილი შემსრულებლები – ალესანდრო კორბელი და სიმონე ალაიმო შესაბამისად გამოცხადებული იყვნენ ტადეოსა და მუსტაფას როლებში. ჩემთვის სრულიად უცნობ ამერიკელ ტენორს – ბრიუს სლეჯს (ლინდოროს პარტიაში) დებიუტი ჰქონდა პარიზის "გრანდ ოპერაში". ასევე დებიუტანტი იყო ჰალის პარტიის შემსრულებელი – ლუჩანო დი პასკუალე.

უვერტიურა – ეს ცოცხალი და სწრაფი მუსიკალური ნაწილი, რომელიც როსინის შედევრების რიცხვს მიეკუთვნება, რატომღაც მძიმედ და მდორედ წარიმართა. ბრუნო კამპანელამ, რომელმაც ასე უნაკლოდ უხელმძღვანელა "მეტროპოლიტენ ოპერის" ორკესტრს ბელინის "მეკობრეში" (2 ნოემბერი 2002 წელი), იმედი გამიცრუა. და შემდგომ, ოპერის მსვლელობაშიც არ გამოკეთდა ორკესტრის შესრულების ხარისხი, იგი რატომღაც იმ საღამოს ნამდვილად გაუნაწყენდა როსინს.

ოპერა იხსნება შესავალით, სადაც მუსტაფა ბეისთან ერთად წარდგებიან მისი მეუღლე ელვირა (**ჟანეტა ფიშერი**) და მოსამსახურე ზულმა (დებიუტანტი **ელენა ჟიდკოვა**). ფიშერი, როგორც ვოკალურად, ასევე არტისტულად სრულიად ესადაგებოდა თავის როლს. მისი ცოცხალი თამაში კომიზმს ჰმატებდა და კარგი კონტრასტი იყო ვივიკა ჟენოს ინდივიდუალურ შესრულებასთან. მაგრამ ჟიდკოვა შებოჭილი გამოიყურებოდა და როგორც ყველა სლავს, დიქციის პრობლემა გააჩნდა.

**ბრიუს სლეჯი**, სიმსუქნისაკენ მიდრეკილი ახალგაზრდა ამერიკელი ტენორი, არცთუ ისე ცუდად გამოიყურებოდა თავის პარტიაში. მხნედ და უშიშრად დასძლია მან ლინდოროს კავატინა ოპერის დასაწყისშივე პირველ აქტში – დიდი, სერიოზული არია მრავალი მაღალი ნოტით. პრაქტიკულად სტაბილურად გამოიყურებოდა იგი მთელი ოპერის განმავლობაში, მაგრამ მეორე აქტის კავატინის (Cavatina di Lindoro, No.9 Oh come il cor di giubilo) ფინალური ნოტი საკმაოდ ხანმოკლედ ეჭირა. მისი ხმა ინგლისური ტიპის როსინისეულ ხმებს განეკუთვნება (ბრიუს ფორდისა და კრის მერიტის მსგავსად, ოღონდ ახალგაზრდული და მეტად სუფთა). მაგრამ სხვა მომღერლებთან განსხვავებით, მას სამხრეთული სიცოცხლე აკლდა და მოუქნელად და ერთობ ზანტად გამოიყურებოდა, რითაც ეჭვს ბადებდა იზაბელას არჩევანის სისწორეში.

**ვივიკა ჟენო** უდავოდ ცენტრალური ფიგურა იყო მთელ ოპერაში და ეს მან დაიმსახურა არა მხოლოდ თავისი ვოკალური მონაცემებით, არამედ დიდი მომხიბვლელობითა და ქალურობით. საშუალო სიმაღლის, კარგი აღნაგობის ვივიკა გამომწვევ ელექტრიკის ფერის კოსტიუმში გიშრისფერი თმებითა და ცოცხალი თვალებით, მართლაც, მიმზიდველი იყო. უშუალო და ამავდროულად ეშმაკური იყო იგი ტადეოსთან დუეტში (Duetto di Isabella e Taddeo, No.5 Ai Capricci della sorte) და შემდგომ უკვე კავატინაში, სადაც ბრწყინვალე მაგალითს უჩვენებს ელვირას, თუ როგორ უნდა გამოხატოს ქალმა გრძნობები თაყვანისმცემლის მიმართ ისე, რომ არ წარმოთქვას მისი სახელი და ამით არ გაანაწყენოს არც ერთი მოტრფიალე (Cavatina di Isabella, No.11 Per lui che adoro), როგორიცაა, მაგალითად, ლინდორო, მუსტაფა და ტადეო. თუმცა ჟენო თავბრუდამხვევი სისწრაფით უმკლავდებოდა როსინისეულ რულადებსა და ფიორიტურებს, მისი მიმზიდველობა ტოლფასი იყო მისი ვოკალური ტექნიკისა. მაგრამ სამართლიონობა ითხოვს აღვნიშნო, რომ იზაბელას როლში მან იმ დღეს მსმენელებში არ დატოვა განსაკუთრებული ვოკალური ინტერპრეტაციის შთაბეჭდილება. ხმის ტემბრი და სიძლიერე სრულად შეესაბამებოდა იმას, რაც კომპაქტ-დისკების მოსმენით შეგექმნებოდათ.

**ალესანდრო კორბელი,** როგორც აღიარებული როსინისეული კომიკოსი, თავისი დაუშრეტელი ტადეოთი ისევ ბრწყინავდა. სასაცილო და დაბნეული ჩანს იგი პირველ აქტში, ტყვეობაში ჩავარდნის მომენტში, ლასტებში და მყვინთავის სხვა ამუნიციაში გამოწყობილი. და შემდეგაც - "კაიმაკანის" წოდების მინიჭებისას. ასევე კომიკურია იგი ოპერის ფინალში, როდესაც მუსტაფას "პაპატაჩით" აბრუებენ და გარბიან. მისი ხმის ტემბრი და მოქნილობა დრომ სრულიად შეუცვლელი დატოვა.

**სიმონე ალაიმო** ოპერის შესავლიდანვე გარკვეულ მოუქნელობის შთაბეჭდილებას ქმნიდა. ვოკალურად მას აკლდა სისწრაფე და როსინის მუსიკისათვის საჭირო სილაღე. ამას გარკვეულად ხელს უწყობდა მისი გმირის ხასიათი. გაღიზიანებული და ახლის ძიებაში მყოფი ბეი ხშირად უხეშობს, რითაც მეტად სულელურად გამოიყურება. ალაიმოს მჭიდრო ხმა და წკრიალა მაღლები კარგად სახავდნენ მისი გმირის ხასიათს.

დებიუტანტი **ლუჩანო დი პასკუალე,** როგორც გარეგნულად, ასევე ვოკალურად მიესადაგა ჰალის პერსონაჟს. სქელი და მაღალი, იგი სწორად წარმოსახავდა ბეის ამალის ნელ, ზანტ და მძიმე ხელმძღვანელს, მან ერთგვარად კიდევაც მომაგონა პოლიციელი ცნობილი ქართული ნახატი ფილმი-სერიალიდან "დარდუბალა".

სპექტაკლმა გარკვეულ კულმინაციას მიაღწია იზაბელას რონდოს დროს – ეს პატრიოტული აღტკინება იტალიელების მიმართ მკაფიო ირონიის გამოვლენად იქცა. და ფრანგულენოვანი დარბაზი არ მალავდა თავის აღფრთოვანებას (თითქმის სპექტაკლის ჩაშლამდე). ირონიითა და კომიზმით სრულად გაჟღენთილი ოპერა ცხადია, იტანს ასეთი წუთების გაშარჟებასაც. ასე რომ, იტალიურ ნაციონალურ დროშებში გამოწყობილი ტუსაღები მხოლოდ სიცილს იწვევდნენ.

სპექტაკლი შედგა, მხურვალე ტაშის შემდეგ მაყურებელი უჩვეულოდ სწრაფად დაიშალა, მეც დავტოვე დარბაზი კარგი განწყობით, რომ დავესწარი როსინისათვის შესაფერის დადგმას, სადაც სასიამოვნო ხმებთან ერთად იუმორი და ირონია სუფევდა.

## ათეულები

### კვირის ბესტსელერები მაღაზია "პარნასის" მიხედვით

| ავტორი | წიგნის სათაური | გამომცემლობა | რეიტინგი |
|---|---|---|---|
| [illegible] | [illegible] | [illegible] | 2.0 |
| [illegible] | [illegible] | [illegible] | 1.6 |
| [illegible] | [illegible] | "ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა" | 1.6 |
| [illegible] | [illegible] | [illegible] | 1.6 |
| კრებული | პენ-მარათონი 2004 | "დიოგენე" | 1.6 |
| [illegible] | [illegible] | [illegible] | 1.6 |
| [illegible] | [illegible] | [illegible] | 1.2 |
| [illegible] | [illegible] | [illegible] | 0.8 |
| [illegible] | [illegible] | [illegible] | 0.8 |
| [illegible] | [illegible] | [illegible] | 0.8 |

### კვირის ცხელი მუსიკალური ათეული ზრდასრულთათვის ჟურნალ "ბილბორდის" მიხედვით

| ჯგუფი | ალბომი | წინა კვირის მაჩვენებელი | ჩარტებში გატარებული კვირები |
|---|---|---|---|
| "გრინ დეი" | American Idiot | 1 | 7 |
| "ლინკინ პარკი" | Breaking The Habit | 2 | 15 |
| [illegible] | So Cold | 4 | 19 |
| "ქილერსი" | Somebody Told Me | 3 | 19 |
| [illegible] | Just Like You | 5 | 24 |
| [illegible] | Vitamin R (Leading Us Along) | 7 | 7 |
| [illegible] | Pain | 12 | 4 |
| [illegible] | Fall To Pieces | 8 | 9 |
| [illegible] | Getting Away With Murder | 11 | 10 |
| [illegible] | Wake Up (Make A Move) | 9 | 15 |



### კვირის ყველაზე შემოსავლიანი ფილმების ათეული ამერიკული კინოთეატრების მონაცემებით

| ფილმი | რეჟისორი | მსახიობი | უიკენდის შემოსავალი $ | საერთო შემოსავალი $ |
|---|---|---|---|---|
| [illegible] | [illegible] | [illegible] | 21,022,111 | 21,022,111 |
| [illegible] | [illegible] | [illegible] | 6,659,035 | 25,517,193 |
| [illegible] | [illegible] | [illegible] | 5,094,867 | 15,416,988 |
| [illegible] | [illegible] | [illegible] | 4,035,512 | 43,463,183 |
| [illegible] | [illegible] | [illegible] | 4,002,067 | 4,002,067 |
| [illegible] | [illegible] | [illegible] | 3,660,608 | 25,071,475 |
| [illegible] | [illegible] | [illegible] | 3,330,781 | 3,330,781 |
| [illegible] | [illegible] | [illegible] | 3,323,570 | 12,120,600 |
| [illegible] | [illegible] | [illegible] | 2,353,689 | 53,483,210 |
| [illegible] | [illegible] | [illegible] | 2,244,628 | 49,231,569 |

ფეხბურთი

# ჟირესი მესამე ბრძოლის წინ

მიხეილ აბაიშვილი

ორი კვირაც და, საქართველოს ეროვნულ ნაკრებს კიდევ ერთი სერიოზული გამოცდის ჩაბარება მოუწევს. 13 ოქტომბერს ლვოვში უკრაინის ნაკრები გვიმასპინძლებს და, რა თქმა უნდა, ლიდერის პოზიციის გამტკიცებას შეეცდება. თუმცა, ასეთ სცენარს, გასაგები მიზეზების გამო, ნამდვილად არ ეთანხმება ალენ ჟირესი, რომელმაც გუშინ უკრაინა-საქართველოს მომავალ მატჩთან დაკავშირებით პირველი პრესკონფერენცია გამართა და გამოძახებულთა შემადგენლობაც დაასახელა, რომელსაც აქვე გთავაზობთ.

მეკარეები: აკაკი დევაძე ("თბილისი"), გიორგი ლომაია ("ხიმკი" რუსეთი), ზვიად სტურუა ("ტორპედო" ქუთაისი); მცველები: ზურაბ ხიზანიშვილი ("გლაზგო რეინჯერსი" შოტლანდია), ოთარ ხიზანეიშვილი ("დინამო" მოსკოვი), კახა მჟავანაძე ("ანჟი" რუსეთი), ლაშა სალუქვაძე ("დინამო" თბილისი), გიორგი შაშიაშვილი ("დინამო" თბილისი), გივი კვარაცხელია ("თბილისი"); ნახევარმცველები: დავით კვირკველია ("დინამო" თბილისი), ლევან კობიაშვილი ("შალკე", გერმანია), ლევან ცქიტიშვილი ("ფრაიბურგი" გერმანია), გოჩა ჯამარაული ("მეტალურგი" უკრაინა), ლადო ბურდული ("ლოკომოტივი" თბილისი), ჯაბა კანკავა ("დინამო" თბილისი), მალხაზ ასათიანი ("ლოკომოტივი" მოსკოვი), ალექსანდრე რეხვიაშვილი ("ვენტსპილსი" ლატვია); თავდამსხმელები: ალექსანდრე იაშვილი ("ფრაიბურგი"), გიორგი დემეტრაძე ("მეტალურგი" უკრაინა), შოთა არველაძე ("გლაზგო რეინჯერსი"), ლაშა ჯაკობია ("მეტალისტი" უკრაინა).

ალენ ჟირესმა პრესკონფერენცია წინა დღის ამბით, უეფას თასის ჯგუფურ ტურნირში "დინამოს" გასვლით დაიწყო.

"ვულოცავ "დინამოს" გამარჯვებას და შემდგომ წარმატებებს ვუსურვებ. დარწმუნებული ვარ, ამ სეზონში ევროპულ სარბიელზე ეს ამ გუნდის ბოლო წარმატება არ იქნება. ეს კარგია როგორც თავად "დინამოსთვის", ისე საქართველოს ნაკრებისთვის, რომლის საბაზო კლუბიც სწორედ ეს გუნდია", - მიულოცა ფრანგმა "დინამოს".

გამოძახებულთა სიის კომენტირებისას ჟირესმა აქცენტი გააკეთა ტრავმირებულ და დისკვალიფიცირებულ ფეხბურთელებზე, რომლებიც დაცვის ხაზს მიეკუთვნებიან.

"სამწუხაროდ, ყვითელი ბარათების გამო უკრაინასთან ვერ ითამაშებს კახა კალაძე. ჯერ არ გარკვეულა ზურა ხიზანიშვილის საკითხიც, რომელსაც გუშინდელ მატჩში ფეხის კუნთი დაუზიანდა. ნახევარი საათის წინ მას ტელეფონით ვესაუბრე. როგორც მითხრა, მატჩის ბოლოს კუნთი ასტკივდა, ხოლო თამაშის შემდეგ, გასახდელში, ტკივილმა უფრო უმატა. მან უკვე ჩაიტარა სამედიცინო გამოკვლევა და ექიმების პასუხი, შეძლებს თუ არა უკრაინის წინააღმდეგ თამაშს, ორ დღეში გახდება ცნობილი. პრობლემები შეიქმნა მეკარეებთან დაკავშირებითაც. ლომაიას და დევაძეს ტრავმა ბოლომდე არ მოუშუშებიათ. მართალია, ორივე მეკარე უკრაინისწინა მოსამზადებელ შეკრებაზე მოვიწვიეთ, მაგრამ თავის დაზღვევის მიზნით ქუთაისის "ტორპედოს" მეკარე ზვიად სტურუაც გამოვიძახეთ", - საკადრო პრობლემებთან დაკავშირებით ასეთი კომენტარი გააკეთა ეროვნული გუნდის დამრიგებელმა.



ალენ ჟირესი: "ჩვენ დასამარცხებლად ნამდვილად არ მივემგზავრებით და ყველაფერს გავაკეთებთ, სულ მცირე, ქულის წამოსაღებად. ვფიქრობ, ამ ამოცანის გადაჭრა ჩემს ფეხბურთელებს შეუძლიათ".

13 ოქტომბრის შესარჩევი მატჩისთვის მზადება ჩვეულ რიტმში წარიმართება, ანუ სრული სერიოზულობით.

"უკრაინასთან თამაშისთვის ისევე მოვემზადებით, როგორც თურქებისა და ალბანელების წინააღმდეგ სათამაშოდ ვემზადებოდით. ეს მატჩი კიდევ უფრო მნიშვნელოვანია, რადგან ჯგუფის ლიდერები ვხვდებით ერთმანეთს. თუმცა, ამ თვალსაზრისით მატჩი გამონაკლისი არ იქნება, რადგან ყოველი მომდევნო თამაში კიდევ უფრო მნიშვნელოვანი იქნება და ყოველ ქულას ოქროს ფასი დაედება. ვფიქრობ, უკრაინის ნაკრების ძალასა და შესაძლებლობებზე ლაპარაკი ზედმეტია. გარდა იმისა, რომ უმაღლესი კლასის ლეგიონერები ჰყავთ, უკრაინული გუნდებიც მაღალ დონეზე თამაშობენ. ახლახან მივიღეთ დანია-უკრაინისა და ყაზახეთ-უკრაინის მატჩების ვიდეოჩანაწერები, რომელთა ნახვის შემდეგ ჩვენი მომავალი მეტოქის თაობაზე უფრო სრული წარმოდგენა შეგვექმნება", - განაცხადა ჟირესმა.

საქართველოს ნაკრებთან შეხვედრამდე ოთხი დღით ადრე უკრაინა საბერძნეთის ეროვნულ გუნდს უმასპინძლებს. ჟირესი ამ თამაშზე წარმომადგენელს გზავნის.

"უკრაინა-საბერძნეთის მატჩს ჩვენი წარმომადგენელი დაესწრება და ყველა საჭირო ინფორმაციას მოგვაწვდის ვიდეოჩანაწერთან ერთად. რაც შეეხება ჩემს პოზიციას, კმაყოფილი ვიქნები, თუ ეს მატჩი ფრედ, 0:0 დასრულდება და მასში ბევრი წითელ-ყვითელი ბარათი დარიგდება, თავად ფეხბურთელები კი არც თავს დაზოგავენ და არც მეტოქეს", - ნახევრად ხუმრობით, ნახევრად სერიოზულად გაგვანდო თავისი გულისწადილი ფრანგმა სპეციალისტმა.

ჟირესმა ამ მატჩისთვის შეგულიანებულ ტაქტიკაზე საუბარი ნაადრევად მიიჩნია.

"ტაქტიკაზე საუბარი ჯერ ძალიან ადრეა. შეკრებას 7 ოქტომბერს თბილისში დავიწყებთ. ვარჯიშებზე დავაკვირდები ფეხბურთელებს და მათი ფიზიკურ-ფსიქოლოგიური მდგომარეობის მიხედვით შევარჩევ ტაქტიკას. უკრაინელთა მთავარ დამრტყმელ ძალას, მოგეხსენებათ, შევჩენკო წარმოადგენს. დღეს იმაზეც ვერ ვისაუბრებ, პერსონალურ მეურვეს მივუჩენ თუ არა მას. თუ ხიზანიშვილის მდგომარეობა დამაკმაყოფილებელი არ იქნება და შეკრებაზე ვერ ჩამოვა, შესაძლოა, მალხაზ ასათიანი დაცვაში გამოვიყენოთ. ეს ამპლუა ასათიანისთვის უცხო არ არის, რადგან თავის კლუბში ბოლო პერიოდში სწორედ ამ ფუნქციას ასრულებს და ბრწყინვალედაც ართმევს თავს დაკისრებულ მოვალეობას", - განაცხადა მან.

ბოლოს ჟირესმა წყვილში ფავორიტად უკრაინა დაასახელა, თუმცა, ისიც თქვა, რომ მისი გუნდი ლვოვში მხოლოდ გამარჯვებისთვის იბრძოლებს.

"უკრაინა ჩვენს ქვეჯგუფში რეალურად იბრძვის საგზურისთვის, რასაც პირველ ორ თამაშში ნაჩვენები შედეგითაც ადასტურებს. 13 ოქტომბრის მატჩში წყვილში ფავორიტად მეც უკრაინის მივიჩნევ, თუნდაც იმიტომ, რომ ამ თამაშის მასპინძელია. თუმცა, თანამედროვე ფეხბურთში ცნება "ფავორიტმა" ვირტუალური იერი შეიძინა. ჩვენ დასამარცხებლად ნამდვილად არ მივემგზავრებით და ყველაფერს გავაკეთებთ, სულ მცირე, ქულის წამოსაღებად. ვფიქრობ, ამ ამოცანის გადაჭრა ჩემს ფეხბურთელებს შეუძლიათ", - იმედიანადაა ჟირესი.

# როდის დადგება ოუენის დრო?

*"ლივერპულში" ის ნამდვილი ლიდერი იყო, შეუცვლელი ფეხბურთელი. მადრიდის "რეალში" კი სათადარიგოთა სკამზე უწევს ჯდომა და დიდი მოთმინებით ელის, თუ როდის მისცემენ თამაშის საშუალებას. მიუხედავად ამისა, მაიკლ ოუენი მშვიდად არის და დარწმუნებულია, რომ მისი დროც დადგება.*



მაიკლ ოუენი: "კარგად უნდა ვივარჯიშო და გამოვიყენო ის შანსები, რომელსაც მომცემენ".

**- არ ელოდი, რომ ასე იშვიათად მოგიწევდა თამაში? იმედგაცრუებული ხარ?**

- სეზონი ახალი დაწყებულია და, საერთოდაც, მე კმაყოფილი ვარ. რადგან პირველივე მატჩში 70 წუთი ვითამაშე, "ესპანიოლის" წინააღმდეგ შეხვედრაში კი ძირითად შემადგენლობაში ვიყავი... მხოლოდ უკანასკნელ ორ მატჩში არ მიმიღია მონაწილეობა. უნდა გავაგრძელო მუშაობა, მაგრამ, სიმართლე გითხრათ, საგანგაშო არაფერია.

**- როგორ ფიქრობ, რა უნდა გააკეთო იმისთვის, რომ ძირითად შემადგენლობაში მოხვდე?**

- კარგად უნდა ვივარჯიშო და გამოვიყენო ის შანსები, რომელსაც მომცემენ. პრივილეგიებს არ ვითხოვ. ვიცი, რომ ყველაფერი ჩემს ხელშია. თუ ვარჯიშებზე თავს გამოვიჩენ, მაშინ თამაშის შანსიც გაიზრდება. ახლა არცთუ ისე იოლი პერიოდი მიდგას, რადგან უკანასკნელ მატჩებში არ მომიხდა თამაში. თავიდან ასე არ იყო. იმის იმედი, რომ მუდამ ძირითადში ვითამაშებდი, არც მაშინ მქონია, როდესაც აქ მოვდიოდი. ასე რომ, ყველაფრით კმაყოფილი ვარ და მადრიდში თავს ბედნიერად ვგრძნობ. ჩემი თამაში კი მხოლოდ დროის ამბავია.

**- ოქროს ბურთის მფლობელი როგორ გრძნობს თავს მეოთხე თავდამსხმელის ამპლუაში?**

- ვფიქრობ, თქვენი მხრიდან კითხვის ასე დასმა არცთუ ისე კორექტულია. მე არც პირველი ვარ, არც მეორე, არც მესამე და არც მეოთხე. თუ "ესპანიოლთან" მატჩში სასტარტო შემადგენლობაში გამოვედი, ეს იმას ნიშნავს, რომ პირველი თავდამსხმელი ვარ? გუნდში სამი-ოთხი თავდამსხმელი ვართ და თავისი შანსი ყველას ექნება. ერთადერთი, რაც უნდა გავაკეთოთ, ამ შანსების გამოყენებაა.

**- "მანჩესტერის" შემადგენლობაში თავის სადებიუტო მატჩში რუნიმ სამი გოლი გაიტანა. ეს ფაქტი ინგლისის ნაკრების სასტარტო შემადგენლობაში შენი მოხვედრის შანსებს ამცირებს?**

- ძალიან მიხარია მისი წარმატება. ეს გოლები ტელევიზორში ვნახე და ისინი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რადგან რუნიმ სულ ახლახან მოიშუშა ტრავმა. ვიცი, რომ გაცდენილი პერიოდის შემდეგ გუნდში დაბრუნებულისთვის ძნელია კარგად თამაში. კარგია, რომ ჩვენს გუნდში ოთხი თავდამსხმელი ვართ, რადგან არსებობს კონკურენცია. მადრიდის "რეალში" იმდენს არ ვთამაშობ, რამდენიც მსურდა, მაგრამ ვფიქრობ, ინგლისის ნაკრებში ყველაფერი რიგზე იქნება.

**- თუ კლუბში თამაში იშვიათად მოგიწევს, როგორ აისახება ეს შენზე?**

- როდესაც არ თამაშობ ან მოედანზე მხოლოდ უკანასკნელ ათ წუთს ატარებ, ფსიქოლოგიური თვალსაზრისით ძალიან ძნელია, რადგან ვარჯიში ვერაფრით შეცვლის თამაშს. თუმცა, ჩვენ ახლა მხოლოდ დასაწყისში ვართ და მე არავითარი პრობლემა არ მაქვს. თუ ასეთი სიტუაცია კიდევ დიდხანს გაგრძელდება, შემადგენლობაში მოხვედრაც უფრო ძნელი იქნება. მაგრამ იმედი მაქვს, რომ საქმე აქამდე არ მივა.

**- როდისთვის გეგმავ ძირითად შემადგენლობაში ფეხის მოკიდებას?**

- ცხადია, ის ფაქტი, რომ არ ვთამაშობ, არც მე მხიბლავს, მაგრამ მე არ მაქვს ჯადოსნური ჯოხი და არ შემიძლია ვთქვა, როდის დავიწყებ ძირითად შემადგენლობაში თამაშს. ცხოვრებაში მშვიდი და მომთმენი უნდა იყო. არასოდეს მიფიქრია, რომ გამუდმებით ვითამაშებდი. წინ კიდევ დიდი დროა და იმედი მაქვს, წლის ბოლოსთვის ძირითად შემადგენლობაში ადგილს მოვიპოვებ. ყოველ ღამით, ძილის წინ ამაზე ვფიქრობ. მგონია, რომ როდესაც ვთამაშობდი, ცუდად არ ვთამაშობდი. როდესაც კიდევ მომეცემა შანსი, მის გამოყენებას ვეცდები. მაგრამ თუ წლის ბოლოს ისევ არ მომიწევს თამაში, მაშინ იძულებული ვიქნები, საკუთარ თავს ერთი კითხვა დავუსვა.

**- რომელ პოზიციაზე გრძნობ თავს ყველაზე კომფორტულად?**

- განსაკუთრებულ უპირატესობას არც ერთს არ ვანიჭებ. მითამაშია როგორც უკანდახეულ ფორვარდს და როგორც ცენტრალურ თავდამსხმელს. მორიენტესის გვერდით უფრო წინ ვთამაშობდი, რონალდოსთან ერთად – უფრო უკან. მე მაქვს ორივე პოზიციაზე თამაშის გამოცდილება, მაგრამ ერთადერთი, რაც მინდა, საჯარიმო მოედნის სიახლოვეს ყოფნაა. თუმცა, რადგან ახლა იშვიათად მიწევს თამაში, პოზიციაზე არ ვფიქრობ, მთავარია, ვითამაშო.

**- მაგრამ მადრიდის "რეალში" არიან ფეხბურთელები, რომლებიც ყოველთვის ითამაშებენ...**

- "რეალში" ჩემი კარიერა სულ ახლახან დაიწყო და უკვე ვითამაშე ძირითად შემადგენლობაში. ვფიქრობ, ეს იმაზე მიანიშნებს, რომ კლუბში არ არსებობენ შეუცვლელი ფეხბურთელები. ეჭვგარეშეა, შემადგენლობაში დამკვიდრება შესაძლებელია. როდესაც აქ მოვდიოდი, კარგად ვიცოდი, რომ გამიჭირდებოდა, მაგრამ ისიც ვიცოდი, რომ ყველაფერი გამომივიდოდა. ამაზე რთული პერიოდებიც მქონია და პრობლემებს ვაგვარებდი.

**- რითი განსხვავდებიან "რეალი" და "ლივერპული"?**

- ყველაზე დიდი განსხვავება სათამაშო დროშია. იქ მე ყოველ მატჩში ვთამაშობდი, შეუცვლელი ფეხბურთელი ვიყავი, ისეთი, როგორიც აქ რაულია. ვფიქრობ, ამაშია უმთავრესი განსხვავება.

**- როგორ მიდის შენი ცხოვრება ესპანეთში?**

- ყველაფრით კმაყოფილი ვარ. ჩემთვის ეს უდიდესი გამოწვევაა. მომწონს ქვეყანა, აქაური ჰავა. ახლა სახლს ვეძებ, რადგან პატარა ბავშვთან ერთად სასტუმროში ცხოვრება ძალიან ძნელია. ხალხი აქ ძალიან კარგად მექცევა. მხოლოდ ორი საკითხი მაღელვებს: სახლის პოვნა და მეტი სათამაშო დროის მოპოვება. რაც შეეხება ესპანურ ენას, გრძელი ფრაზების წარმოთქმა ჯერ არ შემიძლია. კვირაში ორჯერ მასწავლებელთან დავდივარ.

**- როგორ გადაიტანე კამაჩოს წასვლა?**

- გამიმართლა, რომ მე არ მესმოდა ის, რასაც ჩემი თანაგუნდელები და კლუბის თანამშრომლები ლაპარაკობდნენ, რასაც გაზეთები წერდნენ. როდესაც ახალ კლუბში მიდიხარ, არ ელი, რომ მწვრთნელი ასე მალე შეიცვლება, მაგრამ ჩვენ პროფესიონალები ვართ და ასეთ რამეებს ვეჩვევით. სხვა გზა არ იყო. მისმა წასვლამ გული დამწყვიტა, არ მინდოდა, მაგრამ რას იზამ, უნდა განვაგრძოთ მუშაობა.

**- "რომას" წინააღმდეგ მატჩი მოგეწონა?**

- დიახ, ფანტასტიკური მატჩი იყო. ჩვენ აუცილებლად გვჭირდებოდა გამარჯვება და ძალიან შთამბეჭდავად შევძელით ეს. ასეთი მატჩები თამაშის დიდ სურვილს აღძრავს. შესაძლოა, მწვრთნელს ჰქონდა მიზეზი, რომ მე არ მათამაშა. ჩვენი თავდასხმა ხომ ისედაც ძალიან კარგად თამაშობდა. არის მომენტები, როდესაც კიდევ ერთი ფორვარდის მოედანზე გამოშვება არ არის საჭირო და მეც არ ვჩივი. გუნდი უჩემოდაც კარგად თამაშობდა.

მოკლედ

## რუნიმ მომავალ მეუღლეს ათი ათასი გირვანქა სტერლინგი აჩუქა

ცნობილი ინგლისელი ფეხბურთელის უეინ რუნის მეგობარი გოგონა კოლინ მაკლაფლინი ძალიან გაახარა "ფენერბახჩეს" წინააღმდეგ მატჩში რუნის მიერ ჰეთ-თრიკის შესრულებამ. რატომაც არა! სხვა თუ არაფერი, ამის შემდეგ მან შეყვარებულისგან ათი ათასი გირვანქა სტერლინგი მიიღო.

ფორვარდმა თავის მომავალ მეუღლეს საქორწინო საჩუქარი მიუძღვნა მას შემდეგ, რას მან სამჯერ აიღო თურქული გუნდის "ფენერბახჩეს" კარი. ფეხბურთელმა კოლინი საყიდლებზე ნიუ იორკში გაუშვა. მომავალი მის რუნის გუნებაგანწყობილება გააფუჭა აშშ-ს ხელისუფლების გადაწყვეტილებამ ქვეყანაში ჩამოსული ყველა ადამიანის საგულდაგულო შემოწმებისა და თითის ანაბეჭდების აღების შესახებ. ბუნებრივია, ამ პროცედურის გავლას ვერც კოლინი გადაურჩა – ის ერთ-ერთი პირველი ინგლისელი მგზავრი გახდა, რომელმაც საკუთარ თავზე გამოსცადა აშშ-ს აეროპორტში 1 ოქტომბრიდან მოქმედი ახალი საკონტროლო სისტემის სიმკაცრე.

შეგახსენებთ, რომ უეინისა და კოლინის რომანი ნგრევის პირას იყო. ფეხბურთელის საცოლემ რუნისა და ერთი მეძავის ორი წლის წინანდელი ურთიერთობის ამბავი შეიტყო და მასთან დაშორება გადაწყვიტა. სკანდალიც მოაწყო – რუნის ყველას თვალწინ დაარტყა და გაეცალა. მართალია, ეს ამბავი ორი წლის წინათ იყო, მაგრამ, როგორც ჩანს, კოლინმა რუნის ნდობა დაკარგა.

დღეს ისინი ისევ ერთად არიან და დაქორწინებასაც აპირებენ.

შერიგების გარეშე ხომ კოლინი ათი ათასი გირვანქა სტერლინგის გარეშე დარჩებოდა!

## დაიღუპა ფრანგი მოტომრბოლი რიჩარდ საინქტი

როიტერის ცნობით, ეგვიპტეში ავტოკატასტროფაში დაიღუპა "პარიჟ-დაკარის" რალის სამგზის ჩემპიონი, 34 წლის ფრანგი მოტომრბოლი რიჩარდ საინქტი. "მხოლოდ იმის თქმა შემიძლია, რომ რიჩარდი გარდაიცვალა. დაწვრილებითი ინფორმაცია ჯერჯერობით არ გაგვაჩნია," – განაცხადა საფრანგეთის მოტოსპორტის ასოციაციის პრეს-ატაშემ.

*მოამზადა ნინო ტიკარაძემ*

ექსკლუზივი

# ჩემი გული მუდამ საქართველოშია

### ინტერვიუ კახი კახიაშვილთან

კახა ბერიძე



კახი კახიაშვილი: "ორ წელიწადზე მეტია, თბილისში არ ვყოფილვარ და აქაურობა ძალიან მომენატრა. სამშობლო ჩემთვის უპირველესია".

ბარსელონა, ატლანტა, სიდნეი... ნუთუ ათენიც? ხუმრობა ხომ არაა ზედიზედ ოთხი ოლიმპიური ოქრო ძალოსნობაში, რაც მსოფლიო სპორტისა და ოლიმპიზმის ისტორიაში უპრეცედენტო შემთხვევა იქნებოდა.

"მას ეს შეუძლია, იგი ფიცარნაგზე სასწაულებს ახდენს, აუცილებლად გაიმარჯვებს", - ამ სიტყვებს ოლიმპიადის დღეებში ხშირად გაიგონებდით ათენში. 23 აგვისტოს, გიორგი ასანიძის ბრწყინვალე ტრიუმფიდან ორი დღის შემდეგ, ქართველ ჟურნალისტთა დესანტმა კვლავ ძალოსნობის ოლიმპიური კომპლექსისკენ აიღეთ გეზი. "კახი", "კახი", "კახი", - 6 ათას ბერძენ ქომაგთან ერთად მეც ხმის ჩახლეჩამდე ვყვიროდი, მაგრამ, სამწუხაროდ, კახიმ 1992 წლის ბარსელონის თამაშების სასწაული ვერ გაიმეორა.

ორიოდე დღის წინათ ლეგენდარული ძალოსანი, სამგზის ოლიმპიური ჩემპიონი კახი კახიაშვილი საქართველოში ჩამოვიდა, დღეს კი ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტს ესტუმრა და ბატონ ჯანო ბაგრატიონთან გულთბილი საუბარიც ჰქონდა. აბა, ასეთ შანსს ხელიდან როგორ გავუშვებდი და, კახისთან სახელდახელო ინტერვიუც გამოცხვა.

**- რას მივაწეროთ საქართველოში თქვენი ვიზიტი?**

- ორ წელიწადზე მეტია, თბილისში არ ვყოფილვარ და აქაურობა ძალიან მომენატრა. სამშობლო ჩემთვის უპირველესია და ფიქრებით მუდამ საქართველოს ირგვლივ ვტრიალებ. როცა თბილისში ჩამოვდივარ, ისეთი შეგრძნება მაქვს, თითქოს მეორედ დავიბადე. საკუთარ ხალხთან ურთიერთობა უდიდეს სიამოვნებას მანიჭებს, სულ სხვა სითბოსა და სიყვარულს ვგრძნობ.

ამჯერად თბილისში მეტად საპასუხისმგებლო მისიით ჩამოვედი. ჩემს მეგობარსა და კოლეგას გიორგი ასანიძეს ვაჟი უნდა მოვუნათლო.

**- დარწმუნებული ვარ, სპორტისა და განსაკუთრებით ძალოსნობის სიყვარულს დაანათლავთ...**

- უპირველესად სამშობლოს სიყვარულსა და ერთგულებას, პატიოსნებას და კაიკაცობას. მთავარია, ოჯახს, მეგობრებს, ქვეყანას არგოს და ამას ფიცარნაგზე დგომით გააკეთებს თუ სხვა დარგში საქმიანობით, დიდი მნიშვნელობა არა აქვს. პირადად მე ყაბულსა ვარ, თუ პატარა კახი მამის კვალს გაჰყვება და ქართული ძალოსნობის ტრადიციებს ღირსეულად გააგრძელებს.

**- რას იტყვით გიორგი ასანიძის პოლიტიკაში წასვლასთან დაკავშირებით?**

- გიას პოლიტიკური მისწრაფებები ადრეც ჰქონდა. სწორედ მაშინ ვურჩევდი, ჯერ სპორტში ეთქვა საბოლოო სიტყვა და დანარჩენზე მერე ეფიქრა. მიხარია, რომ მან საქართველოს დიდი სიხარული აჩუქა. გიამ თავისი მოვალეობა ერის წინაშე პირნათლად შეასრულა და ხალხის სიყვარულიც დაიმსახურა.

რაკი პოლიტიკაში წასვლა გადაწყვიტა, როგორც ჩანს, გიორგიმ სპორტულ კარიერას წერტილი დაუსვა. მოგეხსენებათ, პოლიტიკური მოღვაწეობა, მით უფრო საქართველოში, ადვილი არ არის. ამ მხრივ მას გამოცდილება აკლია. ამიტომ მის ადგილას არ ავჩქარდებოდი და ასეთი საპასუხისმგებლო გადაწყვეტილების მიღებამდე ყველაფერს კარგად ავწონ-დავწონიდი. ღმერთმა ქნას, გიორგიმ პოლიტიკაშიც დიდ წარმატებებს მიაღწიოს.

**- ორიოდე სიტყვით ათენის ოლიმპიადაზე თქვენს გამოსვლასაც შევეხოთ...**

- სპორტი სიურპრიზებით აღსავსე სფეროა და ყველაფრისთვის მზად უნდა იყო. ხომ გაგიგონიათ, მოგება და წაგება ძმები არიანო. ამჯერად არ გამიმართლა, მაგრამ წინა სამ ოლიმპიადაზე ხომ გავიმარჯვე. მთავარია, სპორტსმენმა წარმატებაც შეიფეროს და მარცხიც ღირსეულად გადაიტანოს.

ათენის თამაშებისთვის სერიოზულად ვემზადებოდი. გულით მინდოდა, ბერძენი და ქართველი ხალხისთვის კიდევ ერთი დიდი სიხარული მიმენიჭებინა. შინაგანად ვგრძნობდი, რომ ეს შემეძლო, მაგრამ... მართალია, გამოცდილება არ მაკლია, მაგრამ ფსიქოლოგიურ წნეხს ველარ გავუძელი. იგივე დამემართა, რაც ელდარ კურტანიძეს. ხალხი ჩვენგან უეჭველ გამარჯვებას ითხოვდა, რამაც საბოლოოდ უდიდესი ფსიქოლოგიური ზეგავლენა მოახდინა.

მარცხის მიუხედავად, ბერძენი გულშემატკივარი მაინც გულში მიკრავდა და წარსული გამარჯვებებისთვის მემადლიერებოდა. სხვათა შორის, მინდა გითხრათ, რომ ათენის ფიასკომ უფრო მეტი ჟინი და შემართება შემმატა.

**- ეგ როგორ გავიგოთ? ესე იგი, სპორტულ კარიერას აგრძელებთ?**

- ზუსტად ვერ გეტყვით, თუმცა, ვარჯიში არ შემიწყვეტია. პეკინის ოლიმპიადისთვის 39 წლის ვიქნები, მანამდე კი ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონატებზე ვაპირებ გამოსვლას. ჩემს მომავალ სპორტულ კარიერასაც ამის მიხედვით განვსაზღვრავ. თუ შევატყვე, რომ ძალ-ღონე კვლავ მერჩის, კარიერას აუცილებლად გავაგრძელებ. არ მინდა, სპორტიდან დამარცხებული წავიდე.

**- თუ კარიერას გააგრძელებთ, მაშინ საქართველოში დაბრუნებას და პეკინშიც ჩვენი ქვეყნის სახელით გამოსვლას ხომ არ გეგმავთ?**

- 10 წელიწადია საბერძნეთში ვარ, მაგრამ ამ ხნის მანძილზე საქართველოზე ფიქრი წუთითაც არ შემიწყვეტია. მინდა ყველამ იცოდეს, რომ კახი კახიაშვილი გულით მუდამ საქართველოშია.

რაც შეეხება პეკინში საქართველოს სახელით გამოსვლას, რა თქმა უნდა, ცუდი არ იქნება, თუ კარიერას სამშობლოში დავასრულებ. ვნახოთ, გამორიცხული არაფერია. ამ დღეებში ბატონ მიხეილ სააკაშვილს ვხვდები და, ბუნებრივია, ამ საკითხზეც ვისაუბრებთ. პრეზიდენტთან შეხვედრა ბევრ რამეს მოჰფენს ნათელს.

ფორმულა 1

# ფორმულა-1 ბრიტანეთს ეთხოვება



სილვერსტოუნის ტრასაზე "სამეფო რბოლები" აღარ გაიმართება.

პირველად სპორტის ამ სახეობის ისტორიაში მსოფლიო ჩემპიონატის კალენდარში არაა შეტანილი ბრიტანეთის გრან-პრი. მართალია, წინასწარი გეგმა ჯერ კიდევ არ არის დამტკიცებული, მაგრამ ეჭვი არავის ეპარება, რომ 13 ოქტომბერს ავტოსპორტის საერთაშორისო ფედერაციის აღმასკომის სხდომაზე ყველაფერი ოფიციალურად გაფორმდება და დამტკიცდება.

ბრიტანული საინფორმაციო წყაროების ინფორმაციით, ბერნი ეკლსტოუნმა გრან-პრის ორგანიზატორებს რბოლის ჩასატარებლად 8,9 მილიონი გირვანქა მოსთხოვა, რაზეც ბრიტანელებმა უარი განაცხადეს, - ასეთ დიდ თანხას ვერ გადავიხდითო. რბოლის ორგანიზატორმა, ბრიტანელ ავტომრბოლთა კლუბის პრეზიდენტმა ჯეკი სტიუარტმა ეკლსტოუნის გადაწყვეტილებას "კატასტროფა" უწოდა და ფორმულა 1-ის მეპატრონეს მოუწოდა, შეცვალოს გადაწყვეტილება. გუშინ მხარეებს შორის შესათანხმებელი ბოლო ვადა ამოიწურა და თუ ეკლსტოუნმა გადაწყვეტილება არ შეცვალა, ფორმულა 1-ის სამშობლო ჩემპიონატს მიღმა აღმოჩნდება. 1950 წელს პირველი მსოფლიო ჩემპიონატის პირველი ეტაპი სწორედ ბრიტანეთში გაიმართა.

"ჩვენ თხოვნით მივმართავთ ბატონ ეკლსტოუნს და ქვეყნის მთავრობას, რათა კიდევ ერთხელ დაფიქრდნენ, თუ რა შედეგი შეიძლება მოჰყვეს რბოლის გაუქმებას. ჩვენ უკვე შევამცირეთ ხარჯები სხვა სფეროებში, რათა რბოლისთვის მოგვეზიდა დამატებითი სახსრები, მაგრამ მეტის გაკეთება არ შეგვიძლია. განსხვავება იმაში, რასაც ჩვენგან ითხოვენ და იმაში, რაც ჩვენ შეგვიძლია, გეთანხმებით, დიდი არაა. საუბარია რამდენიმე მილიონზე, მაგრამ ჩვენ მისი გადახდა არ შეგვიძლია. ჩვენ არ ვაპირებთ რბოლის ჩატარებას ნებისმიერ საფასურად", - განაცხადა სტიუარტმა.

სტიუარტის განცხადებით ქვეყნის მთავრობამ უარი განაცხადა, დახმარება აღმოეჩინა კლუბისთვის. "სხვა ქვეყნებისგან განსხვავებით, სადაც მთავრობა მონაწილეობას იღებს რბოლის გამართვაში, ჩვენი მთავრობა ამაზე უარს ამბობს. სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია", - აღნიშნა სტიუარტმა. მის ამგვარ განცხადებას უმალ გამოეხმაურა ბრიტანეთის კულტურის სამინისტროს ოფიციალური წარმომადგენელი. მისი თქმით, მთავრობა, შესაძლოა, პირდაპირ არ აძლევდა ფულს კლუბს, მაგრამ ყველანაირად ეხმარებოდა ინვესტიციების მოზიდვაში. ასე რომ, მთავრობის დადანაშაულება უმოქმედობაში არ შეიძლება. რაც შეეხება მომავალ რბოლას, სამინისტროს განცხადებით, ეს არის საკითხი, რომელიც წყდება ბრიტანელ ავტომრბოლთა კლუბსა და ფორმულა 1-ს შორის და ქვეყნის მთავრობის ჩარევა ამ საკითხში შეუძლებელია.

ერთი შეხედვით გამოუვალი მდგომარეობის მიუხედავად, ბრიტანელები იმედოვნებენ, რომ ვითარება შეიცვლება და ქვეყანა ფორმულა 1-ის გარეშე არ დარჩება. საამისოდ მოსახლეობა სამეფო ოჯახის წევრებს სთხოვს დახმარებას. "არ შეიძლება, ჩვენ რბოლის გარეშე დავრჩეთ. ასე რომ არ მოხდეს, ვინმემ რამე უნდა იღონოს. არ ვიცით, ეს ვინ იქნება – მთავრობა თუ კლუბი, მაგრამ ასე უნდა მოხდეს. ალბათ, სამეფო ოჯახმა უნდა იფიქროს ამაზე. მას ნამდვილად შეუძლია მდგომარეობის გამოსწორება", - აცხადებენ ბრიტანელები.

მოკლედ

## ინგლისელი გულშემატკივარი ბილეთისთვის მოკლეს

ინგლისელ გულშემატკივრთა მკვლელობა, ასევე მათზე ძალადობის სხვა მეთოდების გამოყენება უსიამოვნო ტრადიციად იქცა აღმოსავლეთ ევროპაში.

ერთი ადამიანი დაიღუპა, რვა სერიოზულად დაშავდა და საავადმყოფოში მოათავსეს, შვიდმა სხეულის მსუბუქი დაზიანება მიიღო – ასეთი გახლავთ ბუდაპეშტში უნგრეთის "ფერენცვაროშსა" და ინგლისის "მილუოლს" შორის უეფას თასის პირველი წრის მატჩამდე ერთი დღით ადრე გულშემატკივრებს შორის გამართული ჩხუბის შედეგი. დაღუპული, რომელსაც ზურგში ჩასცეს დანა, ინგლისურად საუბრობდა.

როგორც გაირკვა, ინგლისელ გულშემატკივართა უმრავლესობა ბუდაპეშტში უბილეთოდ ჩავიდა. უეფას გადაწყვეტილებით, ოფიციალურად ბილეთები მხოლოდ ათასი გულშემატკივრისთვის იყო გამოყოფილი. მათი რიცხვი კი სამი ათასს აღემატებოდა. ჩხუბიც ბილეთების გამო დაიწყო. პოლიციამ მათ დასაშლელად ცრემლსადენი გაზი გამოიყენა. აღსანიშნავია, რომ მეორე დღეს ამ გუნდებს შორის მატჩმა ექსცესების გარეშე ჩაიარა.

## დესაის არ უნდა „პორტსმუტში" თამაში

Tribalfootball-ის ცნობით, "პორტსმუტის" მთავარი მწვრთნელი ჰარი რედნაპი ცდილობს, დაარწმუნოს საფრანგეთის ნაკრების ყოფილი კაპიტანი მარსელ დესაი, საფეხბურთო კარიერა ამ ინგლისურ კლუბში გააგრძელოს. "თუ მარსელის გადმობირება მოვახერხე, ეს შესანიშნავი სვლა იქნება ჩემი მხრიდან. მას ამის თაობაზე უკვე სამჯერ ვესაუბრე, მაგრამ ჯერჯერობით უარზე დგას – დესაიმ ტელევიზიაში მიიღო სამსახური და მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი, საკუთარი თავი სატელევიზიო საქმიანობას მიუძღვნას," – განაცხადა მწვრთნელმა.

## „მანჩესტერ იუნაიტედს" კიდევ ერთი რუნი ჰყავს

როგორც ჩანს, "მანჩესტერ იუნაიტედის" ხელმძღვანელებს უკვე ჩვეულებად ექცათ რუნის გვარის ფეხბურთელების შეძენა. უეინ რუნის ყიდვისა და მის მიერ პირველი გოლის გატანის შემდეგ კლუბის პატრონებმა მისი უმცროსი ძმა – ჯონ რუნი მიიწვიეს კლუბში სათამაშოდ.

13 წლის, ბავშვთა სკოლა "ევერტონში" აღზრდილი, ნახევარმცველი ჯონი თავისი ძმის კლუბში, რა თქმა უნდა, უმცროს ასაკობრივ ჯგუფში იასპარეზებს, მაგრამ ხუთი წლის შემდეგ უეინს 23, ჯონს კი 18 წელი შეუსრულდება. აი, მაშინ კი, ვინ იცის, იქნებ "მანჩესტერ იუნატედში", ძმები ნევილების გარდა, ძმებმა რუნებმაც ითამაშონ.

## დელ ნერიმ „რომასთან" ორწლიან კონტრაქტს მოაწერა ხელი

უეფას ოფიციალური საიტის ინფორმაციით, "რომას" ახალმა მთავარმა მწვრთნელმა ლუიჯი დელ ნერიმ კლუბთან ორწლიან კონტრაქტს მოაწერა ხელი. "მოუთმენლად ველოდები ჩემი მოვალეობის შესრულებას ახალ თანამდებობაზე და მზად ვარ, საკუთარი თავი მივუძღვნა "რომას". ყველა მწვრთნელი ოცნებობს გრანდთან მუშაობაზე, მე კი"რომა" სწორედ ასეთ კლუბად მიმაჩნია. ბედნიერი ვარ, რომ ამ უძლიერეს გუნდში, ამდენი ნიჭიერი ადამიანის გარემოცვაში მოვხვდი," – განაცხადა დელ ნერიმ.

*მოამზადა ნინო ტიკარაძემ*

TV-სპორტი

### შაბათი. 2 ოქტომბერი

**НТВ+ФУТБОЛ**

06:00 NBA TV. 2000-2001 სეზონი. "DENVER NUGGETS" - "HOUSTON ROCKETS"
09:00 09:00-დან 12:00-მდე შესვენება
12:00 თავისუფალი დარტყმა
12:15 ჩემპიონთა ლიგა. "მანჩესტერ იუნაიტედი" – "ფენერბაჰჩე"
14:10 ბრაზილიის ჩემპიონატი. მატჩების მიმოხილვა
14:40 ჩემპიონთა ლიგის ჰიტ-ალუმი. "დინამო" – "ბაიერი"
16:35 თავისუფალი დარტყმა
16:55 "ჩემპიონთა ლიგის ჟურნალი"
17:25 გერმანიის ჩემპიონატი. "ვერდერი" – "ბავარია". პირდაპირი ტრანსლაცია
19:25 თავისუფალი დარტყმა
19:40 სახვალიო ტელეპროგრამა
19:45 ინგლისის ჩემპიონატი. "ევერტონი" – "ტოტენჰემი"
21:30 "FUTBOL MUNDIAL"
21:55 საფრანგეთის ჩემპიონატი. "ბასტია" – პსჟ. პირდაპირი ტრანსლაცია
23:55 ესპანეთის ჩემპიონატი. "რეალ სოსიედადი" – "ატლეტიკო". პირდაპირი ტრანსლაცია. შესვენებისას (00:45) - თავისუფალი დარტყმა
01:50 01:50-დან 03:00-მდე შესვენება
03:00 NBA TV – დღიური
03:30 NBA TV - NBA-ს მიმოხილვა
04:00 NBA TV - NBA-ს დიდი თამაშები. წელი 1984. ფინალი. "BOSTON CELTICS" - "LOS ANGELES LAKERS". მე-5 მატჩი

**НТВ+СПОРТ**

06:00 კალათბურთი. WNBA-ს ჩემპიონატი. დასავლეთ კონფერენციის ფინალი. "SEATTLE STORM" – "SACRAMENTO MONARCHS". პირველი მატჩი. პირდაპირი ტრანსლაცია
08:00 08:00-დან 09:00-მდე შესვენება
09:00 "ფორმულის ჰარმონია"
10:00 ჩოგბურთი. ATP-ს ტურნირი ჩინეთში. ნახევარფინალები. პირდაპირი ტრანსლაცია. შესვენებისას (12:00) – პრესცენტრი
14:00 "ოლიმპის შვილები"
14:05 "ჰოკეი-პლუს"
14:20 "სპორტული გლობუსი". "Trans World Sport" წარმოგიდგენთ
14:45 პრესცენტრი
15:00 ჩოგბურთი. WTA ტურნირი ბელგიაში. ნახევარფინალი. პირდაპირი ტრანსლაცია
16:45 "ნოკაუტი". ტელეჟურნალი
17:15 ამერიკული ფეხბურთი. კვირის მოვლენა
17:45 კალათბურთი. WNBA-ს ჩემპიონატი. დასავლეთ კონფერენციის ფინალი. "SEATTLE STORM" – "SACRAMENTO MONARCHS". პირველი მატჩი
19:15 პრესცენტრი
19:30 ბრძოლა წესების გარეშე - "Ultimate Fighting Championship"
21:00 პრესცენტრი
21:15 "ოლიმპის შვილები"
21:20 სახვალიო ტელეპროგრამა
21:30 ჩოგბურთი. WTA ტურნირი ბელგიაში. ნახევარფინალი. პირდაპირი ტრანსლაცია
23:15 ჭადრაკი. მატჩი მსოფლიო ჩემპიონის წოდებისთვის. ვ. კრამნიკი – პ. ლეკო
23:45 ამერიკული ფეხბურთი. კვირის მოვლენა
00:15 ახალი ამბები
00:30 "ბილიარდის მეუფენი"
01:00 01:00-დან 05:00-მდე შესვენება
05:00 პროფესიული კრივი. ვლადიმირ კლიჩკო – დევრილ უილიამსონი. პირდაპირი ტრანსლაცია აშშ-დან

**EUROSPORT**

10:30 ფეხბურთი. 24 საუკეთესო კლუბი
11:00 ფეხბურთი. უეფას ჩემპიონთა ლიგა გამოსასვლელ დღეებში
12:00 მოტორბოლები. ყატარის დიდი პრიზი. პირდაპირი ტრანსლაცია
17:00 საგზატკეცილო ველორბოლა. მსოფლიო ჩემპიონატი იტალიაში. პირდაპირი ტრანსლაცია
19:30 სნუკერი. დიდი ბრიტანეთის დიდი პრიზი. პირდაპირი ტრანსლაცია
21:00 სნუკერი. დიდი ბრიტანეთის დიდი პრიზი
22:45 სნუკერი. დიდი ბრიტანეთის დიდი პრიზი. პირდაპირი ტრანსლაცია
01:30 რალი. მსოფლიო ჩემპიონატის ეტაპი იტალიაში
02:00 ექსტრემალური სპორტი. ახალგაზრდული ზონა
02:30 ახალი ამბები
02:45 მხედრული ორთაბრძოლები. მებრძოლთა კლუბი

ქეთევან იგნატოვა წარმოგიდგენთ

გულახდილად

## მოქალაქის შეკითხვა

საქართველოს რაიონების გუბერნატორების ხელახალი გადანაწილებისას, მათ მიერ ამ თვეებში ოსტატურად დათრეული წილებიც ხელახლა გადანაწილდება?

# სუბიექტური მეგობრობა და ობიექტური შეფასება











ალბათ, დამეთანხმებით, ძალიან დიდი და საკმაოდ იშვიათი სიამოვნებაა, როდესაც ადამიანი, რომელიც სუბიექტურად გიყვარს და წლების განმავლობაში შენი ერთ-ერთი ყველაზე ახლო მეგობარია, მისი შემოქმედება ობიექტურად მოგწონს. ალბათ, იმაშიც დამეთანხმებით, რომ ნებისმიერი თქვენგანისთვის გულწრფელი მილოცვა, სხვისი ნახელავით გულახდილი აღფრთოვანება საკმაოდ დიდი ფუფუნებაა. და რაოდენ სასიამოვნოა, როდესაც თითქოსდა კარგად ნაცნობ, ახლობელ ადამიანში მისი მხატვრული ნამუშევრების მეშვეობით, შენთვის ახალ, კიდევ უფრო საინტერესო, ღირებულ სიღრმეებს აღმოაჩენ.

კერამიკოს ლია ბაგრატიონთან მთელი ჩემი ცხოვრება ვმეგობრობ და ერთ-ერთ ყველაზე ერთგულ, საიმედო, პატივსაცემ და მისაბაძ მეგობრად და პიროვნებად მივიჩნევ. მისი ცალკეული კერამიკული ნამუშევრები სხვადასხვა გამოფენაზე ან მის მყუდრო, გემოვნებიან, კერამიკით დეკორირებულ სახლში არაერთხელ მინახავს. ის, რომ ბოლო თვეების განმავლობაში ლია პერსონალური გამოფენისთვის თავგადადებულად ემზადებოდა და მეგობრებისთვის, ფაქტობრივად, დაკარგული იყო, ვიცოდი. მეგონა, რომ ჩვენი სიახლოვიდან გამომდინარე, მეტ-ნაკლებად ვიცოდი, რას აკეთებს. მაგრამ, ამ ყველაფრის მიუხედავად, ქარვასლაში გახსნილმა პერსონალურმა გამოფენამ მაინც გამაოცა. ექსპოზიციის მოწყობის სრულიად ახლებურმა, ჩემ მიერ აქამდე უნახავმა ფორმამ, გამოფენის შინაარსობრიობამ, კონცეფციამ, ნამუშევრების დახვეწილობამ და გემოვნებამ ჩემი მეგობრის ნიჭითა და სიღრმით სუბიექტური და, თუ გნებავთ, ობიექტური სიამაყის საშუალება მომცა. დღეს, როდესაც დაკარგულ კულტურაზე, ქართულ ტრადიციებზე, გლობალურ ხედვაზე, განათლებაზე, გემოვნებაზე, აზროვნებაზე, ჭეშმარიტ ინტელიგენტობასა და პატრიოტიზმზე ამდენს ვსაუბრობთ და განგაში გვაქვს გამოცხადებული, ლია ბაგრატიონის კერამიკული ნამუშევრების ნახვით კიდევ ერთხელ აშკარად დარწმუნდებით, რომ არაფერიც არ დაკარგულა. ყველაფერი შემოგვრჩა და ჩვენშია. მთელი ცხოვრების მანძილზე მიღებული განათლება, აღზრდა არსად ქრება. შინაგანი კულტურა, რომელიც ადამიანს ან აქვს ან არა, არაფერთან ზავდება და კერამიკიდან დაწყებული, მოღვაწეობის ნებისმიერ სფეროში ვლინდება. შენი ქვეყნის, მისი ისტორიისა და ტრადიციების სიყვარული და ცოდნა ნახელავში მკაფიოდ იკითხება. შემოქმედებითი ნიჭი, გემოვნება და არაპროვინციული ხედვა გამოფენილ ნიმუშებს დროის შესატყვის, თანამედროვესა და აქტუალურს ხდის. საკუთარი თავისადმი დასმული შეკითხვები, ფიქრი, ანალიზი ნამუშევრებს მხოლოდ ამდიდრებს. ნამუშევრები კი, თავის მხრივ, არასდროს იტყუებიან და მათი შემქმნელის სრულყოფილ პორტრეტს გაჩვენებენ.

არ ვიცი, რამდენად მართალია, რომ "თიხა მღერის", მაგრამ ლია ბაგრატიონის პერსონალურ გამოფენაზე "Terra-Aorum" თიხა რომ ლაპარაკობს, აშკარად ვიგრძენი.

# ან იქნებით, ან არა!

თუ გაგიგიათ ან გახსოვთ, იყო ერთი სულელური, თუმცა, მე მგონი, არც ისე სულელური, პატარა ლექსი:

"აჭარელი ბიჭის ფიქრები - ტამოჟნიკი ვიქნები;

ტამოჟნიკის ფიქრები - ასლან ბაბუ ვიქნები;

ასლან ბაბუს ფიქრები - შევარდნაძე ვიქნები;

შევარდნაძის ფიქრები - ვიქნები და ვიქნები!"

იმედი მაქვს, ლექსმა მეტ-ნაკლებად აქტუალობა დაკარგა. "ტამოჟნიკობას" რაიმე მატერიალური ხიბლი, ჯერჯერობით, ნაწილობრივ მაინც თუ შემორჩა, მინდა ვიფიქრო, რომ ხვალ იმასაც დაკარგავს და ერთ რიგით, საკმაოდ რთულ და საპასუხისმგებლო პროფესიად გადაიქცევა. "ასლან ბაბუობას", თუმცა ისევე, როგორც "შევარდნაძეობას", მგონია, რომ დღეს არც ერთი ჭკუათმყოფელი აღარ ნატრობს. მაგრამ აი, "ვიქნები და ვიქნების" კი, სამწუხაროდ, ძალიან ბევრი გულში ხშირად იმეორებს. ამ დევიზს ცხოვრებაში წარმატებულად ახორციელებს და თან ცინიკურად ელიმება.

ლექსების წერის არანაირი ნიჭი და, მით უმეტეს, პრეტენზია არ გამაჩნია, მაგრამ ამ ელემენტარული სტროფის გათანამედროვეობას, მისთვის დღევანდელობის შესაფერისი სახის მიცემას მაინც შევეცდები:

"პატარა ბიჭის ფიქრები - ჩინოვნიკი ვიქნები;

ჩინოვნიკის ფიქრები - დაუსჯელი ვიქნები;

დაუსჯელის ფიქრები - ბიზნესმენი ვიქნები;

ბიზნესმენის ფიქრები - დეპუტატი ვიქნები;

დეპუტატის ფიქრები - ვიქნები და ვიქნები!"

ან უფრო მოკლედ და ლაკონურად - "რევოლუციონერი ვიქნები - ვიქნები და ვიქნები".

ჯერჯერობით, ამ ლექსის სქემა (თუ ამას ლექსი შეიძლება ვუწოდოთ) იდეალურად, ხარვეზების გარეშე მუშაობს და გუშინ, გუშინწინ ასეთი ოდიოზური ფიგურები, დღეს განახლებული იმიჯით გვევლინებიან და ცდილობენ იმაში დაგვარწმუნონ, რომ მათი არახელსაყრელი, მაკომპრომეტირებელი წარსული მხოლოდ ჩვენი ფანტაზიის ნაყოფია. უახლოეს წარსულში ჩაძიებას, ასობით სისხლის სამართლის საქმეების აღძვრას, ვინმეს დასჯას, დაპატიმრებას, ფულის ან ქონების კონფისკაციას ნამდვილად არ ვითხოვ. არც ვინმე კონკრეტულისკენ ვაპირებ თითის გაშვერას. მე, უბრალოდ, მაინტერესებს ის პიროვნებები, რომლებმაც წლების განმავლობაში სხვადასხვა ბიუროკრატიულ თანამდებობებზე შედეგიანად იპარეს, ბევრი ქრთამი აიღეს, თავისთვის მომგებიანი გარიგებებით დაგვლუპეს და დაგვაქციეს. მაგრამ სრულიად დაუსჯელები, წყლიდან მშრალები გამოვიდნენ, წინდახედულად და დროულად მოპარული ფულით ბიზნესები აიწყვეს და ახლა უკვე როგორც პატიოსანი, "გამჭვირვალე" ბიზნესმენები, რომლებსაც ხალხთან დასამალი არაფერი აქვთ, კვლავ პოლიტიკაში მოგვევლინენ, როგორც მათთვის მაინც ყველაზე მყუდრო თავშესაფარში. რატომ არ შეიძლება ცოტა გავწიოთ, გვერდზე არ დავიყენოთ, არც დავსაჯოთ, მაგრამ არც ვაპატიოთ, თავისი ადგილი მივუთითოთ?

გასაგებია, რომ წლების განმავლობაში საქართველოში არსებული რეალობიდან და პასუხის მოსათხოვთა სიუხვისა და მრავალფეროვნებიდან გამომდინარე, ათითორმეტი წლის წარსულში ძიება, იმდროინდელი მექრთამე ჩინოვნიკებისა და დივერსანტი თანამდებობის პირთა დასჯა ძალიან შორს წაგვიყვანს და, ალბათ, სწორიც არ იქნება. ისიც მესმის, რომ ყველა ბრალდებას იურიდიულ-კანონიერი საფუძველი უნდა ჰქონდეს. მაგრამ საზოგადოებრივ აზრს და მისგან დასმულ დაღს არანაირი იურიდიულობა არ ესაჭიროება და სამართლიანობითაც, მერწმუნეთ, ვერანაირი სასამართლო ვერ შეედრება. ხომ ნათქვამია, "სახელის გატეხვას თავის გატეხვა სჯობიაო". ამგვარი "სახელგატეხილი" პიროვნებების დღევანდელ ხელისუფლებაში აღმოჩენის შედეგიანი მცდელობა, მათი საუბარი "რევოლუციურობაზე", "რეფორმებზე", "გამჭვირვალეობაზე", "კანონიერებაზე", "ბიზნესის ინტერესებზე" და "ბიუროკრატიის ხელების სისუფთავეზე" არაფერია ცინიზმის გარდა და საზოგადოების სკეპტიკურ ღიმილს, უნდობლობასა და ეჭვს იწვევს. "ეს ნახე რა!", "ერთი ამას უსმინე!", "ეს ბიზნესმენი როდიდან გახდა?", "დიდი ხანია გაიგო, სიტყვა "ბანკირი" რას ნიშნავს?", "თუ მართლა კანონს იცავენ, იმას რატომ არ იჭერენ?", "ამან ჩუმად მიიტანა!" და ა.შ. ეს იმ ფრაზების ძალიან მცირე ნაწილია, რომელიც დღეს საზოგადოებაში ასე ხშირად ისმის.

ავიღოთ თუნდაც მასიური პრივატიზაციის პროცესის მაგალითი. დღეს საქართველოში უამრავი ობიექტი იყიდება. ვინ ყიდულობს? მე? თქვენ? არა! საზოგადოებაში რომ მასიური უფულობა ტრიალებს, ეს ყველამ ვიცით. ვინ ყიდულობს და უმეტესად ისევ ის დისკრედიტებული პიროვნებები, რომლებმაც სახელმწიფო თანამდებობებზე ყოფნისას იშოვეს ფული. დღეს ყველაფერი წინდახედულად გათეთრებულ-გაპრავებული აქვთ და მხოლოდ ხელები დარჩათ ჭუჭყიანი. თანამდებობაზე ყოფნისას ხელები ერთხელ თუ დაისვარა, მერე აღარ გაისუფთავებ. მაგრამ რა ვქნათ, რომ საზოგადოების მეხსიერებიდანაც არ იშლება. განა ჩვენი ბრალია, რომ ათი წლის წინანდელი ხელისუფალნი, თხუთმეტი წლის წინანდელი ჩინოვნიკები გვახსოვს? განა ჩვენი ბრალია, რომ ქურდს ქურდს ვეძახით, მექრთამეს - მექრთამეს და უზნეობა - ზნეობად არ მიგვიღია? მართალია, ჩინოვნიკების უმრავლესობა სრულიად დაუსჯელი დარჩა, მოპარული ფულებით უძრავი ქონების მფლობელები, ბიზნესმენები, ბანკირები, მეწარმეები გახდნენ, "ბიზნესმენებმა" კი პარლამენტში შეღწევა მოახერხეს და ისევ ხელისუფალნი იქნებიან. მაგრამ, თუ როგორ იქნებიან საზოგადოებრივი მკაცრი, მძიმე წნეხის ვქეშ, ეს უკვე ჩვენი გადასაწყვეტია.

ამიტომ ჩვენი საბრალდებულო დასკვნა ასეთია: კი ბატონო, წარსულში, აწმყოში "ოდიოზური" ფიგურები ემსახურონ საზოგადოებას, მოინანიონ, ათმაგად ეცადონ, შანსი ყველას უნდა მიეცეს, მაგრამ ცოტა ჩუმად! მათი პრეტენზიები, მაღალ-მაღალი სიტყვები ზნეობაზე, ხალხის რჩეულობაზე აღარ გავიგოთ! მათთვის, სამწუხაროდ, ცინიზმის დრო დამთავრდა! დააშავეს, მოიპარეს, გადარჩნენ, გამოძვრნენ, სახე, წოდება, ხედვა იცვალეს, შერჩათ, არ ვეძიებით, არ ვსჯით, მაგრამ საკუთარი ადგილი იცოდნენ. აი, მაშინ კი, ეგება, მართლაც იყონ და იყონ. ან არ იქნებიან. ვნახოთ, დრო გვაჩვენებს.

# თბილისური სამკუთხედი არ მუშაობს

ის, რომ მიკერძოებული, ჩასაფრებული ვარ, ხელისუფლების არც ერთი ინიციატივა არ მომწონს და ვაკრიტიკებ, ნამდვილად ვერავინ დამაბრალებს. მეტსაც გეტყვით, უფრო პირიქით. ჩემი სკეპტიკოსი მეგობრები სულ უფრო ხშირად დამცინიან კიდეც - "ეს უკვე სულ გაგიჟდა და მთავრობის ყველაფერი მოსწონსო". ჩემს მეგობრებს ვპასუხობ, რომ ყველაფერი განურჩევლად ნამდვილად არ მომწონს. მაგრამ ურეკიდან სარფამდე მოსიარულე "მიშას" ყვითელი ავტობუსები (ხალხი ასე ეძახის), საგზაო პატრულის ახალი მანქანები და მომსახურება თუ მომწონს, რა ვქნა? "ივერიიდან" ლტოლვილების გამოსახლება მომწონს, გარევაჭრობის აკრძალვა მომწონს და ა.შ. თუ რა მომწონს, იმის ჩამონათვალით თავს აღარ მოგაწყენთ. დარწმუნებული ვარ, რომ თქვენც იგივე მოგწონთ. არც იმას გეტყვით, რა არ მომწონს, თორემ ერთ წერილში მთელი რუბრიკის მომავალს ხომ არ ამოვწურავ. არ ვიცი, ვინ როგორ, მაგრამ გაუმჯობესების სურვილს, ტენდენციას, მცდელობას ნამდვილად ვხედავ. ზოგიერთი ახალი ინიციატივა პირველივე წუთიდან ამართლებს, ზოგიერთი კი - არა. მათ, ალბათ, მეტი დაფიქრება, სპეციალისტებთან კონსულტაცია, პასუხისმგებლობა და აუჩქარებლობა სჭირდება. ჩემი აზრით, თბილისის ცენტრის განტვირთვის მიზნით გაკეთებული ცნობილი სამკუთხედი - მელიქიშვილი-კოსტავა-გმირთა მოედანი, სწორედ ასეთია. როდესაც ამ გეგმის შესახებ ტელევიზორში პირველად მოვისმინე, თეორიულად ძალიან მომეწონა. დარწმუნებული ვიყავი (უვიცობიდან გამომდინარე), რომ იგი გადატვირთულ მონაკვეთებს მეტნაკლებად გაათავისუფლებდა. მაგრამ, მე მგონი, ყველანი დამეთანხმებით, რომ ჩანაფიქრმა პრაქტიკაში არ გაამართლა. საცობები სადაც იყო, ანუ მეტრო რუსთაველიდან ფილარმონიამდე და კოსტავას ქუჩაზე - დარჩა. პლუს ახალი დაემატა. სამწუხაროდ, საცობები ისეთ მონაკვეთებშიც კი შეიქმნა, სადაც ადრე არასდროს ყოფილა - მელიქიშვილის ქუჩაზე, ჩაის სახლის გასწვრივ, ფილარმონიის ორივე მხარეს, გმირთა მოედნიდან ვარაზისხევის ასასვლელში, ბარნოვის ქუჩაზე. ქალაქის ამ მონაკვეთის ზედა და ქვედა ქუჩებზე სახლში მოსახვედრად უზარმაზარი წრე უნდა არტყა და ორმაგი გზა გაიარო, რითიც გზები ორმაგად იტვირთება, ბენზინი ორმაგად იხარჯება, ჰაერი ორმაგად ბინძურდება, მანქანები ორმაგად ასიგნალებენ და მძღოლები კი ორმაგად იგინებიან.





რა მოხდება, რომ ქალაქის თავები ცოტა კიდევ დაფიქრდნენ, დაითვალონ, შეისწავლონ, უფროსებს დაეკითხონ, სპეციალისტები მოიწვიონ, ამბიციებს და თვითდაჯერებულობას შეელიონ. ყველაფერი ერთი ხელის მოსმით, უაპელაციო ტონითა და თვითდარწმუნებით არ გამოდის. ფაქტიც სახეზეა - თბილისურმა სამკუთხედმა არ იმუშავა. არადა, როგორ მინდოდა, რომ იგი ჩემ მიერ მოწონებულ და სკეპტიკოსების გასაჩუმებელ ინიციატივათა სიას შეჰმატებოდა!

*საავტორო უფლებები*

# ვინ არის სტუმარი და ვინ მასპინძელი?

ნანა ბასილაშვილი

*ვაშინგტონში ქართველი თეატრალების წარმატების შესახებ, ჩვენს გაზეთში არაერთხელ დაიწერა. რამდენიმე დღის წინათ კი ჟურნალისტი "კლასიკ-სინეტიკ თეატრში", როსლინ სპექტრუმის სცენაზე ქართულ-ამერიკული დასის მიერ დადგმული სპექტაკლის წარმატების შესახებ ჰყვებოდა. სპექტაკლი ნიუ იორკის საერთაშორისო ფესტივალზე საუკეთესო სცენოგრაფიისათვის დაჯილდოვდა. პიესამ, რეჟისურამ, ქორეოგრაფიამ და დიზაინმა ჰელენ ჰესის პრემია მიიღო. ამ სასიამოვნო მოვლენამ თბილისის პანტომიმის თეატრში საკმაოდ უსიამოვნო ვნებათაღელვა გამოიწვია.*





*"სტუმარ-მასპინძლის" ქართული და ამერიკული ვერსიები.*

სტატიას ქართული პანტომიმის ფუძემდებელი ამირან შალიკაშვილი გამოეხმაურა. იგი ამერიკაში მოღვაწე ქართველ რეჟისორს პაატა ციქურიშვილს პლაგიატობაში სდებს ბრალს. საქმე ის გახლავთ, რომ ქართულ-ამერიკული სპექტაკლი "სტუმარ-მასპინძელი" თბილისის პანტომიმის თეატრის "სტუმარ-მასპინძლის" თითქმის ანალოგიური ვერსიაა, რომლის დამდგმელი რეჟისორი პაატა ციქურიშვილის პედაგოგი, ამირან შალიკაშვილი გახლავთ. "სტუმარ-მასპინძელი" სამშობლოდან შორს მყოფმა ციქურიშვილმა როსლინის თეატრში, საკუთარ საერთაშორისო დასთან მისი ყოფილი რეჟისორისა და მასწავლებლის მიზანსცენების, თეატრალური მიგნებებისა და სიმბოლოების ზედმიწევნით ზუსტი ინტერპრეტაციით დადგა. უცხოელ კრიტიკოსთა შეფასებებმაც არ დააყოვნა და იგი თეატრის რეფორმატორად მოგვევლინა.

**"ჩვენი ქვეყანა ჯერ კიდევ ვერ ჩამოყალიბდა საავტორო უფლებებთან დაკავშირებით. ბალეტში ვითომ ჩაწერეს სხვადასხვა მოძრაობები, მაგრამ არც ერთი მათგანი არ შენარჩუნდა და იგი საბოლოოდ მოგონებებში დარჩა. პანტომიმაში მოძრაობების ჩაწერა და დაფიქსირება ძალზედ რთული პროცესია. ამდენად ეს პროფესია თაობებში, ასე ვთქვათ, ზეპირი გადმოცემებით ვრცელდება. მასწავლებლისგან მოსწავლეს გადაეცემა, ის მერე სხვას გადასცემს და ა.შ."**, - ამირან შალიკაშვილთან საუბარი საავტორო უფლებების შესახებ დაიწყო.

თბილისის თეატრალურ ინსტიტუტში პაატა ციქურიშვილი 1982-86 წლებში სწავლობდა. მოღვაწეობა პედაგოგთან, ამირან შალიკაშვილთან პანტომიმის თეატრში გააგრძელა, სადაც თავისი მომავალი მეუღლეც გაიცნო. 1992 წელს თეატრი გასტროლებზე გერმანიაში წავიდა. თეატრმა საარბრუკენში პანტომიმის მსოფლიო ფესტივალში მიიღო მონაწილეობა, რომლის ორგანიზატორი ამირან შალიკაშვილი და მისი გერმანელი მეგობარი მიხაი კროიცერი გახლდათ. მეტად წარმატებული გამოსვლების შემდეგ ქართველი რეჟისორი მცირერიცხოვან დასთან ერთად საარბრუკენიდან ხუთი დღით კიოლნში მიიწვიეს. ხუთი დღის შემდეგ კი, როდესაც სამშობლოში წამოსვლამდე ერთი საათი იყო დარჩენილი, შვიდი ქართველი მსახიობი ერთ-ერთი გერმანელი რეჟისორის წინადადებას დასთანხმდა და კვლავ საარბრუკენში გაემგზავრა. მათი გადაწყვეტილების შესატყობინებლად შალიკაშვილთან მხოლოდ ერთი მსახიობი დარჩა, რომელმაც რეჟისორი სამშობლოში გამოამგზავრა და თავად მეგობრებს შეუერთდა. სწორედ ამ მსახიობებს შორის იყვნენ პაატა ციქურიშვილი და მისი მეუღლე ირინა. რამდენიმე ხნის შემდეგ ისინი ამერიკაში ირინას მშობლებთან გადავიდნენ და გერმანიის შემდეგ თეატრალური მოღვაწეობა, საკმაოდ წარმატებულად იქ განაგრძეს, რაშიც, ალბათ, ქართული პანტომიმის კლასიკური სკოლის გავლამ მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა. არაერთ ლეგენდარულ სპექტაკლებს შორის იყო "სტუმარ-მასპინძელი", სადაც ერთ-ერთ მთავარ როლს, ჯოყოლას თავად პაატა ციქურიშვილი ასრულებდა.

"სტუმარ-მასპინძელზე" მუშაობა 1989 წელს დავიწყე. პრემიერა 1991 წელს გაიმართა. ჩემთან ერთად ამ სპექტაკლზე წლების განმავლობაში, უნიჭიერესი მხატვარი მამია მალაზონია მუშაობდა. ეს იყო ექსპერიმენტი. თავდაპირველად რვა გოგო თამაშობდა, შემდეგ ამდენივე ბიჭი. მოვიფიქრეთ რომ გამოგვეყენებინა ნაბდები, მაგრამ სცენაზე ვერ ავამუშავეთ. შემდეგ მოვიფიქრე ტყავების გამოყენება, წავედით სადღაც სოფელში, დიდი ვაი-ვაგლახით მოვიძიეთ მასალა და დეკორაციისთვის ჩვენი ხელით შევკერეთ. ვაშინგტონიდან გამოგზავნილ ფოტოზე, სადაც სპექტაკლის ფრაგმენტია ასახული – თუ როგორ ატყვევებენ ჯოხების საშუალებით ჯოყოლას – ეს პირადად ჩემი თეატრალური სიმბოლოსა და მიზანსცენის ასლია. მინდა ამასთან დაკავშირებით ზუსტი განმარტება მოგცეთ. მუშაობის პროცესში მამია მალაზონიამ მითხრა, ახმეტელს უნდოდა ჯოხებით გაეკეთებინა სცენა, სცადე რამე ჯოხებითო. დავფიქრდი და დავპირდი, რომ აუცილებლად შევეცდებოდი. ჯოხები ფუნიკულიორის ტყეში მოვჭერით (ამასაც თავისი კურიოზი მოჰყვა, კინაღამ ტყის გაკაფვაში დამდეს ბრალი). საბოლოოდ სასწაული რამ გამოვიდა. ახლაც კი, როდესაც სპექტაკლში ჯოყოლას ამ ჯოხებით შეკრავენ ხოლმე სცენაზე, მაყურებელი აღფრთოვანებას ვერ მალავს. ეს ყველაფერი არის სიმბოლური თეატრალური აზროვნება, რაც მე არ მისწავლია, ეს ჩემმა გენმა, საგვარეულომ, ფესვებმა და საქართველომ მომცა. და ახლა, როცა მე მესმის, რომ პაატა ციქურიშვილი არის რეფორმატორი, საქართველოდან წაღებულით... ეს ხომ ცოტა არ იყოს გადაჭარბებულია, ხომ უნდა ითქვას, სად მოხდა ეს პირველად, თუნდაც ავტორს ნუ დაასახელებენ. საავტორო უფლების დაცვის რეფორმა ჩვენ ჯერ არ გვაქვს, მაგრამ როცა შენ იქ ჩახვედი, საქმე სულ სხვაგვარადაა. მე ვარ ავტორი ამ სპექტაკლის და არავის არ შევარჩენ ამას. ერთხელ მითხრეს კიდეც, შენმა მოწაფეებმა სხვა რა უნდა გააკეთონ, შენი გზით უნდა იარონო, მაგრამ ასეთი რამ?! ეს ამაზრზენი ფაქტია, არ შეიძლება საკუთარ შვილს წინ აღუდგე, მაგრამ ეს ღალატია. საქართველოში დაბადებული პანტომიმა... არავის მივცემ იმის უფლებას, რომ საქართველოში აღმოცენებული ჟანრი, ამერიკის კუთვნილება გახადოს. როდესაც ვახტანგ ჭაბუკიანმა ოტელო დადგა, იქ არის ერთ-ერთი უნიკალური სცენა, სადაც იაგო გველივით მისრიალებს და შემდეგ ოტელო ადგება მას არწივივით. ეს იყო მარჯანიშვილის სცენა. ჭაბუკიანმა გამოაცხადა - ეს იმდენად ღირსეული სცენაა, რომ მისი დაკარგვა არ შემიძლია, მე ეს გამოვიყენე, მაგრამ ეს კოტე მარჯანიშვილს ეკუთვნისო. ჩვენი შემთხვევა ანალოგიურია, მაგრამ განა ითქვა ამის შესახებ რამე?! ვისი მიზანსცენებით, სიმბოლოებითა და მიგნებებითაა პაატა ციქურიშვილი თეატრის რეფორმატორი? ვინ გაზარდა ეს რეფორმატორი? ეს არის პლაგიატობა.

მე ეს სპექტაკლი საზღვარგარეთ ჯერ არ გამიტანია. ძალიან გამწარებული ვარ და ძალიან მტკივა. მე მეტი არაფერი არ მაქვს, მე მაქვს ერთი თეატრი, რომლის მსგავსი მსოფლიოში არ არის, როგორ შეიძლება ჩემი ხელის ხლება? როგორ შეიძლება ჩემი ხელოვნების გატანა და ჩემი არ ხსენება?!"

ორშაბათს "სტუმარ-მასპინძლის" მისეული ვერსიის მუსიკას და ვიდეოჩანაწერს ამირან შალიკაშვილი ამერიკაში აგზავნის. დახმარებისათვის მან უკვე საავტორო უფლებების დამცველ ორგანიზაციასაც მიმართა.

*სკანვორდი*



*TV პროგრამა*

*2 ოქტომბერი*

### რუსთავი - 2

**08.00** კლასიკა **08.30** მულტსერიალი "დათვების ქალაქის ზღაპრები" **09.00, 12.00, 15.00** კურიერი **09.20** მულტფილმი **10.55** მხ. ფილმი **12.20** სიმფსონები **12.50** მხ. ფილმი "სოლარისი" **15.20** მხ. ფილმი "ქალაქელი მონადირე" **17.00** ველური სამყაროს ამბები **18.00, 21.00, 01.00** კურიერი **18.20** დოკ. ფილმი "თანამედროვე ტექნოლოგიები" **19.15** სერიალი "წმინდა ინგლისური მკვლელობები" **22.00** "ფსიქო"- "სპილო". რეჟ. გას ვან სენტი (18). **01.20** მხ. ფილმი "სხვები". მთ. რ-ში: ნიკოლ კიდმანი (18).

**08.00** "ქართული ათეული" **12.00** "ფოლკი" **12.30, 20.00** "მხიარული ხუთეული" **13.00** "კლიპ-მიქსი" **18.00** "ფოლკი" **19.00** "ტევე-პოპი" **20.30** "ფოლკი" **21.00** "ტევე-პოპი" **00.00** "ნონ-სტოპი"

### პირველი არხი

**08.00, 12.00, 15.00, 20.00, 00.00** მოამბე **08.15** მხ. ფილმი "დღე" (გ) **10.00** "იმღერე რამე" **10.30** საცირკო სანახაობა **11.00** მხიარული კარუსელი **11.30** საქართველო არის ესე **12.10** მხ. ფილმი "ორერა სრული სვლით" **13.40** სერიალი "წვრილვარსკვლავთა ღამე" **14.55** ფეხბურთი. ქუთაისის "ტორპედო" - თბილისის "თბილისი" **16.55** დოკ. ფილმი "მაროკო - ცხენების სამეფო" **18.00** ვესტნიკი **18.45** "იმღერე რამე" **19.15** ტელეზღაპარი **19.25** "დრო და ადამიანები" - აინშტაინი **19.40** "ეთნოგრაფიული ჩანახატი" **20.35** ფორტუნა **21.15** პოლიტიკური მკვლელობები - დ. ჰამარშელდი **22.05** "საღამოს საუბარი" **22.50** სპექტაკლი "მშვენიერი ქართველი ქალი" **00.15** მხ. ფილმი "ლაქა" (გ)

### კავკასია

**15.00** ქართული მუსიკა **17.00** მხ. ფილმი "ცხელი ზაფხული" (გ) **19.00, 20.30, 00.00** საინფორმაციო პროგრამა "დღეს" **19.20** "ცნობილი ადამიანების უცნობი წლები" **19.40** "საწინდარი" **21.00** მხ. ფილმი "მტერი" (გ) **22.30, 00.30** ქართული მუსიკა

### მზე

**09.00** მუსიკა მზეზე **09.30** მულტსერიალი "სქელი ძაღლი მენდოზა" **10.00** საბ. სერიალი "ჩემი მეგობარი უცხოპლანეტელია" **10.30** სერიალი "დაკარგული ქვეყანა" **11.30** შემეცნებითი პროგრამა "ყველაზე, ყველაზე" **12.30** შემეცნებითი-გასართობი პროგრამა "ფოკუსის ისტორია" **13.00** სერიალი "კარაბინერები" **14.00, 17.00, 20.00** საინფ. გამოშვება "მზერა" **14.15** მხ. ფილმი "ესენია" (გ) **16.15** მუსიკა მზეზე **16.30** "ფარული კამერა" **17.20** "გეპატიჟებათ ბარტ ვულფი" **17.50** შემეცნებითი პროგრამა "ყველაზე, ყველაზე" **18.50** მუსიკა მზეზე **19.00** სერიალი "დაკარგული ქვეყანა" **20.30** სერიალი "კარაბინერები" **21.30** კრიმ. დრამა "ტაქსის მძღოლი" **22.30** მხ. ფილმი "აკატონე" (15) (რეჟ. პ. პაზოლინი)

### მეორე არხი

**19.00** "მრავალჟამიერ"-რატომ ცეკვა აჭარული **19.30** "იმღერე რამე" **20.00** ასე ვცხოვრობთ **20.30** მუს. ოქტაგონი - მ. კვალიაშვილი **21.20** ქიმერიონი - ა. ვარსიმაშვილი **22.00** მხ. ფილმი "ხსოვნა" (გ) მე-2 ს.

### იმედი

**09.00** ანიმაციური ფილმი "ანა და მეფე" 1-2ნ. **10.00** მხ. ფილმი "სამი გოდორა" (ა. ბატალოვი) **11.30** "იმედითა შენითა" **11.45** "კლიპ-ლოტო" **12.40, 13.15, 02.30** ტვ-მარკეტი **13.00, 15.00, 17.00, 19.00, 22.00, 23.15** ქრონიკა **13.30** მხ. ფილმი "შურისძიების სახელით" (გ) (ს. სიგალი) **15.15** თოკ-შოუ "რეაქცია" **17.10** დოკ. სერიალი "მშვიდობით მე-20 საუკუნევ" მე-3 ს. **18.05** "პირველი ნაბიჯი" **19.30** ვაკაჭი-ნიუსი **20.05** მხ. ფილმი "თითქმის 9 იარდი" (გ) (ბ. უილისი) **22.30** ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. **00.20** "ნადიმი ჯ. კაშიასთან ერთად" **01.35** სერიალი "ნეშ ბრიჯესი" **03.00** იმედის მელოდიები

### ОРТ

**06.00, 10.00, 12.00, 15.00, 18.00** Новости **06.10Фильм "Приключения Гекльберри Финна" 08.20**Играй, гармонь любимая! **09.00**Слово пастыря **09.10**Здоровье **10.10** "Смак" **10.30**Спецрасследование. "Изнанка модельного бизнеса" **11.20**"Любовные истории". Владимир Кузьмин **12.20**История с географией. Фильм "Приключения слона" **13.40**"Звезды эфира". Юрий Левитан **14.30**Дисней-клуб: "Приключения Мики и Дональда" **15.10**Искатели. "Фаворитка Императора" **15.40Харрисон Форд в комедии "Деловая девушка" 17.50** Золотые годы Микки Мауса. Впервые в России **18.10** "Ералаш" **18.40** "Кто хочет стать миллионером?" **19.40** Международный фестиваль юмора "Ялта-2004" **21.00** Время **21.20** "Последний герой". Суперигра **22.40** "Золотой граммофон" **23.40Ураганный боевик "Ливень" 01.35**Рене Зеллвегер в комедийном боевике **"Сестричка Бетти" 04.00Ночной триллер "Черепа"**

### НТВ

**06.10 Александр Шир в комедии "ВИКТОР ФОГЕЛЬ - РЕКЛАМЩИК". 08.00, 10.00, 13.00, 19.00** Сегодня. **08.15** Мультфильмы "Малыш и Карлсон", "Карлсон вернулся". **08.55** "Без рецепта". Доктор Бранд. **09.25** "Дикий мир" **10.20** Дмитрий Рогозин в программе "Растительная жизнь". **10.55** Кулинарный поединок. **11.55** Квартирный вопрос. **13.25** Особо опасен! **14.00 Александр Михайлов в детективе "ЗМЕЕЛОВ". 16.20** "Женский взгляд". Николай Цискаридзе. **16.55** Своя игра. **17.55 Сериал "АДВОКАТ: АЛИБИ ДЛЯ КОРОЛЕВЫ". 2-я с. 19.40** Профессия - репортер. **20.10 Михаил Пореченков в сериале "АГЕНТ НАЦИОНАЛЬНОЙ БЕЗОПАСНОСТИ-5: ФАМИЛЬНЫЕ ДРАГОЦЕННОСТИ". Часть 1-я. 21.20 Владимир Машков в фильме "ДАВАЙ СДЕЛАЕМ ЭТО ПО-БЫСТРОМУ". 23.25** Костя Цзю. Лучшие бои. Костя Цзю - Кори Джонсон. **00.05 Фильмы Тинто Брасса. "САЛОН КИТТИ"**




## საკონცერტო დარბაზები

**ფილარმონიის დიდი საკონცერტო დარბაზი**
"იუმორინა 2004"
დას: 19:00 სთ

## თეატრები

**თეატრალური სარდაფი რუსთაველზე**
სანდრო კაკულია
"ფანჯარა"
რეჟისორი: ლელა ჭინჭარაული
დას: 20:00 სთ

**თეატრალური სარდაფი ვაკეში**
რალფ კნიგი
ET CETERA
რეჟისორი: ლევან წულაძე
დას: 19:00 სთ

**ქართული ფოლკლორის თეატრი**
"ნაბადი"
რეჟისორი: გიორგი სიხარულიძე
დას: 20:00 სთ

## ცირკი

სეზონის გახსნა
რუსეთის საცირკო პროგრამა.
ნაჩვენები იქნება ხუთი კონტინენტის 89 სახეობის ცხოველი.
დას: 15:00 სთ

## გამოფენები

**სურათების ეროვნული გალერეა**
საშემოდგომო გამოფენა (ფერწერა, გრაფიკა, ქანდაკება, დეკორატიული ხელოვნება)

**თბილისის გოეთეს ინსტიტუტი**
პიერ მენდელისა და მენდელი&ობერერის ბიუროს პლაკატების გამოფენა

## კინოთეატრები

**ამირანი**
"შრეკი 2"
ფასი: 6-8 ლარი
დას: 12:00; 14:00; 16:00; 18:00 სთ.

"ბორნის იდენტიფიკაცია"
ფასი: 9 ლარი
დას: 20:00; 22:00 სთ.

**რუსთაველი**
"გარფილდი"
დას: 12:00; 14:00; 16:00 სთ.

"ნამდვილი მამაკაცი"
დას: 18:0 სთ.

"მე, რობოტი"
დას: 20:00; 22:00 სთ

## კლუბები

**"ნოა ნოა"**
ბლუზის საღამო
ტონი ო'მელი (დიდი ბრიტანეთი) და "ნოა ნოას ბენდი"
ფასი: 15 ლარი
დას: 22:00 სთ

*დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ შეგიძლიათ მოგვაწოდოთ ინფორმაცია ელექტრონულ მისამართზე: culture@24hours.ge*

## "იუმორინა 2004"

ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში, 1-10 ოქტომბრის ჩათვლით, "იუმორინა 2004"-ის ახალი პროგრამა - "ოქროს შემოდგომა" იქნება წარმოდგენილი. როგორც "იუმორინა"-ს მუსიკალურმა ხელმძღვანელმა გია ბაღაშვილმა განაცხადა, ახალი პროგრამა ორ საათს გრძელდება და ქართველ მაყურებელს უამრავ საინტერესო სიახლეს ჰპირდება. პროგრამაში შედგება ახალი პაროდისტების დებიუტი. "იუმორინაში" პირველად მიიღებენ მონაწილეობას მომღერლები - ნატო გელაშვილი და ნუკრი კაპანაძე.

"ოქროს შემოდგომაში" თითქმის ყველა მთავრობის წევრია გაშარჟებული. აქვე შედგება პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის მუსიკალური დებიუტი, გაშარჟებულია ეკონომიკის მინისტრი კახა ბენდუქიძე, საგარეო საქმეთა მინისტრი სალომე ზურაბიშვილი, შოუბიზნესის წარმომადგენლები – ლექს-სენი, თიკო და სხვა.

პროგრამას, როგორც ყოველთვის, გივი ბერიკაშვილი წარუძღვება. "ახალი პროგრამა ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო იქნება", - ამბობს გია ბაღაშვილი. ***ინტერ-პრესი***

## მკითხველის უფლებები


*სალმან რუშდი.*

"სატანური ლექსების" ავტორი სალმან რუშდი, რომელსაც რამდენიმე წლის წინ მუსლიმური სამყაროს წარმომადგენლები მოკვლით ემუქრებოდნენ, კვლავაც საზოგადოების ყურადღების ცენტრში ექცევა. ამჯერად ის აშშ-ს კონგრესის წინააღმდეგ იმაღლებს ხმას და ამერიკელ ჩინოვნიკებს ანტი-ტერორისტული კანონებიდან ერთ-ერთის შეცვლას თხოვს. საქმე ეხება კანონს, რომლის მიხედვითაც, შესაბამის სამთავრობო უწყებებს უფლება აქვთ, მოქალაქეების კითხვის პროცესი აკონტროლონ, შეამოწმონ ვინ რა წიგნს ყიდულობს, ვის რა გამოცემა გამოაქვს ბიბლიოთეკიდან, რას დაეძებს ინტერნეტში...

რუშდის აზრით, ეს ადამიანის თავისუფლების სასტიკი ხელყოფაა, და მისი გამართლება არაფრით არ შეიძლება, თუნდაც უსაფრთხოების დაცვის მიზეზით. "ეს ცხვირის ჩაყოფაა იმაში, რაც, წესით, ადამიანის პირადი, შემოქმედებითი სივრცე უნდა იყოს", - კატეგორიული ტონით აცხადებს მწერალი.

რუშდის პეტიციას 180 ათასი ხელმომწერი ჰყავს. ისინი კანონის გადახედვას და შერბილებას მოითხოვენ. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ სალმან რუშდის სიტყვას წონა ნამდვილად აქვს – ის მწერლების გაერთიანების "პენ ამერიკული ცენტრის" პრეზიდენტია.

ცენზურასა და თავისუფლების ხელყოფაზე საუბრისას კი მწერალი ყოველთვის საკუთარ შემთხვევას იხსენებს. ინდოეთში დაბადებულ მწერალს ხომ 80-იან წლებში გადამალვა მოუხდა, მას შემდეგ, რაც მისი "სატანური ლექსების" გამო აიათოლა ხომეინიმ მწერალი საქვეყნოდ შეაჩვენა.

ახლა კი, როგორც ხედავთ, რუშდი ამერიკელი მკითხველის უფლებებს იცავს. მისი პეტიციისთვის ხელმოწერები შტატების ბიბლიოთეკებსა და წიგნის მაღაზიებში გროვდებოდა.

**განცხადება**
**შპს "აჭარის ენერგოკომპანიის" დირექცია აცხადებს ღია ტენდერს 35 კილოვოლტის კაბელის შემართებელი ქუროების შეძენაზე.**

**ტენდერის საგანი:**
1. 35 კვ კაბელის შემაერთებელი ქურო;
2. რაოდენობა 10-15 წყვილი;
3. ტექნიკური მახასიათებელი; მარკა **СЛО**-35

**მომწოდებლის შერჩევის კრიტერიუმები:**
1. ტექნიკურ შესაბამისობა;
2. ღირებულება;
3. გადახდის პირობები;
4. მიწოდების ადგილი;
5. მომწოდებლის გამოცდილება მსგავსი შეკვეთების შესრულებაში. გთხოვთ, თქვენი წინადადებები მოგვაწოდოდოთ ამა წლის 15 ოქტომბრამდე.

**საკონტაქტო ტელეფონებია:**
**Fax: (8222) 7-63-45**
**(888222) 7-63-46**
**ტელ: 7-25-50, (877) 44-52-38.**

მოსწავლეთა საყურადღებოდ!
საინფორმაციო ტექნოლოგიების ცენტრი
„მზიური"
აცხადებს მოსწავლეთა და სტუდენტთა მიღებას
პერსონალური კომპიუტერის
შემსწავლელ ჯგუფებში
მიიღებიან V – XI კლასების მოსწავლეები
მისამართი: დ. უზნაძის (ყოფილი კამოს) №70
☎91-03-17; 29-48-61; 95-45-75

სწავლა დიდ ბრიტანეთში

■ ბრიტანეთის საბჭოს მიერ სერთიფიცირებული საგანმანათლებლო სააგენტო "ი ელ ელ"-ი (ELL.Ltd) გთავაზობთ სწავლას დიდ ბრიტანეთში, უნივერსიტეტების მოსამზადებელ პროგრამებზე და ინგლისური ენის სკოლებში
■ საუნივერსიტეტო მოსამზადებელი პროგრამები:
A-Level 1-2-წლიანი. 15, 16 წლიდან.
Foundation 1-წლიანი. 17 წლიდან.
Pre-MBA, MBA 21 წლიდან.
სწავლის დაწყება იანვრიდან.
ინგლისური ენა:
ზოგადი, ინტენსიური და საგამოცდო (IELTS, TOEFEL, FCE, CEA) 2-12 თვე.
Work Experience ინგლისური ენა და სტაჟირება ინგლისურ კომპანიაში.
მისამართი: თბილისი, ჭავჭავაძის 74, მე-15 სართული.
E-mail:n_makatsaria@Yahoo.com
ტელ: 22 59 57, 29 91 78, 899 50 40 12

სასკოლო მეთოდიკური გაზეთები

შპს მედია ოჯახი "განათლებული საქართველო" და შპს "რუსთავი 2 პრინტი" გთავაზობთ ხელმოსაწერად 19 დასახელების საგანმანათლებლო და საგნობრივ მეთოდიკურ გაზეთებს.

საგნობრივი მეთოდიკური გაზეთები მოგაწვდით ყველა კლასში პარალელური სასკოლო სახელმძღვანელოებით სწავლების გარანტირებულ მეთოდიკებსა და რეკომენდაციებს, თემატურ გეგმებს, საგაკვეთილო სცენარებსა და მოდელებს.

გაზეთებს მიიღებთ ადგილებზე 2004 წლის 20 სექტემბერიდან 2004/2005 სასწავლო წლის განმავლობაში.




საინფორმაციო ტექნოლოგიების
ცენტრი „მზიური"
გთავაზობთ:
კომპიუტერის შემსწავლელ კურსს თემებით:
■ კლავიატურაზე ბეჭდვის ათთითიანი მეთოდი,
■ საქმიანი დოკუმენტაციის წარმოება – MS Word,
■ აღრიცხვა,საბუღალტრო-ეკონომიკური ამოცანები – MS Excel.
■ ლოკალური ქსელი,ინტერნეტი,ელ-ფოსტა,
■ ოპერაციული სისტემა Windows.
ცენტრში მოქმედებს სხვა კურსებიც.
მისამართი: დ.უზნაძის N70 ტელ:29-48-61
ვებ-გვერდი: WWW.mziuri.ge




წამალი "სალხინო"
ქართული ფლორის საოცრება

თუ გაწუხებთ პროსტატიტი, ცისტიტი, ქალური და შარდ-სასქესო ორგანოების დაავადებები; როცა შეიმჩნევა შენელებული და გახშირებული შარდვა, შარდვის დროს წვა, შარდსადენი ხვრელის ბაგეთა მიწებება, სუნი ან გამონადენი; აგრეთვე ტკივილი წელის, გავის ძვლის, თირკმელების არეში; შარდის წვეთ-წვეთად გამოყოფა, მოშარდვის სურვილის დაუკმაყოფილებლობა, როცა ვითარდება სექსუალური მოშლილობა და იმპოტენცია,მიიღეთ წამალი "სალხინო" და ეს პრობლემები მოგეხსნებათ.

"სალხინო" აწესრიგებს კუჭ-ნაწლავის მოქმედებას და ხსნის ტკივილებს.

"სალხინო" გამოიყენება ჩირქოვანი და ჩირქმბადი ინფექციების სამკურნალოდ, ნაღვლის ბუშტის (ქოლეცისტიტი), ჰეპატიტის, გასტრიტის, ნეფრიტის, გინგივიტის, სტომატიტის, ბრონქიტის და სხვა პათოლოგიური დაავადებების დროს. "სალხინო" აქრობს პირის ღრუდან უსიამოვნო სუნს. წამალი "სალხინო" კურნავს სარძევე ჯირკვლების დაავადებებს - მასტოპათიას, მასტიტს. თუ გამოიყენებთ მშობიარობის შემდეგ, აიცილებთ მასტიტს და გაიუმჯობესებთ ბავშვის კვებას საკუთარი რძით.

წამალ "სალხინოს" თვისებები აპრობირებულია და მოწონებულია საქართველოს, რუსეთის, აზერბაიჯანისა და სხვა ქვეყნების ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროების მიერ, იგი რეგისტრირებულია. მიღებული აქვს სახელმწიფო პატენტები და ლიცენზია.

იკითხეთ და შეიძინეთ აფთიაქებში.

წამლის ფასი საქართველოს ტერიტორიაზე სამი (3) დოლარის ეკვივალენტს არ უნდა აღემატებოდეს ლარებში.